



**პასუხისმგებლობა
ან უპასუხაველობა
„რუსთავი 2“-ს
შეიძლება... 13**

ტარიელ გაგინძე: 6-7
კათილავაძეობა
ურთიერთობა
აუხილავლად აღგება,
ეს ჩვენს მომავალს სჭირდება

**ალექსანდრე ჭაჭია:
პარტალი
ისტორია
გვჭირდება 16**



საზოგადოებრივ-ჰოლიოტური გამოცემა

6 - 12 მაისი, 2009 №11

საქართველო

& მსოფლიო

www.geworld.net

გამოდის ოთხშაბათობით ფასი | ღარი. ელ.ფოსტა: info@geworld.net



**იძირება გემი,
მგვრამ
ყველაფერი
ჩივდება...**

4-5

...რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დგას
საჭესთან, იგი დაზიანებულია და
ალარ ტრიალებს. გაუგებარია,
სად არის კაპიტანი (ისევ
დაიშალა?!), ისიც გაუგებარია,
ვინ არის კაპიტანი, პრინციპში,
ისიც — იყო თუ არა
კაპიტანი საერთოდ.

// **სნობისათვის**

**ჩიყის ქვა -
გეოპოლიტიკის
იარაღი 3**

// **თხალი თხალის წილ...**

**ნაბ-
აბის
ნაბ-
აბაბი 10-11**

// **O, TEMPORA! O, MORES!**

**გუხაფალის
სიკვდილი 14**

// **აქსკავრატის ტრიბუნა**

**ვინ აღგანს
ბინის ფასს? 19**

// **გველსა ხველით...**

**მიმართვა
საფრანგეთის
ელჩს 21**

**გიორგი თავდგირიძე:
თავდახვის მინისტრის
განცხადება არასაკრიოზული იყო**

მუხროვანში შეიძლება მართლა მოხდა რაღაც
ინციდენტი, რომლის არსიც ჩვენთვის უცნობია,
მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს შეიარაღებული ამბოხი,
გნებათ, აჯანყების და სახელმწიფო გადატრიალების
მცდელობა. შს სამინისტრომ გვაჩვენა მორიგი
ზღაპარი, რომ, თითქოს, საქართველოში
სამხედრო გადატრიალება მზადდებოდა

2-3

**ირაკლი სესიაშვილი:
მონღა თუ არა
ინსიდენტის, საკითხავია**

რადგან ერთ-ერთი მეამბოხე პოლიტიკური
მოვლენების კრიზისის გადაწყვეტას ითხოვდა,
ხომ არ არის ისეთი ვითარება შექმნილი, რომ ჯარი
ითხოვს, — ჩვენ თავი დაგვანებეთ, პოლიტიკურ
მოვლენებში ნუ ჩაგვრთავთ?!. ხომ არ არის
ძალდატანება, რომ აქციის დარბევაში
ჯარი იყოს გამოყენებული?!



სანტაქნიკოსის 20
**ასეთი აღზავება
„მსოფლიოში პირველად“
მიზანს საქართველოში მოხდა**



8

**გილოცავთ
გამარჯვების
64-ე წლისთავს!**

მაქსიმალური



მიხეილ სააკაშვილი
საქართველოს პრეზიდენტი

მე მინდა, გავაფრთხილო რუსეთის ფედერაცია და ძალიან დაუინტერესებო მოვითხოვ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისგან — თავი შეიკავონ პროვოკაციული მანევრებისგან და ყველა სახის პროვოკაციებისგან იმითომ, რომ საქართველოში ეს პროვოკაციები აღარ გავა და ქართველი ხალხი ამ პროვოკაციებს არ წამოეგება.



ლევან კობახია
ნატოში რუსეთის წარმომადგენელი

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ საქართველოს პოლიტიკური თუ სამხედრო ხელმძღვანელობიდან წამოსულ უგუნურ ბრალდებებს, იმასთან დაკავშირებითაც, რომ წვიმაც და ელქექიც, ეს, რა თქმა უნდა, მოსკოვის ბრალია.



დავით ბაკრაძე,
პარლამენტის თავმჯდომარე

თუ რადიკალურ ოპოზიციას ნამდვილად უნდა დიალოგი და არა მხოლოდ ამ სიტყვის გამოყენება, მოვუწოდებ, უახლოესი დღეების განმავლობაში გააკეთონ არჩევანი, სურთ თუ არა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ინსტიტუციონალურ რეფორმებში მონაწილეობის მიღება.



ნიკა ავალიანი
საზოგადოებრივი მუშაველის
ფურცლისტი

სირცხვილის კორიდორთან მყოფ საკანონო გავდიოდი, როდესაც აქციის მონაწილეებმა გინება დაიწყეს ჩემი მისამართით, ვცადე საკნის გამოჩინება და ერთ-ერთი აქტივისტი მომვარდა და ცემა დამიწყო, რასაც, ბუნებრივია, ვუპასუხე. ინციდენტის დროს გარდა ხელისა, დროშის ტარებას მირტყამდნენ. სერიოზული დაზიანებები არ მაქვს, თავს ნორმალურად ვგრძნობ.



გიგა ხაჩიკაშვილი
გენერალი

გარნმუნებთ, რომ ცხინვალის ომის შემდეგ, სააკაშვილისგან განსხვავებით, არც სამხიარულოდ მაქვს საქმე და არც რესტორნებში სასიარულოდ მცალია.



თიმოტეუს შაშვილი,
ექს-გუბერნატორი

მენარმე, რომელიც ფეხქვეშ არ გაერთხმება პრეზიდენტს, მმართველ ჯგუფს, დაღუპულია, მენარმემონა კი — წარმატებული. 2003 წლის ე.წ. „კვარდების რევოლუციის“ შემდგომ მისმა ავტორებმა 50-ზე მეტი წარმატებული მენარმე 100 000-ზე მეტი დასაქმებული მინასთან გაასწორა მხოლოდ იმის გამო, რომ მის (პრეზიდენტის) დაკრულზე არ იცეკვს.



დავით ბაკრაძე,
„რესპუბლიკური პარტიის“
ერთ-ერთი ლიდერი

დროა, გავიხსენოთ ლოზუნგი „საქართველო — პრეზიდენტის გარეშე“. ხალხმა უნდა განსაჯოს, ვინ უნდა იყოს ამ ქვეყნის სათავეში. „ალიანსმა საქართველოსათვის“ სააკაშვილს რეფერენდუმის ჩატარება შესთავაზა, მაგრამ სააკაშვილმა ამ რეფერენდუმის ჩატარება ვერ გაბედა, რადგან იცოდა, რომ ხალხი მის წინააღმდეგ მისცემდა ხმას.



სალმე ჯურაბიჭვილი,
ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი

ჩვენ წინააღმდეგ ხელისუფლების ბრძოლის მეორე ხერხი არის ის შემოთავაზება, რომ დავეტოვოთ სააკაშვილი დროებით ხელისუფლებაში და ამ პერიოდში ჩავატაროთ საპარლამენტო არჩევნები, მაგრამ ჩვენ ამ სატყუარას არ დავთანხმდებით.

ექსპერტები მუხროვანის აპროს

მუხროვანის სამხედრო ნაწილში ბუნტი სამშაბათს, დილით, დაიწყო. ამბოხებულთა დაკავშირებით დაკავებულები არიან სატანკო ნაწილის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი მამუკა გორგიაშვილი, ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი კობა კობალაძე, თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმ „დელტას“ ყოფილი მეთაური გია ღვალაძე და რამდენიმე სამხედრო ქვედანაყოფის ხელმძღვანელი. იძებნებიან გია წკრილაშვილი და კობა ოთანაძე (ეს უკანასკნელი 90-იანი წლების მუხროვანის ცნობილ ბუნტში მონაწილეობდა). ამბოხის ორგანიზებაში ეჭვმიტანილია აგრეთვე ზაზა მუშუქიანი, რომელიც ორთაქალაში განლაგებული სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსია.



ნატოს სამხედრო წვრთნების ჩაშლის მიზნით, რუსეთის ორგანიზებით საქართველოს სხვადასხვა სამხედრო დანაყოფში სამხედრო ამბოხი მზადდებოდა. ამის შესახებ საქართველოს შს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიანიშვილმა განაცხადა. მისი განმარტებით: „ეს გეგმა კოორდინირებული იყო რუსეთთან და როგორც მინიმუმ, ნატოს სამხედრო წვრთნების ჩაშლას, ასევე ქვეყანაში ფართომასშტაბიანი სამხედრო ამბოხის მოწყობას ისახავდა მიზნად.“ საზოგადოებამ „ვანოფიჩერის“ მორიგი ოპერატიული ვიდეომასალაც იხილა.

სამხედრო გადატრიალება მზადდებოდა, რომელიც მონაწილეობდნენ მთელი რიგი სამხედრო ნაწილები, მათ შორის, მუხროვანისაც.

— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

— მოდი, თანმიმდევრობით მივეყვით. პირველ რიგში, თავდაცვის მინისტრის განცხადება საკმაოდ არასერიოზული იყო. ჯერ თქვა, რომ ეს იყო დაუმორჩილებლობა, მაგრამ მერე, ალბათ, გაახსენდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო ამბოხი და თქვა, რომ მუხროვანის შენაერთებმა გამოაცხადეს დაუმორჩილებლობა და ამბოხი. მინისტრის ამ არადამაჯერებელი გამოცხადების შემდეგ ეჭვი მაქვს, რომ მუხროვანში სერიოზული არაფერი ხდებოდა. ამით ხელისუფლებამ კიდევ ერთი დიდი გახიზნა მოახდინა ხელისუფლებაში ყოფნის ვადა. ისიც ითქვა, თითქოს, ამ ქვედანაყოფს არ სურდა მონაწილეობა მიღება დარბევაში, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს ასე არ არის და სხვა სახის ინციდენტს ჰქონდა ადგილი, რასაც გამოძიება დაავადებს.

ფართულად გადაღებულ ვიდეომასალაში ჩანს, როგორ უყვება თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმ „დელტას“ ყოფილი მეთაური გია ღვალაძე რამდენიმე ადამიანს სამხედრო გადატრიალების გეგმის შესახებ. გია ღვალაძე ასევე საუბრობს რუსეთის მონაწილეობაზე: „შემდეგ რა ხდება, რუსები მოდიან ნათას კაცამდე — 2 ბრიგადა, ჩერდებიან ნატოს ტანკებზე, დუშთის გზას ეკეტავენ... იცი, ნათას კაციანი კოლონა რამხელაზე იწელება? 12 კილომეტრზე“... ფართულ ვიდეოჩანაწერში საუბარია აგრეთვე რამდენიმე მაღალჩინოსნის ლიკვიდაციაზე: „რამიშვილი, ბოკერია, მერაბიშვილი... აი, ჯანაშვილი უეკაჩაობ“, არ მინდა, ბიჭო, ჩემთან სახლშია მოსული და დედაჩემის გამომცხვარი ხაჭაპური აქვს ნაჭამი... მოკლან ხო... აი, მერაბიშვილი და უფლავე, ეს „ცვეტში“, ამათ უკვე გადაუწყვიტეს. მე კი არა, ამ საქმეს ვეღარ შეაჩერებს ვერაფერი. ვიცი თარგამაცეო, შეიძლება“...

— თქვენი ინფორმაციით, დარბევამ მონაწილეობაზე თქვა ჯარმა უარი?

— ასეთი ინფორმაცია გავრცელდა, თუმცა, არ ვიცი, რამდენად შეესაბამება სიმართლეს. ცალკე საუბრის თემია ამხანაგი ღვალაძე, რომელიც საბჭოთა კავშირის რეანიმაციას გეგმავს, მაგრამ, როგორც ჩანს, მან ტექსტი ვერ ისწავლა ზეპირად; ხან გვარეობს ავიწყდება, ხან — ის, რისი რეანიმაცია უნდა, დსთ-ში ვართ თუ უნდა შევიდეთ... მოკლედ, ის ხმაღამოვებული ებრძვის ნატოს ჯარების სწავლებას. რაც მთავარია, ეს სცენარიც, ეტყობა, ნაქარვევადაა გაკეთებული, რადგან რაღაც მუხროვანი ინყებს აჯანყებას, იქ რატომ მიდის ტექნიკა?! ჩანს, ნაწილში არის ასეთი მომენტი: „ჩვენ მივალთ იქ, შუქებს ჩავაქრობთ...“ ასე ხდება აჯანყებები?! საუბარია აგრეთვე 200 თუ 250 „პაილუქსზე“, რაც ერთი ბატალიონისთვის წარმოუდგენლად ბევრია, რადგან ერთი სატანკო ბატალიონი 400-500 კაცის ფარგლებშია და ასეთ სიტუაციაში 200-250 მძღოლი ძალიან ბევრია. ბარემ ტანკები გამოეძახებინათ და ისე მოეწყობა აჯანყება... ან რატომ უნდა მიეღო მილიონ 800 ათასი იმ სამპირს, რომელთა სახეებსაც არ გვაჩვენებენ?! და რაკი ღვალაძემ ჩათავა, რომ მათ ეს ფული ეკუთვნის, მნიშვნელოვანი ფიგურები უნდა ყოფილიყვნენ. უკაცრავად, მაგრამ ეს ძალიან დიდ თანხად არ გეჩვენებათ?! გარდა ამისა, სულელურია შეკითხვები იარაღზე:

როგორც აღვნიშნეთ, ეს მასალა შს სამინისტრომ გაავრცელა და ოპოზიციურმა სექტორმა მას კარგად დადგმული ავანტიურა უწოდა. „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე მუხროვანის ინციდენტს ასე გამოეხმაურა: „მუხროვანის აჯანყება მასინ გაიშფოდა, როდესაც სააკაშვილი აჯანყებულ ნაწილში შევიდა. როგორ წარმოვიდგენათ, პრეზიდენტი, რომელიც გორიდან ასე სამარცხვინოდ გამოიქცა, როგორ გამამაცდლებოდა ამ ხნის განმავლობაში ისე, რომ აჯანყებულ ნაწილში შესულიყო?!“ სამწუხაროდ, ქვეყნის მთავარსარდალი გორში საკუთარი ჩრდილის დანახვაზე მართლაც ისე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, რომ პირადად დაცვამ მისი დაჭერა ძლივს შეძლო. ამ ყვე-

„საქართველო და მსოფლიო“ სამხედრო ექსპერტს ბიორბი თავაძემ უსაუბრა.

— ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებთ მუხროვანის სამხედრო ნაწილში მომხდარ ამბოხებას?

— მუხროვანში შეიძლება მართლა მოხდა რაღაც ინციდენტი, რომლის არსიც ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს შეიარაღებული ამბოხი, გნებავთ, აჯანყების და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. შს სამინისტრომ გვაჩვენა მორიგი ზღაპარი, რომ, თითქოს, საქართველოში

„...ავტომატებს როგორს მოგვცემენ, განმედილია, ხომ? შემონებულა ავტომატი?“ ღვალაძე თუ სერიოზულ ოპერაციას ხელმძღვანელობდა და ისეთი პიროვნებები აირჩია, ვინც ასეთ ბავშვურ შეკითხვებს სვამს, ფაქტია, რომ ვერაის კაცი, ასეთი რამის გაკეთება რომ შეუძლია. ეს რომ რეალობას შეესაბამებოდეს, ხომ უნდა იყოს საუბარი კონკრეტულად? საინტერესოა, აგრეთვე, რომ, თურმე, რესტორანში ნახა გენერლები. დარწმუნებული ვარ, კობალაძესა და ფირცხალაშვილს რესტორანში ვერ ნახავდა ბოლო 5-6 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ისინი ჯარიდან წამოვიდნენ. თანაც, როგორც ვიცი, ფირცხალაშვილი საქართველოში არაა და ის იმდენად ფრთხილი კაცია, არ ვიცი, რას უნდა დაჰპირებოდნენ, რომ ამ საქმეში მონაწილეობა მიეღო.

— მოდი, პირდაპირ მიპასუხეთ, ხელისუფლების მიერ თუ შეიძლება იყოს ინციდენტი?

— დიახ, მიმაჩნია, რომ ეს არის ცუდად შედგენილი სცენარის ცუდად განხორციელებული ვარიანტი.

„საქართველო და მსოფლიო“ მუხროვანის ინციდენტთან დაკავშირებით უსაუბრა ასევე სამხედრო ექსპერტს ირაკლი სანიასიშვილს:

— მუხროვანში მომხდარ ინციდენტს ოპოზიციამ უკვე უწოდა იაფთხიანი პროვოკაცია, როგორი იქნება თქვენი, როგორც ექსპერტის, შეფასება?

— შემადგომთეხელი იყო თავად ინციდენტის ფაქტი, რადგან ნორმალურ ქვეყნებში ასეთი რამ არ ხდება. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ ჩვენი ქვეყანა არასტაბილურია და შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო-დემოკრატიული კონტროლი რეალურად ვერ ხორციელდება. რაც შეეხება ინციდენტის შეფასებას, გაცილებით ბევრია შეკითხვა, ვიდრე — პასუხი. რაკი სამხედროებმა დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს და პროტესტის გარკვეულ ფორმას მიმართეს, ცხადია, გარკვეული მოთხოვნაც უნდა ჰქონოდათ. სიმართლე გითხრათ, მე მათი მოთხოვნა ვერ გავიგე, ყოველ შემთხვევაში, არ მომისმენია, კონკრეტულად რა უნდოდათ და რატომ გამოაცხადეს დაუმორჩილებლობა?! —

— როგორც ითქვა, ამბოხებულებმა ხელისუფლებასა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის დიალოგი მოითხოვეს...

— აბსურდია, სამხედრო

ინსპირაციას მიიჩნევენ

მეთაური გაიფიცოს იმის გამო, რომ მოლაპარაკების მაგივრად დასხდეს ხელი-სუფლებს და ოპოზიციას! დიალოგისკენ პოლიტიკოსებს უნდოდა, ეს არ შესრულდა და ვიღაც სამხედრო მეთაურის მიმართვის შედეგად შედგებოდა დიალოგი?! მითუმეტეს, ამ ადამიანმა იცის, რომ გაიფიცა და ბუნდოვანი კანონმდებლობით ისჯება და საეჭვოა, რომელიმე სამხედრო პოლიტიკური დიალოგის მისაღწევად ასეთი ნაბიჯი გადადგას. მეორე მხრივ, ჩვენ ვიხილეთ ხელისუფლების მიერ გავრცელებული ვიდეომასალა, სადაც რამდენიმე შემთხვევითი ფაქტი გაუგებდა, კერძოდ, თურმე, 5 მაისს, 12 საათზე, რუსეთი საქართველოზე თავდასხმას გეგმავდა. თუკი ეს უტყუარი ინფორმაციაა, მაშინ რეალუ-

რად რუსული ჯარი შემოსული უნდა იყოს საქართველოში და ვსვამ კითხვას: რა კონტროლები მიიღო ხელისუფლებამ რუსული აგრესიის შესაჩერებლად? არც ყაზარმული მდგომარეობა გამოცხადებულა, არც — საბრძოლო მზადყოფნა, არც თავდაცვითი შესაძლებლობები გამოყარდა, არც მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ ჩვენ სიმართლე არ ვიცით — ვინ იყო ამ ყველაფრის ორგანიზატორი. აბსურდულად მეჩვენება ისიც, რომ ორგანიზატორები გაიქცნენ. მუხროვანში ვინც არის ნამყოფი, მისთვის ნათელია, რომ იქიდან გაქცევა არც ისეთი მარტივია. რას ნიშნავს — გაიქცა? ნაწილს ალყა ჰქონდა შემორტყმული, ვერტმფრენები დაფრინავდნენ

და ამ დროს მთავარი დამნაშავეები გაიქცნენ?!
— პირდაპირ კითხავთ: ფიქრობთ, რომ ეს ინციდენტი ხელისუფლების მიერაა ინსცენირებული?
— ეს ეჭვი არსებობს, რადგან, ლოგიკური ჯაჭვი ვერ იკვრება. თუ ხელისუფლებას ნინასნარ ჰქონდა ინფორმაცია, რომ 5 მაისს ასეთი ინციდენტი უნდა მომხდარიყო, თუნდაც, ერთი დღით ადრე რატომ არ მოხდა პრევენცია?! მოულოდნელი იყო პრეზიდენტის გამოცხადება, რომელიც აბსოლუტურად მშვიდად საუბრობდა ინციდენტზე, მაშინ, როდესაც ძალები მობოლიზებული იყო მუხროვანის ბრიგადასთან და მეამბოხეებს უარი რომ ეთქვათ დამორჩილებაზე, სისხლი დაიღვრებოდა, რაც ძალიან დიდ ტრაგედია იქნებოდა ჩვე-

ნი ქვეყნისთვის. მერე ნახევარ საათში გაიქცა მუხროვანში და ისე დატოვა სამხედროები, თითქოს არაფერი მომხდარა. მოხდა თუ არა ინციდენტი, შეიძლება ეს კითხვაც კი გაჩნდეს.
— არსებობს ასეთი ინფორმაცია, თითქოს, ამ საჯაროს შენაერთმა მიტინგის დარბევის ბრძანების შესრულებაზე განაცხადა უარი და სწორედ ამას მოჰყვა მათი პროტესტი...
— რადგან ერთ-ერთი მეამბოხე პოლიტიკური მოვლენების კრიზისის გადაწყვეტას ითხოვდა, ხომ არ არის ისეთი ვითარება შექმნილი, რომ ჯარი ითხოვს, — ჩვენ თავი დაგვანებეთ, პოლიტიკურ მოვლენებში ნუ ჩაგვრთავთ?! ხომ არ არის ძალდატანება, რომ აქციის დარბევში ჯარი იყოს გამოყენებული?! არსებობს მრავალი პასუხგაუცემელი შეკითხვა, რასაც ხელისუფლებამ უმოკლეს დროში უნდა უპასუხოს.
მანანა ჩხეიძე

რიყის ქვა — გეოპოლიტიკის იარაღი

კარგახანს იყო რიყის ქვა პროლეტარიატის იარაღი — ქუჩის ბრძოლები, შეტაკებები, ბარკადები, გავროში... მაგრამ, ჰე, როდის იყო ეს...
ახლა რიყის ქვად ქვეყანა შეიძლება გამოიყენონ, სხვა სახელმწიფოს „ნამოსაკიდებლად“ და შიშის იმ ეფექტის შესაქმნელად, გონიერმა კაჭკაჭმა რომ იცოდა და ყვეფი ყვავს რომ აფრთხილებდა. მაგრამ არ ეშინიათ დღეს ასეთი მუქარის, თუნდაც, მოდერნიზებული რიყის ქვის გამოყენებით.


თულების რომელიმე პუნქტში ფლავს უფასოდ არიგებენ და გარბიან იქით, არ ვიცი, საით...
ვერქინებით ამ რუსეთს და გვემტვრევა რქები. ისევ ვერქინებით. აშშ კი რუსეთთან შეხების წერტილებს ეძებს და ურთიერთობის აწყობას ცდილობს.
ჩვენ რუსეთთან კვლავ ომის პირას ვდგავართ. სააკაშვილი ასე ამბობს. გუშინაც გაიმეორა.
ამერიკა კი შორსაა, თუმცა, დღეს საქართველოში ნატოს სამხედრო წვრთნა იწყება 18 ქვეყნის 1100 სამხედრო მოსამსახურის მონაწილეობით.
შარშანაც მოეწყო და რა არის იმ ამბო უჩვეულო?
ის, რომ დღეს შეცვლილია გარემო — ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია.
ხელისუფლებას, როგორც ჩანს, ხელს აძლევს უცხო ჯარების შემოსვლა — ეგეზა, გამყაროს შერყეული პიედესტალი.
მაგრამ პრობლემა არც ჩვენი იწყება, არც ჩვენი მთავრდება. ჩვენ წინააღმდეგობაში ისე ვერჩებით, როგორც ლურსმანი სკამში. ბრიუსელში გასამართ ნატო-რუსეთის საბჭოს შეხვედრაზე რუსეთი მონაწილეობას არ მიიღებს. ეს უკავშირდება 6 მაისს საქართველოში გასამართ ნატოს სწავლებას.
ნატოს მაღალჩინოსნებმა ღრმა მწუხარება გამოთქვეს ამ ფაქტის გამო.
გაარკვიონ ერთმანეთში ურთიერთობა.
მაგრამ ჩვენ გვერდზე ხომ ვერ დავრჩებით და ვინცებთ „სამხედრო ამბოხს“ აღნიშნული წვრთნის ჩასაშლელად. ოფიციალური ვერსიით, ამ ამბოხის უკან რუსეთი დგას.
რა გახდა ეს წვრთნა, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის გამოყენებლად რომ უნდა გაიმართოს? ჩატარდება-არ ჩატარდება — არც ავშენდებით, არც დავინგრევით.

ამიტომ სულ მთლად უსახო და უეფექტო რომ არ გამოვიდეს, გამაფრებია საჭირო, რით?
თუნდაც, „ბუნტი“, რომლისაც ასე ეწოდება „ვერის უბნის მელოდიების“ პოლიცმაისტერს.
„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ვიდეოჩანაწერებს, რითაც ამბოხის ნამდვილობას ადასტურებენ, ერთი მსახიობის თეატრს თუ ერთი მსახიობის მიერ დადგმულ სპექტაკლს ადარებს.
არ მეგონა, თუ კოტე მახარაძის შემდეგ ვინმე შეეძლება ერთი მსახიობის თეატრის აღდგენას.
შეძლებიათ, კაცო!
„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი კატეგორიულად აცხადებს, რომ ქართული სამხედრო მოსამსახურეები არ ითამაშებდნენ რუსეთის თამაშს.
რა უნდა ეთამაშათ, რაც არ იყო?
მსახიობებიც არ ჰყოლიათ ამ ჩვენთანებს!..
სამაგიეროდ გვაქვს სხვა რამ: 6 წუთისა და 15 წამის ხანგრძლივობის ბიუროს სხდომა პარლამენტში შეპარული ხელმძღვანელობის, მთავრობის 12-წუთიანი სხდომა პრეზიდენტის განცხადებისთვის მოწვეული, ხუთი თუ ორდღიანი ომი და სულ ცინცხალი ორსაათიანი სამხედრო ამბოხი.
სად ხარ, კოლეგა გვანჯი მანია? ა, ბატონო, გამზადებული რეკორდები გინგის ნიგნისთვის...

იცით, კი, რა უთხრა კაჭკაჭმა ყვავს?
კაჭკაჭმა უთხრა ყვავსაო, აჰყვი გულის თქმასაო, კაცი რომ დაიკუზება, შენთვის აიღებს ქვასაო.
თორნიკე მანუჩიძე

ლოდი ადგილიდან თუ არ დაიძრა, წყალი არ შეუდგებაო. ცუდია ლოდის ადგილიდან დაძვრა.
უარესი ყოფილა ჩანკნიკებული ფილაქანიდან ქვის ამოგდება, რა მიზნითაც გინდა იყოს — სად გაგორდება და გზისპირა რომელ თხრილში ჩაიკარგება, არავინ უწყის: გადათხრილი გზები გვაკლია თუ სიბინძურით სავსე ცენტრალური მაგისტრალი?
პირდაპირ ვთქვით სათქმელი, რადგან ეზოებს ენა ეზოებსნაირად ვერავის გამოუყენებია.
საქართველოს იყენებენ (ან სურთ, გამოიყენონ) რო-

გორც საბრძოლო იარაღი რუსეთის წინააღმდეგ: რუსეთ-ამერიკის დაძაბულობის ველს მაინცდამაინც ჩვენს ტერიტორიაზე ქმნიან.
ამოსავალი წერტილი — ნატო, უფრო ზუსტად, საქართველოს ნატოში გაერთიანების პერსპექტივა. მაგრამ ჩრდილოეთის ამ ალიანსში არ გვიღებენ, რუსეთთან ურთიერთობა კი სულ უფრო და უფრო გვეძაბება.
ამათ საგარეო პოლიტიკა აინონა-დაინონას თამაში ჰგონიათ: რაც უფრო დაანვები ფიცრის აქეთა მხარეს, რაც უფრო ხისტი იქნები და ჯიუტად დაახვავებ უაზრობებს, უფრო „ჰაერში ასწევ“ მონინაღმდეგვს.
ასე პრიმიტიულად ბავშვებიც არ იქცევიან ომობანას თამაშის დროს.
ამათ, ეტყობა, მოლაპარაკების იარაღი, დიჯერეს, რომ არჩეული მიმარ-



მაგისტრალი

ლიმბრიკი მადველიძე,
რუსეთის ფედერაციის
პრეზიდენტი:



როგორც უნდა ეცადონ, დაგვიმტკიცონ საპირისპირო, ნატოს სამხედრო წვრთნები საქართველოში ღია პროვოკაციაა და სხვა არაფერი.

იულია ტიმოშენკო,
უკრაინის პრემიერ-მინისტრი:



ყველა საკითხი, რომელიც გადასაწყვეტი იყო რუსეთთან, გადაწყვეტილია. ყველა მოლაპარაკება, მათ შორის, რუსეთის პრემიერთან, მიმდინარეობდა მეგობრულ ატმოსფეროში. ყველა საკითხი, რომელიც აუცილებლად გადასაწყვეტი იყო, გადაწყვეტილია. მე ძალიან კმაყოფილი ვარ შეხვედრით.

გიორგი თარბამაძე,
საპარლამენტო
უმცირესობის ლიდერი:



გადაწყვეტილებას მაგისტრალისა და გზატკეცილების ბლოკირების შესახებ ჩვენ განვიხილავთ როგორც კონტრპროდუქტიულ ნაბიჯს არსებულ რეჟიმთან ბრძოლის საქმეში. იმავდროულად ეს შემაფრთხილებელი ფაქტორია საქართველოში დაგეგმილი ნატოს სამხედრო-სამეთაურო და სხვა წვრთნების ჩატარებისათვის.

ზურაბ ნოღაიძე,
ექს-პრემიერ-მინისტრი:



დიალოგი ხელისუფლებასთან იმ პარტიებმა უნდა აწარმოონ, რომლებიც ამ დროისთვის ქუჩაში არიან, ჩვენი მხრიდან კი დიალოგის წარმოება მორალურად გაუმართლებელი იქნებოდა.

სოსო შატბერაშვილი,
ლეიბორისტული პარტია



გამოსავალი ერთადერთია. სააკაშვილის ნასვლას ალტერნატივა არ აქვს. დიალოგს რაც შეეხება, მასთან დიალოგი კი არა, ჩვეულებრივი საუბარიც კი შეუძლებელია, რადგან ის საწინააღმდეგო აზრს ვერ იტანს. პრემიერ-მინისტრებსაც კი, რომლებიც მუდამ თავს უკანსტურებდნენ, საწინააღმდეგო აზრის გამოთქმის შემთხვევაში, მათ მობილურებს ესროდა ხოლმე.

მამუკა კაციტაძე,
„ახალი მემარჯვენეების“
ერთ-ერთი ლიდერი:



ხელისუფლება როდესაც საუბრობს მოლაპარაკებებსა და დიალოგზე, ამის მეტს არაფერს აკეთებს. ელემენტარულად მას არ აქვს იმ საკითხთა წესება, რომელიც მისთვის იქნება სასურველი ამ საუბრის დროს. ამიტომ ხელისუფლება დეკლარირების გარდა სხვას არაფერს აკეთებს. დიალოგის თემის გადაწყვეტა მარტო ოპოზიციასზე არ არის დამოკიდებული.

ლევან გაჩეჩილაძე,
ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი:




ქალბატონო ინგა, თუ მართლა არ მოგწონთ არხის საინფორმაციო პოლიტიკა, რატომ არ ინვესტირებთ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს ლევან ყუბანეიშვილს? რატომ არ დაუსვამთ ისეთ მწვავე შეკითხვებს, როგორც ამას სხვა რესპონდენტების შემთხვევაში აკეთებთ? გაბედეთ და გააშიშვლეთ ეს თემა, ფარდა ახადეთ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ არაობიექტურობას.

თორნიკე მანუჩიძე

გაზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვიკავშირდით: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო



ოტია იოსელიანი: ძველსავე უბედურება ტრიალებს

მწერალ ოტია იოსელიანს საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება უჭირს, რადგან ავადმყოფობის გამო თბილისში ჩამოსვლას და სიტუაციის ადგილზე გაცნობას ვერ ახერხებს, ქართული მედიისგან მიღებულ ინფორმაციას კი არ ენდობა. „ეროვნული უბედურება ტრიალებს ქვეყანაში და ტელეფონით ამ თემის ახსნა და ფილოსოფიური განსჯა ბუფტური იქნება. მეორეც, უნდა ვესწრებოდე ადგილზე, თბილისში, დატრიალებულ ამბებს, რომ ვიცოდე, სინამდვილეში რა ხდება. მე ახლა წყალტუბოში ვარ და ვმკურნალობ. აქედან რა უნდა გითხრათ? ჩვენი ტელევიზიების და პრესის საშუალებებით რა უნდა გავიგო? ყველაფერს დამახინჯებულად გადმოსცემენ. სინამდვილეში რა ხდება, არ ვიცი, ამიტომ პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებ“, - განაცხადა სატელეფონო საუბრისას ოტია იოსელიანმა.

გარდაცვლილი ჯარისკაცის ოჯახი გაემიჯნა არ ენდობა

რამდენიმე დღის წინ გარდაცვლილი ქუთაისის მესამე ქვეითი ბრიგადის საარტილერიო ბატალიონის კაპრალის იგორ გამდიშვილის ოჯახის წევრები გამომიძიებას უნდობლობს უცხადებენ. როგორც გარდაცვლილის ახლობლებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, ისინი არ ენდობიან ვერსიას, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. ოჯახის წევრთა თქმით, იგორ გამდიშვილი თავს არ მოიკლავდა. იგორ გამდიშვილს გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში ხვალ, 5 მაისს, დაკრძალავენ. შეგახსენებთ, რომ კაპრალის ცხედარი სიმონეთის სანვრთნელ ბაზაზე 1 მაისს იპოვეს. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის საგამომიძიებო ნაწილის უფროსის გაგა კირკიტაძის განცხადებით, წინასწარი ინფორმაციით, გამდიშვილმა თავი მოიკლა. გამდიშვილი მესამე ქვეით ბრიგადის ბოლო ორი წლის განმავლობაში მსახურობდა. იგი ქართულ ბატალიონთან ერთად ერაყში იმყოფებოდა.

მაქროეკონომიკა



რაულ ხოსბი, კინორეჟისორი: ოპოზიციამ ცოტა უფრო მეტი უნდა თქვას იმის შესახებ, თუ რა იქნება მომავალში ხელისუფლების ნასვლის შემდეგ და საკუთარი გეგმების დეტალები გავვიმუდავნოს. მიმანჩია, რომ საკუთარ ხალხთან დასამალი არაფერია.



დავით საბანალიძე, „ახალი მემარჯვენების“ ერთ-ერთი ლიდერი: იმის გამო, რომ ქვეყანას ბინძური პოლიტიკოსები მართავენ, მე უარი ვთქვი ჩემს მანდატზე. ფაქტია, რომ დღეს ქვეყანა პარალიზებულია. ბინძური ადამიანების გვერდით ყველაფერი ბინძურია. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა თქვან, რომ პოლიტიკა სუფთა ყოფილა.



ზურა ნოლიძე, ექს-პრემიერი-მინისტრი: მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ ომი ჯერ არ დასრულებულა და ტერიტორიებს დააბრუნებს ჯერ კიდევ მისი პრეზიდენტობის დროს. კარგად ვიცით, რომ არაფრის დამბრუნებელი არ არის. უშუალოდ ომისა და ომის შემდგომ დღეებში გორში კარგად ვნახეთ მისი ვაჟკაცობა.



კაბა კალაშვილი, ფეხბურთელი: ყველა ჩვენს თხოვნას სამინისტრო მკაცრად პასუხობდა, რომლის მიხედვითაც, ყველა ვალდებულია კონტრაქტში მითითებულ ვადებში უნდა შესრულდეს. ეს შეგვიძლია, შევავსოთ როგორც ეკონომიკის სამინისტროს საბოლოო უარი, ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებას. ეს ხდება იმ დროს, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ინვესტიციების მოზარდობაზე ხაზს უსვამს.



მანანა ნატყაშვილი, „ახალი მემარჯვენების“ ერთ-ერთი ლიდერი: თუ გიგი უგულავას უნდა ომი საკუთარ ხალხთან, იგი ამ ომს მიიღებს, ანუ ხალხი შეასრულებს იმ ფუნქციებს, რასაც მერია არ ასრულებს.



დავით ლიშვილი, „არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის“ წარმომადგენელი: რით განსხვავდებიან ოპოზიციის ის ზოგიერთი წარმომადგენლები ხელისუფლებისგან, თუ ისინიც ხალხს ატყუებენ და თავიანთ პირობას არ ასრულებენ? რა სხვაობაა ზოგიერთ ოპოზიციონერსა და სააკაშვილს შორის, თუ ერთს იძახიან და მეორეს აკეთებენ. არ ვიცი, ვინ როგორ მოიქცევა, მაგრამ ჩვენ ნამდვილად დავუპირისპირდებით იმ ზოგიერთ პოლიტიკურ სუბიექტს, ვისაც უკომპრომისო, მშვიდობიანი ბრძოლის გაგრძელების ნებისყოფა არ ეყო.

იძირება ბაი, მახრება

პოლიტიკური კრიზისი კულმინაციას უახლოვდება. საზოგადოება დაძაბულ მოლოდინშია, რადგან მოვლენების ყველაზე მძიმე სცენარი განვითარების ალბათობა საკმაოდ მაღალია. ამასთანავე, ცხადია, რომ კრიზისი არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. საქართველოს ამის ფუფუნება არ აქვს და მოსახლენი, ალბათ, მაინც უნდა მოხდეს. რაც მალე — მით უკეთესი, რადგან სახელმწიფოებრიობის ეროზია თვალსა და ხელს შუა ეროვნულ კატასტროფაში გადადის. საინტერესოა, რომ ჩინელები სიტყვებს (ცნებებს) „კრიზისი“ და „შესაძლებლობა“ ერთი და იმავე იეროგლიფით აღნიშნავენ, რითაც ბრძენი და დაკვირვებული ერის რეპუტაციას ნამდვილად ადასტურებენ. კარგი იქნება, თუ შექმნილ ვითარებას ამ გადასახედობა დაგვიხილავთ. დასაწყისისთვის ურიგო არ იქნებოდა, გვეცადა, ადეკვატურად შეგვეფასებინა ის გარემო, რომელშიც ქვეყანა იმყოფება.

როგორ უნდა იყოს დათვი?

— ექსპერტები ამ ბედკრულ პლანეტაზე ორ ძირითად კატეგორიად იყოფიან. უმრავლესობას ტელეეკრანიდან ბუზის საკლავითაც ვერ მოაშორებ, მათი მთავარი ფუნქცია ამა თუ იმ გავლენიანი ჯგუფის ინტერესებიდან გამომდინარე საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაა; ამ დაკვეთას ისინი ალგზნებული შამანების ენერგიული მონაღინებით ასრულებენ. საქართველო ამ მოდემის მიერ ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული ქვეყანაა, მაგრამ არაინა სხვა ექსპერტებიც, რომელთა (საჯაროდ არცთუ ხშირად გამოთქმული) მოსაზრებების მოსმენა, გრძელვადიანი ტენდენციების ამოსაცნობად ფრიად სასარგებლოა. აშშ საგარეო-პოლიტიკური კურსის კორექტირებას წინ ყოველთვის ასეთი ადამიანების მიერ ახალი იდეების გახმოვანება უძღვის.

გრძელვადიანი ტენდენციების და მისი რაიმე ფორმით ინსტიტუციონალიზირება დაფიქსირების აუცილებლობა გამოჰყავს. სხვა ამერიკელი ექსპერტი ჯეიმს ჯატრასი კი ავითარებს ამ აზრს და უკრაინის „ფინლანდიზაციის“ აუცილებლობაზე საუბრობს (ამ მოუქნელი ტერმინით აღიწერება დასავლურ ლიბერლებზე ორიენტირებული ფინეთის განსაკუთრებული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან სამხედრო ნეიტრალიტეტის პირობებში). „აღმოსავლეთის მიმართული ნატოს უსაფრთხო გაფართოების ზღვარი უკვე მიღწეულია. შემდგომში გაფართოება კი შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ უსაფრთხო უკვე აღარ იქნება“, — წერს დიმიტრი ტრენინი, მოსკოვის „კარნეგი ცენტრის“ დირექტორი, რომელიც ხშირად ძალზე სერიოზული, ტრანსნაციონალური ძალების პოზიციას ახმოვანებს (ამ ექსპერტის კალიბრზე ირიბად მიანიშნებს ის ფაქტი, რომ მას, ერთადერთს პოსტ-საბჭოეთიდან, ინვევენ ისეთი წონიანი ორგანიზაციის, როგორცაა „ბილდერბერგის კლუბი“, მიერ ორგანიზებული ღონისძიებებზე).

როდესაც საქართველოს ხელისუფლებაში მსგავსი მოსაზრებებს ეცნობიან, მყისვე იწყება გნიახი — „ისინი გაზარდეს იყიდა“. „გაზარდეს“ იყიდა ყველა ეს ექსპერტი ბითუმად და მოხუცებული კისინჯერიც უნდა მიაყიდა, — ასეთ რამესაც ამბობენ ხოლმე. ეს კერძო პირის მოსაზრებაა, რომელიც არანაირად არ აისახება აშშ პოლიტიკაზე საქართველოსთან მიმართებაში, რომლის უზენაესი მიზანი, შენ არ მომიკვდეს, თურმე, ადგილობრივი პოლიტიკური დეგენერატების ერთი ჯგუფის რჩენა და მისთვის ცხვირის მოხოცვაა. ამ ხალხს ვერ გადაარწმუნებ, მაგრამ მოვიყვანათ კიდევ ერთი ციტატა სხვათა მოხსენებებიდან, რომლებიც არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ ამომრჩეველთა წინაშეც არიან პასუხისმგებელი. გავლენიანმა, ორივე პარტიის წარმომადგენელთაგან შემდგარმა „რუსეთთან მიმართებაში განხორციელებული პოლიტიკის კომისიამ“, რომელსაც ხელმძღვანელობენ სენატორები გერი ჰარტი (დემოკრატი; კოლორადო) და ჩაკ შაველი (რესპუბლიკელი; ნებრასკა), საკუთარი ხედვა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ვამინგტონი არ უნდა ელოდეს, რომ იგი შეძლებს, განახორციელოს რუსეთის საზღვრებზე საკუთარი გავლენის ზონის შექმნის მცდელობა და ამავდროულად რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობები განავითაროს. ჩვენ არ ვთვლით, რომ მოცემულ მომენტში შეერთებული შტატების უსაფრთხოების ინტერესები მოითხოვენ უკრაინის და საქართველოს ნატოში გაწევრიანების დაჩქარებას“. ქართული პოლიტიკური აზრის ტიტანები (კაცმა რომ თქვას, „ტიტანიკები“), ალბათ, ამ შემთხვევაში იტყვიან, რომ ამერიკელი სენატორები და კონგრესმენებიც „გაზარდეს“ იყიდა, მაგრამ რეალობა ცოტა სხვაგვარია.

ეს ადამიანები საკუთარ მოქმედებებში აშშ ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობენ. ისეთი სიტუაცია რომ იყოს, როდესაც რუსეთს ყელში უნდა სწვდეს, როგორც დაუძღვრებულ, სისხლისგან დაცლილ დათვს მგელი სწვდება ხოლმე, მერწმუნეთ, ჩამოთვლილ პიროვნებებს ცოტა ვინმე თუ დაასწრებდა. მაგრამ ისინი ხედავენ, რომ დათვი, მიუხედავად ძველი ჭრილობებისა, ცოცხალია, კვლავ მოიკრიბა ძალები, დახეტება ტყეში, რომელსაც საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს, დაკარგულ ბელებს და საჭმელს ეძებს; სანამ ამ საქმეს არ მორჩება, არ დამშვიდდება და არც დაიძინებს. ვამინგტონში მშვენივრად ვსმით, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ დათვს იდეაში შეიძლება ჩაუდარდეს, შეიძლება ხაფანგი დაუფლოს, ცრუ კვალზე დააყენოს და გამოუვალ ადგილას შეიტყუოს, მაგრამ ორი რამის გაკეთება ნამდვილად არ შეიძლება — გზა არ უნდა გადაუღობო და განცემა არ უნდა გააბრაზო, თორემ წინაპრების მიერ ბაბაიანდობული დათვი ისე გაგიტანს, შეიძლება ვერც შეამჩნიოს. ეს ყველაფერი უკვე იყო — ტორის პირველმა დარტყმამ ძირს დაგვადო, მეორემ — ხორცი მოგვავლიჯა და სისხლისგან დაგვცალა. რაღა ვქნათ, თვალმდებარეობები, მესამე, მომავლენებელ დარტყმას ველოდით?

ეს ძალიან ძველი (პრინციპში, მარადიული) თამაშია, ბრძოლა, რომელშიც ატლანტიკური (ანგლო-საქები) ამა თუ იმ სატელიტებთან ერთად კოალიცია, როგორც მგლების ხროვა, ებრძვის კონტინენტურ დათვს (რუსეთს, ხანდახან — ვერმანისა და სხვებს). დათვის პრობლემა ისაა, რომ ვერ ერთიანდება იან და თითოეული თავის ჭკუაზე დაბორიანობს, მგლების პრობლემა კი — რომ დათვი არანორმალურად ძლიერი არსებაა, რომელსაც პირისპირ ვერ დაეჯახები. საქართველო კი მხოლოდ შექმნილია, ისეთი, როგორც ვაჟამ აღწერა.

მიშრალი ბოცმანის დღიურები

ეს სახალისო ზოლოგია ძალიან შორს წავიყვანს, მიუთმეტეს, რომ ტყეში ხანძარია, ანუ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. სუსტი სახელმწიფოებისთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, საკუთარი მოქმედებები ძალიან ფრთხილად გათვალონ. სახელმწიფოს მდგომარეობა ამ დროს ძალიან ჰგავს გემის გაცურვას აისბერგებით სავსე აბობოქრებულ ზღვაში, რომლებიც ერთმანეთს ეჯახება და მიმართულებას იცვლის. აქ მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ აირჩიოს სწორი კურსი, არამედ საჭიროების შემთხვევაში ფრიად მარჯვედ ატრიალო საჭე, შექმნილი მდგომარეობა არა მხოლოდ სტრატეგიულ გათვლას, არამედ უზადლო ტაქტიკურ ოსტატობასაც მოითხოვს. ის გადაწყვეტილებები, რომელთაც მივიღებთ ამ წლებში (უკვე თვეებში), განსაზღვრავს ჩვენს ბედს მონავალი ათწლეულების განმავლობაში გლობალური საფინანსო სისტემის გარდაქმნისა და ახალი მსოფლიო წესრიგის (უფრო უნესრიგობის) ფორმირების შემდეგ. თავისი მნიშვნელობით ეს რაღაცით ჰგავს დროის მონაკვეთს „დიდი დეპრესიის“ მეორე მსოფლიო ომამდე, როდესაც ტაქტიკური ხასიათის გადაწყვეტილებებმა საგარეო და საშინაო პოლიტიკაში მათთვის არადადამახასიათებელი წონადობა შეიძინა.

საქართველო

გზური, გაზიფიკაციის თემაზე მოსაზრებები? დაგვიკავშირდით: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



გამოქვეყნების გამო. ბერლუსკონის განცხადებით, ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როდესაც მისი მეუღლე ნინა-საარჩევნო პერიოდში მსგავს თემებზე იწყებს საუბარს პრესასთან, პრემიერი მიიჩნევს, რომ ლარიო მისი პოლიტიკური ოპონენტების მხეში გაება. ცნობისათვის, სილივი ბერლუსკონისა და ვერონიკა ლარიოს 19 წლის ქორწინება აკავშირებთ. წყვილს სამი შვილი ჰყავს.

ბრიტანეთმა ტანკების ნაკრები შეწყვიტა

ბრიტანულმა კორპორაცია „ბიეი სისტემსმა“ „ჩელენჯერ 2“ ტიპის ტანკების წარმოება შეწყვიტა. კორპორაციამ ნიუკასლში, თელფორდში და შროფში მდებარე ქარხნები დახურა და 5000 სპეციალისტი უმუშევარი დარჩა.

კორპორაციის ინფორმაციით, ამ გადაწყვეტილების მიზეზი ხელი-სუფლებისგან დაკეცილების არ არსებობაა. ინგლისელი სპეციალისტები აფრთხილებენ ბრიტანეთის მთავრობას, რომ სამომავლოდ სამხედროებს ახალი ტანკების ათვისება მოუწევთ, რომელთაც გერმანული ქვეყნები და შვედური საავალი ნაწილი ექნება. ბრიტანული სატანკო

ქარხნების დახურვამდე დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ჯონ ჰატონმა განაცხადა, რომ უნდა გადაიხედოს შეიარაღება, ცოცხალი რეზერვები და ინვესტიციების ბალანსი თანამედროვე ტექნოლოგიებში. ზოგიერთი სამხედრო ექსპერტის აზრით, თანამედროვე ომებში მძიმე ტანკის გამოყენების საჭიროება თანდათან მცირდება.

ბერლუსკონის ცოლი უკრაინაში

სილივი ბერლუსკონის ცოლი განქორწინებას თხოვს. ვერონიკა ლარიოს განცხადებით, მან ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ მაშინ მიიღო, როდესაც შეიტყო, რომ მისი ქმარი ნეაპოლში 18 წლის გოგონას დაბადების დღეზე იმყოფებოდა.

მისივე განმარტებით, მას არ შეუძლია გააგრძელოს ცხოვრება ისეთ მამაკაცთან ერთად, რომელიც არასრულწლოვანი გოგონებითაა გატაცებული. როგორც პოპულარული იტალიური გამოცემები იუწყებიან, ლარიომ უკვე გააცნო თავისი გადაწყვეტილება ადვოკატს.

თავის მხრივ, 72 წლის პრემიერ-მინისტრმა, მილი-არდერმა სილივი ბერლუსკონიმ აღფრთოვანება და მწუხარება გამოთქვა აღნიშნული საკითხის მასმედიაში

ყველაფერი რიგზეა

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი რამ, უკრაინის მომავალზე ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები საქართველოზე ავტომატურად არ ვრცელდება. არც ის ვარიანტია გამორიცხული, რომ თეთრი სახლი უკრაინასთან დაკავშირებული პრობლემების დარეგულირებაზე („ფინლანდიზაციის“ გზით) წავიდეს და, ამასთანავე, საქართველოს კვლავ რუსეთთან დაპირისპირებული სახელმწიფოს ფუნქცია დააკისროს. ეს ვამინგტონს უფრო ფართო მანევრის შესაძლებლობას დაუტოვებს. ამ შემთხვევაში ჯერი საქართველოზე იქნება — დათანხმდება თუ არა იგი კვლავ ამ ფუნქციის შესრულებას? ვინ იქნება ამ დროს ხელისუფლებაში?



ამგვარად, გემი აისბერგებით საესე ღია ზღვაშია. ტრიუმფით ივსება, დაფლეთილია იალქნები, კორპუსის ნაწილი მოგლეჯილია, ეკიპაჟი და მგზავრები კი უმონყალოდ სცემენ ერთმანეთს და დაუბნეული რევოლუციონარული შაერში ისვრიან. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დგას საქვსთან, იგი დაზიანებულია და აღარ ტრიალებს. გაუგებარია, სად არის კაპიტანი (ისევე დაიძალა?!), ისიც გაუგებარია, ვინ არის კაპიტანი, პრინციპში, ისიც — იყო თუ არა კაპიტანი საერთოდ. მთვრალი ბოცმანი (როგორ ფიქრობთ, ამ როლს გრიგოლ ვაშაძე მოუხდებდა?) იგლეჯს ზოლებიან მაისურს და მღერის (უფრო ღრიალებს) „კვარიაგა“. ისტერიულად კვიან ქალები და უახლოდ ილიძება კოკაინისგან აჩრდილად ქცეული შტურმანი. ორკესტრი უკრავს...ო, როგორ უკრავს ორკესტრი! გაურკვეველი ჯურის ჯუჯები ტრიუმფი იხანაილებენ ტვირთის ნარჩენებს, რომელთან ერთად მალევე ფსკერისკენ დაეშვებიან. ვილაც ჯერ კიდევ ეძებს სამაშველო რგოლს, ვილაც ღვინის (თუ რომის?) კასრზე კარტს თამაშობს. ახლოს მყოფი კრეისერები მზად არიან, ბოლო მოუღონ ამ ხომალდის განწეული აგონიას, როგორც კი დიდ ნაოსნობას საფრთხე შეუქმნის. იქვე კონტრაბანდისტების ნავები ტრიალებენ და ნადირობენ ზანდუკებზე, რომელნიც გემიდან წყალში ცვივა. იუნგა კი ტირის, მაგრამ ამას არავინ ამჩნევს. არადა, ეს ჩვენი ხომალდია და სხვა არასოდეს გვექნება.

თეთ, რაც გინდათ; გნებავთ, წყალში გადაყარეთ არშემდგარი ეკიპაჟი კაპიტანთან ერთად (მაინც ვერ გაგივით, სადაა), გნებავთ, დემოკრატიული წესით გადაარჩინეთ, მთავარია, ხომალდის გადაარჩინას დროზე შეუდგეთ. და, თუ არ შენუხდებით, ბოცმანს მეტი აღარ დაუსხათ.

საინტერესო ისტორიული ფაქტი: ძველ საბერძნეთში იმ ოჯახებში, რომლებშიც მამაკაცები თაობიდან თაობამდე პროფესიონალი მეზღვაურები ხდებოდნენ, ბიჭებს ცურვას განებდნენ არ ასწავლიდნენ. ეს შეგნებული არჩევანი იყო, ერთგვარი მსხვერპლი, რომელსაც კაპიტანი გემს სწირავდა. ცხადი იყო, რომ ისინი ერთმანეთს ვერასოდეს გამოედებოდნენ, რაც უნდა მომხდარიყო. ბერძენი კაპიტნები, რომლებმაც ცურვა არ იცოდნენ, ანტიკური სამყაროს საუკეთესო მეზღვაურები იყვნენ.

ეპილოგი დიალოგის ნაცვლად

ფრანგებს როდესაც სურთ, მაღალი სფეროებიდან კვლავ დედამინაზე დაუშვან, ამბობენ: „ჩვენს ცხოვრებას დაუბრუნდეთ“. პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე გასულ კვირამ კვლავ იმეორებდა სიტყვას „დიალოგს“ ყველა ბრუნვაში, მაგრამ მაინც არავინ ელაპარაკებოდა (ხალხო, ან დაინდეთ, ან თუთიყუში უყიდეთ, ის მაინც დაელაპარაკება). ბოლო ჩამოყალიბებული აზრი, რომელიც ამ პოლიტიკოსისგან მოვისმინეთ, შემ-

მარჯვნიდან მარცხნივ — ლევან ვეფხვაძე, დავით ბაქრაძე, დიმიტრი შაშკინი. ბაჩუკი ქარდავაც თუ დღეტევა, ხომ კარგი, თუ არა — პრობლემა არაა. ახლა სერიოზულად: ცხადია, რომ შეხვედრები ასეთი შემადგენლობით მიმდინარე კრიზისის დაძლევის თვალსაზრისით ისეთივე უაზრობაა, როგორც ნუგზარ ნიკოლაურის ვიზიტი დალაი-ლამასთან (საბრალო მოხუცი), მაგრამ სწორედ ამ შეხვედრებზე შეიძლება დაიწყოს ხელისუფლებისთვის სასურველი სცენარის გახმოვანება. საუბარი, სავარაუდოდ, შეეხება ვადაძედელ საპარლამენტო არჩევნებს (ნაკლები ალბათობით, რეფერენდუმს) და კონსტიტუციური ცვლილებების პაკეტს, რომელმაც სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენის ლეგალიზება უნდა მოახდინოს. დაუდასტურებელი ინფორმაციით (ძველად რომ იტყოდნენ, „ადგილებიდან“) საარჩევნო კომისიებში მკვეთრი გააქტიურება-სამზადისი შეინიშნება. თუმცა შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ ერთი (მმართველი) პოლიტიკური ძალის მიერ, როგორც ეს 7 ნოემბრის შემდეგ მოხდა, მეტად ნამგებია. სავარაუდოდ, მას წარმოაჩენენ როგორც „კონსტიტუციულ ოპოზიციასთან“ დიალოგის ნაყოფს.

ცხადია, ამ პიოთეტური არჩევნიდან არაფერი გამოვა დღეს საპროტესტო აქციებში ჩართული, თუნდაც ერთი პოლიტიკური გაერთიანების მონაწილეობის გარეშე. აქ კი ჩვენ ვუახლოვდებით ეჭვს, რომელიც ბოლო ერთი თვეა, რუსთაველის გამზირს შავი ყორანივით დასტრიალებს; ეჭვს იმის შესახებ, რომ რაღაც მომენტში (მაგალითად, ძალადობის ტალღის ფონზე მისი შეჩერების მოტივით) ერთ-ერთმა პოლიტიკურმა ძალამ შეიძლება ხელისუფლების თამაში ითამაშოს (თქვენ ვისზე იფიქრეთ? სიმართლე რომ ვთქვათ, მეც მათზე ვიფიქრე), თუმცა, შესაძლოა, ამ ეჭვის მიღმა რეალური არაფერი იდგეს და მის გაღვივებას მხოლოდ ხელი-სუფლება ცდილობდეს. მაგრამ, თუ ეს სიმართლეა, ხელისუფლებას არსებობის გახანგრძლივების შანსი (მხოლოდ შანსი და არა გარანტია) ნამდვილად მიეცემა, თუმცა, სტრატეგიული თვალსაზრისით, მის უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ნამდვილად არაფერი შეიცვლება.

დიმიტრი მონიაკა

თუ გახსოვთ, 9 აპრილის წინ იყო ასეთი მონუმენტური ფორმატი „ქრისტიან-დემოკრატიები — ეროვნულ-დემოკრატიები — სასჯელაღსრულების მინისტრი“. გამორიცხული არაა, ამ შეხვედრებს დავით ბაქრაძეც შეუერთდეს. ალბათ, ამ ეპოქალურ ფაქტს მადლიერმა ერმა დიდი ფერწერული ტილო უნდა მიუძღვნას, რომლის დახატვა უმოწილესად ბატონ გოგი ოჩიაურს უნდა ვთხოვოთ (აბა, სხვას ვის?). რომელი სენატორების ტოგებსა და ლატიკულაებში (მარტივად რომ ვთქვათ, ზენრებში) სამშობლოს ბედზე დაფიქრებულნი,

მა ვინაა ახალი

მათიას იორში, ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის ხელმძღვანელი:



დემონსტრაციების ჩატარება დემოკრატიის ნაწილია და ხალხს აქვს უფლება, გამოთქვას თავისი აზრი. მოხარული ვარ, რომ აქციები საქართველოში მშვიდობიანად მიმდინარეობს... მე არ ვარ დემონსტრაციების წინააღმდეგი, მაგრამ პრობლემები მოლაპარაკებების გზით უნდა გადაწყდეს.

გიორგი ანდრიაკა, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი:



იმედი გვაქვს, რომ „მიშა და ვარდების რევოლუცია“ არის მხოლოდ ერთეული უცხოელი პოლიტიკოსების და ფონდების კრძო პროექტი, ხოლო საერთაშორისო საზოგადოებისთვის არ არის სულ ერთი დემოკრატიის და სიტყვის თავისუფლება მომავალ საქართველოში.

ქეთი დოლიკა, რეჟისორი:



უცხოეთის სახელმწიფოების ელჩებს მოვუწოდებ, ნახონ ის კლიბი, რომელშიც ჩამოხვლია 155 ქართული სოფლის სახელი და ამის შემდეგ ჩვენ დავინახათ, თუ როგორ გვიდგანან ისინი გვერდით. ქართველი ხალხი თავის ბედს თავად გადაწყვეტს და ჩვენ არავის ჭკუის სწავლება არ გვჭირდება.

რუსუდან შარაძე, გურამ შარაძის ქალიშვილი:



მე მაქვს ინფორმაცია, რომ გურამ შარაძის ე.წ. მკვლელის — ბართელის სიცოცხლე საფრთხის ქვეშაა. მე ვიცი, სააკაშვილი ამ ადამიანს ცოცხალს არ დატოვებს, რადგან მან ყველაზე უკეთ იცის სიმართლე.

სალომე ზურაბიშვილი, „საქართველოს გზის“ ლიდერი:



ხელისუფლება ბოლო დროს ცდილობს, საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის იდეა შემოგვაპაროს და სააკაშვილმა პრეზიდენტობა გაიხანგრძლივოს, მაგრამ ეს მაცდური და გაყალბების გზაა, ამიტომ გაფრთხილებთ, ამ წინადადებაზე შეცდომამი არ შევიყვანოთ.

ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:



ამ ხელისუფლებას არასდროს სურდა დემოკრატიული რეფორმების განხორციელება, რადგან დემოკრატიის ყოველთვის ეშინოდა. ის, რაც მოხდა ქვეყანაში და აგვისტოს შემდეგ ქვეყანა თავზე რომ ჩამოგვეწვრა, არ ეპატიება და არც ვაპატიებ სააკაშვილს. ჩვენ ყველანი ვიდგებით ერთად, სანამ საჭირო იქნება და გავუშვებთ სააკაშვილს.

ტარიელ გაგნიძე:

კეთილგონობური ურთიერთობა აუცილებლად აღდგება, ეს ჩვენს მომავალს სჭირდება

28 აპრილს მოსკოვში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტში, გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „რუსეთისა და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ორი ხალხის საერთო ბედის შესახებ“. რუსული მხარის ინიციატივით ორგანიზებული ეს შეხვედრა იყო გამომხატველი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის წერილზე, რომელიც მან ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ წარმომადგენლებს 27 მარტს გამოუგზავნა მათივე მიმართვის პასუხად.



დიპლომატიური ურთიერთობებიც განწყვეტილია. პოლიტიკური მიზნების ნუჩაველრამდენობით, მაგრამ ვიტყვი, რომ ურთიერთობების გაფუჭების გასამართლებლად ურცხვად იყენებენ ისტორიის ფალსიფიკაციას. ასეთ ვითარებაში ჩვენმა საზოგადოებამ თავისი ინიციატივით დაიწყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ამსახველი ისტორიული დოკუმენტების სისტემატიზაცია და კრებულად გამოცემა, ამავე დროს ჩვენი საქმიანობის შესახებ წერილით მივმართეთ ბატონ მედვედევს და ვისურვეთ, რუსული მხარეც ჩაბმულიყო ამ პროცესში.

მრგვალ მაგიდას რუსი მეცნიერების მიწვევით საქართველოდან ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ წარმომადგენლები — ამ ორგანიზაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე ტარიელ გაგნიძე, „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს წევრები: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულითა საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი შოთა კვიციანი და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია, აგრეთვე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, 1993-95 წლებში საქართველოს ელჩი რუსეთში, პროფესორი ვალერიან ადვაძე.

რი კვლევების ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ნიკოლოზ სილავეცი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის რუსეთის ხალხთა ისტორიისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ცენტრის ხელმძღვანელი ვადიმ ტრეპალოვი.

მრგვალი მაგიდის მუშაობას უძღვებოდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულითა საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი შოთა კვიციანი და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია, აგრეთვე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, 1993-95 წლებში საქართველოს ელჩი რუსეთში, პროფესორი ვალერიან ადვაძე.

„საქართველო და მსოფლიომ“ ამ მრგვალი მაგიდის ერთ-ერთ მონაწილეს, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარეს ტარიელ გაგნიძეს სთხოვა, მოსკოვში გამართული ფორუმის შესახებ მოეთხრო.

— ბატონო ტარიელ, მართალი გითხრათ, ქართული საზოგადოების გაოცება გამოიწვია თქვენი ორგანიზაციის წარმომადგენელთა წერილის მიმართ რუსეთის პრეზიდენტის განსაკუთრებული ყურადღება. საპასუხო წერილიც მალევე მიიღეთ. თქვენსა და დიმიტრი მედვედევის წერილებში გამოთქმული სურვილები ასე ოპერატიულად რეალიზების მოლოდინი, ალბათ, ნაკლებად იყო რუსეთ-საქართველოს დღევანდელი ურთიერთობიდან გამომდინარე, თუმცა, ფაქტის წინაშე ვდგავართ — ამ მიმონერტიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ მოსკოვში შეხვედრა გაიმართა და სწორედ ამ საკითხებზე იმსჯელეთ, რაც ასევე ძალიან აქტუალურია ქვეყნისთვის, მით უმეტეს, დღეს...

— სწორად შენიშნეთ, საკითხები, რომლებზეც მოსკოვში გამართული მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა ვიმსჯელეთ, დღეისათვის მართლაც ფრიად აქტუალურია. ამ დიალოგს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ იგი გაიმართა რუსეთ-საქართველოს უკიდურესად გართულებული სახელმწიფოებრივი ურთიერთობების ფონზე, იმ ფონზე, როცა ჩვენს ქვეყნებს შორის

ყველასთვის ცნობილია რუსეთის ხელმძღვანელობის პრინციპული პოზიცია — ის კატეგორიულ უარს აცხადებს საქართველოს ხელისუფლებასთან და პირადად საქართველოს პრეზიდენტთან რაიმე სახის დიალოგზე.

ასეთ ვითარებაში რუსეთის პრეზიდენტმა ჩვენს მიმართვაზე ძალიან გულთბილი და კეთილგონიერი პასუხი გამოგვიგზავნა. იგი ამ წერილში, სხვა მოსაზრებებთან ერთად, გამოთქვამდა სურვილს, რომ რუსი მეცნიერები გაიზარებდნენ და მხარს აუბამდნენ ჩვენს ინიციატივას. სწორედ ამ გამოხატულების გაგრძელება იყო 28 აპრილს მოსკოვში გამართული მრგვალი მაგიდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს შეხვედრა და დიალოგი გაიმართა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეთა და ინიციატივით. საქართველოს მხრიდან, მოგეხსენებათ, ჩემთან ერთად ამ დიალოგში მონაწილეობდნენ პროფესორები: შოთა კვიციანი, ალექსანდრე ჭაჭია და ვალერიან ადვაძე. რუსეთის მხარეც საკმაოდ წარმომადგენლობითი და ავტორიტეტული მეცნიერებით დაგვივხვდა. დიალოგის დროს იგრძნობოდა, რომ ისინი შეხვედრისთვის კარგად იყვნენ მომზადებული. მათი სულისკვეთებითა და განწყობით ასევე კარგად ჩანდა, რომ ეს არ იყო მხოლოდ დიალოგი დიალოგისთვის და განსახილველი თემით გულწრფელად იყვნენ დაინტერესებულნი.

აუცილებლად აღნიშვნის ღირსია, რომ ისტორიული პროცესების ცალკეული პირობების ნება-სურვილისამებრ ინტერპრეტაციას ისინი საკმაოდ მტკიცეულად განიცდიდნენ. ჩემი გაოცება და, ამავე დროს, აღფრთოვანება გამომიწვია მათმა სიღრმისეულ-

მა ცოდნამ საქართველოს ისტორიის ყველა ნიუანსისა.

აქვე მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ეს არ იყო დისკუსია, ეს იყო დიალოგი, რომელიც შეეხებოდა ჩვენი საერთო ისტორიის, რეალური ისტორიის წარმოჩენის საკითხებს. ვიმსჯელეთ, თუ რა უნდა გაკეთდეს საზოგადოებამ დეისტორიის ობიექტურად მიტანისათვის და არა ინტერპრეტირებად, როცა პოლიტიკური მოტივებით ხდება ისტორიული ფაქტების დამახინჯება. ეს არა მარტო საქართველოს, რუსეთის პრობლემაც არის. რუსი მეცნიერების გამოვლენაში აშკარად იგრძნობოდა, რომ ისინიც შენუხებული არიან ბოლო დროს განვითარებული ტენდენციებით.

— თუკი ასეთი შეხვედრები არიან, რატომ არ უნდა აშკარა წინააღმდეგობას ისტორიის ფალსიფიკაციას? მოგეხსენებათ, დღეს, ალბათ, ნაკლებად, მაგრამ საბჭოურ წლებში სწორედ ისტორიის ინსტიტუტში ან მისი მეთვალყურეობით ქვეყნდებოდა ისტორიოგრაფიასთან დაკავშირებული პუბლიკაციები, ბროშურები, წიგნები და ა.შ. ამის შესახებ თუ ისაუბრეთ და მათ რა პოზიცია აქვთ?

— ვერ დაგეთანხმებით, რომ უშუალოდ ამ ინსტიტუტში მზადდებდა ეს ყველაფერი. როგორც წესი, ასეთი პუბლიკაციები, ისტორიის ფალსიფიკაციას ვგულისხმობ, მზადდება ძალიან ვიწრო წრეში ე.წ. ისტორიკოსების მიერ, რომელთაც კარგად უხდინან და რომელთაც პროფესიული და მოქალაქეობრივი ღირსება ნაკლებად აწუხებთ. ფალსიფიკაციას საკმაოდ ორგანიზებული ხასიათი აქვს, ეს არ ხდება სპონტანურად და არ არის კერძო პირის ან კერძო სტრუქტურის ინიციატივა. ამის წინააღმდეგ ორგანიზებული პასუხი აქამდე არ ყოფილა. ჩვენი მცდელობა პირველი ნაბიჯია, რათა ისტორიის ფალსიფიკაციას დაეწინააღმდეგოს და იმ პროცესების წინააღმდეგობა შევუქმებთ.

— ბარემ აქვე ჩაგვიკითხებით. „ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ უკვე გამოსცა წიგნი, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი კრებული, რომლებშიც სწორედ ისტორიული დოკუმენტების სისტემატიზაცია მოახდინეთ, ე.ი. პრაქტიკული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ეს კრებულები ხომ არ ჩაიტანეთ მოსკოვში და ხომ არ იგვემზადებოდა კრებულების რუსულად გამოცემა?

— რა თქმა უნდა, ნავილეთ და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ბუნებრივია, რუსულადაც გამოიცემა ანალოგიური მასალები, მაგალითად, „ქართლის ცხოვრება“, რომელიც საქართველოს მათიანა და რუსი მეცნიერებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია, რადგან რუსულად არ გამოცემულა. დადგა საკითხი, რომ „ქართლის ცხოვრება“ რუსულად ვთარგმნოთ და გამოვცეთ. გარდა ამისა, შევისწავლით და საზოგადოებრიობას გავაცნობთ რუსეთში სხვადასხვა დროს მოღვაწე ქართველებს, გაშუქდება მათი საქმიანობა და როლი

ქართველოს ურთიერთობის ობიექტურად გაშუქებით, ძალიან მნიშვნელოვანია. ისტორიული პროცესები ისე უნდა აისახოს, როგორც ეს სინამდვილეში იყო და არა — პოლიტიკური კონიუნქტურისთვის. ამისათვის ჩვენ მიზნად დავისახეთ რამდენიმე კონკრეტული ნაბიჯის გადადგმა, რათა პროცესი უფრო სიღრმისეული გახდეს და შეუქცევადი ხასიათი მიიღოს, რაც მთავარია, შედეგი გამოიღოს იმ თვალსაზრისით, რომ ფართო საზოგადოებრიობა გავცნოს სინამდვილეს ისტორიული პროცესების შესახებ, კონკრეტულად კი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესახებ.

— ბატონო ტარიელ, ურთულეს საქმეს შეეჭიდეთ. წლების მანძილზე ინტერპრეტირებული მოვლენების რეალურ კალაპოტში მოქცევა და მით უფრო ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა არცთუ მცირე ძალისხმევას მოითხოვს. თქვენ კონკრეტული ნაბიჯები ახსენეთ, იქნებ, ჩვენც გავგიმზადოთ, როგორ, რა გზებით აპირებთ ამ მიზნის მიღწევას?

— მრგვალი მაგიდის მონაწილეები შევთანხმდით, რომ ამ მიზნების მისაღწევად უნდა დავარსოთ პერიოდული გამოცემა. ეს იქნება ბეჭდური ან ელექტრონული გამოცემა, ალბათ, უპირაწია, — ორივე ერთად. პერიოდულობას განსაზღვრავთ. ყოველკვარტალურად რომ იყოს, უკვე დიდი საქმე გაკეთდება. ამაში ერთობლივი კვლევის შედეგებიც აისახება და ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის — „ისტორიული მემკვიდრეობის“ მუშაობის შედეგებიც გაშუქდება. პირადად უნდა ვთქვათ, რომ თქვენსა და ჩვენს დაკავშირებული მასალებიც გამოქვეყნდება.

— თქვენი ნათქვამითაც დასტურდება, რომ ისტორიის ფალსიფიკაცია ამ საქმით დაინტერესებული ადამიანებისთვის სასურველი ნაყოფი არ გამოიღო და ქართველი რუსი ხალხების ურთიერთობაში ბზარი ვერ გააჩნდა...

— საბედნიეროდ, ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით, მაგრამ, თუ ეს პროცესი გაგრძელდა და არ შეეწყინა-აღმდეგეთ, ბოლოს და ბოლოს, ბზარიც გაჩნდება და უარესობისკენ ცვლილებების შეჩერება, შესაძლოა, ვეღარც შევძლოთ. ვერ დამისახელებთ ფაქტს, როცა ორი ხალხის მტრობას ან ერთისთვის მოეტანოს სიკეთე, ან მეორისთვის.

ჩვენ ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ ერთ რამეს: ხომ არაერთი ფაქტი ვიცით, როცა გუშინდელი მოკავშირეები მოსისხლე მტრებად გადავიდებოდნენ ერთმანეთს. როცა ორი სახელმწიფო მოკავშირედ გვევლინება, ამას საერთო ინტერესები უდევს საფუძვლად, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ინტერესები ხშირად იცვლება და ამას საუკუნეები არ სჭირდება. მაგალითი ბევრია. მაგრამ ახლა სხვა მაგალითი ვნახოთ: რაც რუსეთსა და საქართველოს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება გაფორმდა, ორ საუკუნეზე მეტი გავიდა და მთელი ამ

რუსეთის ისტორიაში. ცალკე კვლევის საგანია საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდი, რამ გამოიწვია ასეთი მკვეთრი გაუარესება ჩვენს სახელმწიფოებს შორის და რა შედეგები მოგვცა ამათგან ჩვენც და მათაც. ეს ჩვენი გუშინდელი დღეა და ბრმა უნდა იყო, ვერ ხედავდე, სადამდე მიგვიყვანა მეზობელთან შუღლმა და მტრობამ.

ქართულ მასმედიას რომ გადავლო თვალი, განსაკუთრებით, ტელევიზიით ისეთ სურათს გვიხატავენ, თითქოს დედამის ცენტრი ჩვენ ვიყოთ და მსოფლიო პროცესები ჩვენ ირგვლივ ტრიალებდეს. ეს რომ ასე არ არის, ნათელია. ჩვენი საქმე ჩვენ უნდა გავაკეთოთ, სხვა ჩვენთვის თავს არ შეინუხებს.

— მრგვალი მაგიდის გარდა, ალბათ, სხვა შეხვედრებიც გეგმიანებათ. როგორ გხვედბოდნენ და რა დამოკიდებულებაა საქართველოსა და ქართველობის მიმართ?

— ჩემს პირად მაგალითზე დავრწმუნდი, რომ მოსკოვში ანტიქართული განწყობა არ არსებობს. ამ 5-6 დღის მანძილზე ძალიან ბევრ ადამიანთან მიქონდა ურთიერთობა, როგორც მეცნიერებთან, ისე სხვებთან და არ შემხვედრია არც ხანდაზმული და არც ახალგაზრდა, ვინც ანტიქართული განწყობა აქვს და ქართველებს ამრეზით უყურებს. ამას გაფრთხილება და შენარჩუნება სჭირდება.

— თქვენი ნათქვამითაც დასტურდება, რომ ისტორიის ფალსიფიკაცია ამ საქმით დაინტერესებული ადამიანებისთვის სასურველი ნაყოფი არ გამოიღო და ქართველი რუსი ხალხების ურთიერთობაში ბზარი ვერ გააჩნდა...

— საბედნიეროდ, ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით, მაგრამ, თუ ეს პროცესი გაგრძელდა და არ შეეწყინა-აღმდეგეთ, ბოლოს და ბოლოს, ბზარიც გაჩნდება და უარესობისკენ ცვლილებების შეჩერება, შესაძლოა, ვეღარც შევძლოთ. ვერ დამისახელებთ ფაქტს, როცა ორი ხალხის მტრობას ან ერთისთვის მოეტანოს სიკეთე, ან მეორისთვის.

ჩვენ ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ ერთ რამეს: ხომ არაერთი ფაქტი ვიცით, როცა გუშინდელი მოკავშირეები მოსისხლე მტრებად გადავიდებოდნენ ერთმანეთს. როცა ორი სახელმწიფო მოკავშირედ გვევლინება, ამას საერთო ინტერესები უდევს საფუძვლად, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ინტერესები ხშირად იცვლება და ამას საუკუნეები არ სჭირდება. მაგალითი ბევრია. მაგრამ ახლა სხვა მაგალითი ვნახოთ: რაც რუსეთსა და საქართველოს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება გაფორმდა, ორ საუკუნეზე მეტი გავიდა და მთელი ამ

საქართველო

გზურთ, გაგზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგზიარეთ: 38-41-97, ან მოგზიარეთ: info@geworld.net

ხნის მანძილზე ურთიერთდა-
მოკიდებულება არ შეცვლი-
ლა, პირიქით: ქართველებმა
მაღევე დაიკავეს მნიშვნე-
ლოვანი ადგილი რუსეთის
პოლიტიკურ და სამხედრო
ისტებლიუმენტში. უკვე 1812
წლის სამამულო ომში 12 ქარ-
თველი გენერალი და 40-მდე
P.S. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები „ნაცემის“ ნაცემების მხრიდან მცირე ნუსხაა, თუმცა, ჩვენ კიდევ ერთხელ დაუბრუნდებით ამ თემას და ჩვენი გაზეთის მკითხველს შეძლებისდაგვარად ამომწურავად გავაცნობთ ყველა იმ დანაშაულს, რაც განსხვავებული ზრისთვის დევნას უკავშირდება...

მანანა ჩხეიძე



„ნაშაბის“ ნაშაბი

ანზორ საკანდელიძე:

პასუხისმგებლობა ან შვედსკოვას „რუსთავი 2“-ს ეკისრება...

26 აპრილს სანდრო ეულის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის შესახებ მიზეზებზე ასოციაცია „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ წევრი, საშენი მასალების ხარისხის კომისიის თავმჯდომარე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ანზორ საკანდელიძე გვესაუბრება.

— ბატონო ანზორ, თქვენი ინფორმაციით, რა იყო სანდრო ეულის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის გამომწვევი მიზეზი?

— გამოიწვია ინფორმაციამ, რომ შენობის ჩამონგრევამდე ოთხი დღე იქ მუშაობდა კომპრესორი და ისმოდა ნგრევის ხმა. სხვათა შორის, მაშინაც გაასაიდუმლოეს და ახლაც არავის აკარებენ იქაურობას. როგორც ჩანს, მზიანი ნაწილი არასწორად მოანგრიეს, ეს აშკარა დაუდევრობაა. არავის არაფერი ჰკითხეს. ამ შემთხვევაშიც ისეთივე განუკითხაობას აქვს ადგილი, როგორც, ზოგადად, ქვეყანაში. ახლა მიმდინარეობს გამოძიება, რას დამალავენ და რას გამოიძიებენ, გამოჩნდება. გიგი უფლებავამ თავიდან თქვა, რომ კოსმეტიკური რემონტი იყო და სხვას არაფერს შეხებია. ეს სიტუაცია რაღაცა შეეხებდა და ძალიან საფუძვლიანადაც! არაპროფესიონალები არიან და პროფესიონალებს, მაღალკვალიფიციურ კადრებს არაფერს ეკითხებიან, რადგან ყველაფრის მცოდნეებად მიაჩნიათ თავი. ამიტომაც დატრიალდა ასეთი უბედურება და ჩადგეს ამ ცოდვაში ფეხი.

იმ დღესვე შევიკრიბეთ გამოცდილი მშენებლები ტრაგედიის ადგილას, ყველანი იქ ვიყავით — ტრესტის ძველი მმართველი, სამმართველოს უფროსი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები. ამ შენობას კარგად ვიცნობ, ცდებოდა ჩამიტარებოდა იქ თავის დროზე, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებიც და უნდა გითხრათ, რომ ეს კაპიტალური ნაგებობა იყო. „თბილზნიიეპის“ ინსტიტუტი საკავშირო მნიშვნელობის იყო თავისი შინაარსით და, ბუნებრივია, მათი შენობაც კაპიტალურად იყო ნაგები. ადრე თუ სიახლე უნდა დანერგულიყო მშენებლობაში, პირველ რიგში იქ უნდა ჩატარებულიყო ცდები და თუკი ინსტიტუტი დადებით დასკვნას გასცემდა, ეს ნიშნავდა, რომ მშენებლობაში სიახლის დანერგვა შესაძლებელი იყო. „რუსთავი 2“, როგორც ჩანს, რაღაცას არასწორად შეეხო, კერძოდ, მზიდ კედლებს და მზიდ კონსტრუქციას.

— პროექტ „ვარსკვლავების აკადემიის“ ერთ-ერთი თანამშრომელმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ სწორედ მზიდი კედელი იქნა გამონგრეული და ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე ინტენსიურად ასხამდნენ „სტიჟაკს“...

— რეკონსტრუქცია რომ მიმდინარეობდა და რაღაც გამოანგრეეს, ნათელია. საინტერესოა, რომელი სამშენებლო ფირმასთან ჰქონდათ ხელშეკრულება გაფორმებული, თუ ელიავას ხალხი ჰყავდათ აყვანილი, ასე ვთქვათ, ვიღაც შაბაშნიკები? სხვათა შორის, თბილისში ახალი სახლების დიდი ნაწილი სწორედ მათი აშენებულია და იმიტომაც არის ასეთი „ხარისხიანი“. ვთქვათ, ხელშეკრულება გაფორმებული იყო, მაგრამ დგება მეორე საკითხი, არსებობს თუ არა პროექტი? პროექტი თუ მერიის შესაბამის სამსახურში არ დამტკიცდა, შენობის რეკონსტრუქცია დაუშვებელია. პროექტი შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს მშენიანების სამსახურთან. ერთ-ერთი გაზეთში წავიკითხე მერიის პრესსამსახურის განცხადება, რომ მათთან პროექტი არ იყო შეთანხმებული. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება „რუსთავი 2“-ს. თუ პროექტი დამტკიცებულია თბილისის მერიამ, მაშინ გამოსაძიებელია, სად იქნა შეცდომა დაშვებული. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობას ვერავინ გაექცევა, თუმცა, სავარაუდოდ, ჯოხს ვიღაც მცინრეზე, მეოთხეხარისხოვან ადამიანებზე არ გადატყვენ.



— მოკლედ, თუ მერიაში რეკონსტრუქციის თაობაზე პროექტი არ შევიდა, პასუხისმგებლობა „რუსთავი 2“-ს ეკისრება?

— შემკვეთი „რუსთავი 2“-ია და თუ ქუჩიდან მოიყვანეს მუშები და არ გაუფორმეს ხელშეკრულება, მათ უნდა აგონ პასუხი. თუ პროექტი არსებობს და სამშენებლო კომპანია ასრულებდა სამუშაოს, მაგრამ პროექტი არ იყო შეთანხმებული მერიასთან, პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაშიც „რუსთავი 2“-ს ეკისრება. ალბათ, იქნება თანხმებული და არც უნდა ვხარხარებო, მაგრამ პროექტი არ იქნა დამტკიცებული, მაგრამ — უშედეგოდ, ერთ ყურადღებულ შემთხვევას და მეორედან გამოუშვებენ. სხვათა შორის, ის ხალხი, ვინც გაყარეს

„თბილზნიიეპის“ შენობიდან, მაღალკვალიფიციური კადრია, აქვე გამორჩეული დანადგარები, ყველაწარმო მონაცემილობა იმისთვის, რომ განისაზღვროს ნაგებობის მდგრადობა, ეკითხათ მათთვის. იქ არიან ცნობილი არქიტექტორებიც, კონსტრუქტორებიც...

— საუბრის დასაწყისში აღნიშნეთ, რომ „თბილზნიიეპს“ შენობა წაართვეს, თუმცა, ცნობილია, რომ ინსტიტუტის შენობა „რუსთავი 2“-ს პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა...

— რა უბედურებაა ეს პირდაპირი მიყიდვის წესი?! სხვათა შორის, ეს მანქანი წესი შევარდნამდე დანერგა. არც ერთ პრეზიდენტს არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში ამის უფლება არ აქვს. თუ დღეს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვაზე საუბარი, ერთ-ერთი პირველი სწორედ ეს უფლება უნდა ჩამოერთვას. ასე, პირდაპირი მიყიდვის წესით გააჩუქა შევარდნამდე თავის დროზე მთელი ფაბრიკა-ქარხნები.

— „რუსთავი 2“-ის დამსახურება იმდენად დიდია ამ ხელისუფლების წინაშე, რომ მისთვის შენობის მიზეზად ფასად მიყიდვა გასაკვირი არ უნდა იყოს...

— ეს პოლიტიკური ამბები და ამას ყველა კარგად ხედავს, მაგრამ რომ მისცეს

დაიხე პასუხისმგებლობა, თუ ჯოხს უფრო დაბალი რანგის მუშებზე გადატყვენ?

— როგორც ვიცი, მს სამინისტროს აქვს რაღაც თავისი საექსპერტო სამსახური, ასევე კრიმინალური ლაბორატორია, ალბათ, მათი ექსპერტები იმუშავენ გამოძიებაზე და არ ვიცი, იმათ რას დააწერიან...

— როგორ ფიქრობთ, მომხდარზე დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება არ არის საჭირო? ხომ არ აპირებს, თუნდაც, თქვენი ასოციაცია ამის გაკეთებას?

— დაველოდოთ გამოძიების შედეგებს და მერე ჩვენს სათქმელს აუცილებლად ვიტყვით. თუ ეს დაბრალდა შენობის სიძველეს, მაშინ გაცილებით კატეგორიულად ჩავყვეთ და ფაქტებით დავამტკიცებთ, რომ ეს არ არის სიმათლეს! დამოუკიდებელი ექსპერტიზა რომ ჩატარდეს, კვალს ნაშლიან, ამიტომ შიგნით არც გვიშვებენ, შემოღობილი აქვთ ტერიტორია და ახლოსაც არ გვაკარებენ. რადგან ნგრევის მსხვერპლიც მოჰყვა, შეიძლება, დიდ სიყალბეზე ვერც წავიდნენ, თუმცა თქვენს ეჭვებს მეც ვიზიარებ.

— პასუხისმგებლობა ეკისრება თუ არა „რუსთავი 2“-ს, რომელმაც, სავარაუდოდ, რეკონსტრუქციის პროექტი არ მოსთხოვა მშენებლებს?

— არ ვიცი. ყველაზე მეტად მერიის პრესსამსახურის კომენტარმა შემაშფოთა, რომელიც აცხადებს, რომ მათთან პროექტი არ შესულა. პატარა ფანჯარაც რომ გააკეთო სახლში, მერიასთან უნდა შეთანხმო და თუ რეკონსტრუქციის თაობაზე პროექტი მერიამ არ შეუტანიათ და მათი თანხმობა არ მიუღიათ, ასეთ შემთხვევაში შემკვეთის პირდაპირი დანაშაული იკვეთება, შემკვეთი კი „რუსთავი 2“-ია. ახლა ვის რას დააბრალებენ, არ ვიცი...

— თუ გაქვთ ინფორმაცია, რამდენად გაიყიდა ეს ინსტიტუტი?

— როგორც მითხრეს, ეს გასაიდუმლოებულია... 26 ათასი კვადრატული მეტრი მინა და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებიც დაახლოებით — იმდენივე. ეს ყველაფერი კი, ჩემი ინფორმაციით, მილიონ ლარად გაიყიდა, რაც ძალიან მიზეზური თანხაა.

მანანა ჩხეიძე

ვაკა გორგილაძე:

ხელისუფლება ვერ ხელახლავს იმ კრიტიკულ მასას, როგორც მას კომპრომისზე ნასვლას აიძულავს

სოციოლოგიური კვლევების სააგენტო „სარკე კვლევის“ დირექტორის და PR-ის სპეციალისტის ვაკა გორგილაძის აზრით, ხელისუფლება საპროტესტო აქციების იგნორირებით შეცდომას უშვებს და ოპოზიციურად განწყობილი ხალხის კიდევ უფრო მეტად გაღიზიანებას იწვევს. ამავ დროს, ხელისუფლება პიარის თვალსაზრისით საინფორმაციო კამპანიას საკმაოდ პროფესიონალურად წარმართავს. კერძოდ, ის ავრცელებს საკანში ნარკოტიკების მოხმარების ამსახველ ვიდეომასალებს, ასევე აჩვენებს აქციაზე მყოფ კორუმპირებულ ყოფილ ჩინოვნიკებს და აქციენტს აკეთებს იმაზე, რომ ხელისუფლების შეცვლა ასეთ ხალხს სურს. „სარკე კვლევის“ დირექტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ოპოზიციის რადიკალური ქმედებები იმითაა გამოწვეული, რომ მას სხვა გზა აღარ დარჩა, გარდა პროტესტის ასეთი მწვავე ფორმებისა, თუმცა, შესაძლოა, ასეთი რადიკალიზმით ნეიტრალური პოზიციის მქონე საზოგადოება თავის საინფორმაციო განაწყობას.

— ბატონო ვაკა, თვითონ ოპოზიციის თავისი რადიკალიზმის გამო რა შეცდომებს უშვებს, თუნდაც, ჟურნალისტების მიმართ ასეთი აგრესიის გამოხატვით და ქალაქის ქუჩების პიკეტირებით მხარდამჭერების ნაწილს ხომ არ კარგავს?

— მომიტირებებს შორის ჭრელი მასაა, რომელიც საკმაოდ აგრესიულადაა განწყობილი. ბუნებრივია, რომ ჟურნალისტების მიმართ ასეთი ექსცესები ხდება, განაკუთრებით, იმ ჟურნალისტების მიმართ, ვინც სახელისუფლებო მედიასაშუალებების წარმომადგენელია. ამდენად, ამას მაინცდამაინც ოპოზიციის ვერ დავაბრალებ. ეს არის სიტუაციური მოქმედებები. რაც შეეხება იმას, ეს ფაქტები როგორ იმოქმედებს საზოგადოების განწყობაზე, ის (ვინც ოპოზიციის მხარდამჭერია) მაინც დარჩება თავის პოზიციაზე; ხელისუფლების მხარდამჭე-

რებისთვის კი, ეს დამატებით არ გულისხმობს იქნება იმისა, ოპოზიციას რატომ არ უნდა დაუჭიროს მხარი. ამან შეიძლება ცუდი გავლენა მოახდინოს იმ მასაზე, რომელიც ჯერჯერობით ნეიტრალური პოზიციის ინარჩუნებს, არ აქვს საპროტესტო განწყობა და არც ხელისუფლების მი-

მართ არის მაინცდამაინც კარგად განწყობილი. ჩემთვის რთულია იმის თქმა, ოპოზიციის ეს ქმედებები რამდენად ახდენს გავლენას საზოგადოების ამ კატეგორიაზე, რადგან ამ ეტაპზე რაიმე კვლევა არ ჩატარებულა. კარგი იქნებოდა, დაგვედგინა ეს საკითხი.

საქმე ისაა, რომ ხელისუფლებმა საინფორმაციო კამპანიას საკმაოდ პროფესიონალურად ატარებს, იგივე საკანში ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებული ეპიზოდების ამსახველი ვიდეომასალების გავრცელება. მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევა: ერთ-ერთი მომიტირებელი, რომელიც განსაკუთრებულ აგრესიას ავლენდა ჟურნალისტის მიმართ, იყო კორუმპირებული ყოფილი პოლიციელი, რომელიც სამსახურიდან გაათავისუფლეს. როდესაც ასეთ საინფორმაციო პოლიტიკას ხელისუფ-

ლება ატარებს, არ არის მნიშვნელოვანი, რამდენად დამაჯერებელია ესა თუ ის ფაქტი. თუმცა ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლისთვის ასეთი ფაქტები ბევრს არაფერს ნიშნავს იმიტომ, რომ ძალიან ადვილად გამონახავს კონტრარგუმენტაციას — იტყვის, რომ ეს დადგმული სცენაა.

— პიარის თვალსაზრისით, ოპოზიციის ქმედება რამდენად მომგებიანია მისთვის? ასეთი აქციებით საპროტესტო მუხტს ხომ არ კარგავს?

— ოპოზიციის ორი გამოწვევაა აქვს: ან რადიკალიზაციის გაფართოება და კიდევ უფრო აგრესიული ქმედებები, ან დიალოგზე ნასვლა. ამ რადიკალიზმით საპროტესტო მუხტის შენარჩუნებას ცდილობენ, ამიტომ მცდარ სტრატეგიად ვერ ჩავთვლით.

ლედი და კლედი

თვალს ვადევნებდი მიტინგების კადრებს და უცებ ტელეეკრანზე პლედნამოსხმული დავით გამყრელიძე დავლანდე. ერთი პირობა ვიფიქრე, მეჩვენება-მეთქი და იქვე ნინო ბურჯანაძეც შევნიშნე — იმასაც პლედი ჰქონდა, ოღონდ დავით საგანელიძეს აფარებდა მზრუნველად...



ფანტასმაგორია? — რა თქმა უნდა. აბა, ასეთი ფაქტი ახლა როგორ მოხდებოდა?! როცა სჭირდებოდათ და სიცივისგან აძაგდავებოდათ პარლამენტის თავმჯდომარის მისალმებში მოშიშვლილ „ახალ მემარჯვენეებს“, როცა გაზეთებს იფარებდნენ და თავსასთუმოლად ცხეტდური პრესა ეგულეობდათ, მაშინ არ მისცა ნინო ბურჯანაძემ კოლეგებს პლედის შეტანის უფლება და ახლა, ამ გაგანა ბეისბოლის „ბიტების“ ხანაში არც ისე ცივა, პლედისთვის სცხელივით.

არც მე მცხელივითაა პლედისთვის ამ ოპოზიციური ჩახუტება-ხელკავის დროს, მაგრამ ლედი ნინო ბურჯანაძის ინტერვიუმ გამახსენა. სწორედ მან გაამახვილა ყურადღება, თორემ მე არც გამყრელიძის შიმშილობის აზრანობისა შესმოდა რამე და, მართლაც ვიტყვი, არც ახლანდელი ოპოზიციის ერთიანობის სიმტკიცისა მჯერა, ერიხუდავად იმისა, რომ მონაპრანსი და საფიჩხია ერთ სიბრტყეზე (თქვენ ტრიბუნა იგულისხმებთ!) „დაჯდა“.

ნინო ბურჯანაძემ კი თქვა: „სხვათა შორის, როდესაც „ახალმა მემარჯვენეებმა“ ჩემს კაბინეტთან შიმშილობა გამოაცხადეს, ნაცვლად იმისა, რომ ვიზიტადან დროზე დაბრუნებულიყო, პრეზიდენტი კიდევ სამ დღეს ზედმეტად დარჩა ამერიკაში და მერე ხუთ დღეს, როგორც აღმოჩნდა, იახტაზე ისვენებდა. მაშინ არა მარტო პოლიტიკური, ადამიანური წყენა მქონდა და ვუსაყვედურე, რადგან მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, ნამდვილად არ წავიდოდი დასასვენებლად. მაგრამ ეს შეგნებულად გააკეთა, სულ არ ანუხებდა, რა ხდებოდა ჩემს კაბინეტთან და, რაც მეტად დაეცემოდა ჩემი რეიტინგი, მით უფრო ბედნიერი იქნებოდა“.

გასაგებია? გა-სა-გე-ბი-ა! ყველაფერი ნათელია — ძლივს აეხადა ფარდა ამ „საუკუნის საიდუმლოს“. თორემ, სააკაშვილი კიდევ სამ დღეს ზედმეტად იმიტომ დარჩა ამერიკაში და ხუთ დღესაც იახტაზე იმიტომ ისვენებდა და თან ეს შეგნებულად იმიტომ გააკეთა, რომ ბურჯანაძის რეიტინგი დაეცემულიყო.

და ამით „უფრო ბედნიერი იქნებოდა“... სააკაშვილის ბედნიერების საზომად ბურჯანაძის ნაუბარი არ გამოდგება. იგი ვერაფრით იქნებოდა „მით უფრო ბედნიერი“, რადგან ყოველთვის ბედნიერია. აი, ლედი ნინო კი მაშინვე მიმხვდარა, რომ სააკაშვილმა „ეს შეგნებულად გააკეთა“ და „სულ არ ანუხებდა“, რა ხდებოდა პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტთან.

და რა ხდებოდა ამისთანა, თვით უავგუსტესი სააკაშვილის სიმშვიდის დარღვევად რომ ღირდა? —

არც არაფერი, რადგან, როგორც მაშინ „ახალი მემარჯვენეები“ აცხადებდნენ, ნინო ბურჯანაძეს „სულ არ ანუხებდა“, რა ხდებოდა პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტთან.

მაშ, პრეზიდენტი რაღა ექნა? „გამყრელიძე და კომპანია“ თავიანთი სახლიდან მოტანილი პლედის გადაფარების უფლებას ითხოვდნენ და ნინო ბურჯანაძემ, — არაო, ჩემი მისალმები კარავი (მთლად ასე არ უთქვამს!) კი არ არის, ნამონვეთ და იკოტრიალოთ. აბა, რა ექნა პრეზიდენტს, ამერიკიდან ჩამოსვლა რატომ უნდა ეჩქარა, პლედები უნდა ჩამოეტანა? და რომ ჩამოეტანა კიდევ, რა, ბურჯანაძე მისალმებში შეატანინებდა? ხომ გახსოვთ მისი ყოველდღიური ირონიული კომენტარები?

ლედი ნინოს რეიტინგს რაღა დაცემა უნდოდა, მაგრამ ახლა რომ მოთქვამს, „რაც მეტად დაეცემოდა ჩემი რეიტინგი, მით უფრო ბედნიერი იქნებოდა“ პრეზიდენტი, ამ რეიტინგის დაცემა კი არა, დაძვევება იყო მისი გაჭირვება და კოლეგების სიცივეში დაყრა (თუმცა, ისხდნენ!).

პრესისა და ტელევიზიისთვისაც აულებელ ციხესიმაგრედ იქცა პარლამენტის თავმჯდომარის მისალმები. შესვლას თვით სახელისუფლებო ტელეარხებსაც კი უკრძალავდნენ. ნინო ბურჯანაძეს მაშინ ზუსტად მიესადაგებოდა ის სიტყვები, რომელთაც იგი განიშნატებულნი წარმოთქვამს: „უნდა წავიდეს ეს ხელისუფლება და გარწმუნებთ, ნავა კიდევ, მათ არ აქვთ ხელისუფლებაში დარჩენის უფლება!“

უნდა დავეთანხმებოთ ლედი ნინოს, მაგრამ ხელისუფლებაში ყოფნის მორალური უფლება არა მარტო „მათ“, არამედ „იმათაც“ არ აქვთ, ვინც ხელს უწყობდა „ამათი“ ხელისუფლების განმტკიცებას, ვინც კვერს უკრავდა „მათ“ ყველა ახირებას და ხუმტურს და ვინც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რბილად რომ ვთქვათ, სანოტარო კანტორად გადააქცია.

„არ ვიცი, რა დაამავა საქართველომ, ასეთი მორალის ადამიანები რომ ჰყავს ხელისუფლებაში“, — გაოცებული გვეკითხება ლედი ნინო და გულუბრყვილოდ (ვითომ?) სჯერა, რომ საქართველო კიდევ ერთხელ დაამავებს და ისევ „ასატი მორალის“ ადამიანებს მოიყვანს ხელისუფლებაში.

კვერცხიდან არნივიც იჩეკება და იქედნეცო, — ანდაზის სიბრძნეს თუ მოვიშველიებთ, ვილაც არნივად გამოჩნდება და ვილაც იქედნედ. მოვეშვათ ასეთ შედარებებს. ჩვენ მხოლოდ იმაზე ნუხილი გვმართებს, რომ ქართული პოლიტიკა მხოლოდ იქედნეთა ასპარეზად იქცა.

თქვენ გინახავთ პლედმოსხურული იქედნე? მე — არა! გინახავთ ხელბიტანი იქედნე? აბა, რა!

გუხეფალის

ოცნლიანი რყევა-ტორტმანის შემდეგ საქართველომ, როგორც იქნა, გამოკვეთა სამომავლო ორიენტირი. ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში, ეროვნული მოძრაობის აზვირთებისას, მეცხრე ტალღის მძლავრი დარტყმით ზედაპირზე ამოგდებული ლიდერები გვიკვირებდნენ, რომ ჩვენი სანა დასავლეთშია. მაშინდელი მიტინგებისა თუ მანიფესტაციების ლიდერთა და მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა საბჭოური პროდუქტი, ანუ საბჭოთა კავშირში დაბადებულ-გაზრდილი იყო.

უმეტესობას ძალიან ზერელე წარმოგენა ჰქონდა ამ ე.წ. დასავლეთზე. ზოგისთვის დასავლეთი ერთმნიშვნელოვნად ამერიკასთან ასოცირდებოდა, ირაკლი წერეთელი კი იმდენად ხშირად იმეორებდა, საქართველო აუცილებლად ნატოს წევრი უნდა გახდეს, რომ მაღალმთიან სოფლებშიც კი ყველას პირზე ნატო ეკერა. ბევრს ისიც ვერ გაეგო, ასეთ მრისხანე სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს რატომ ერქვა ქალის სახელი.

პროდასავლური, ანუ, პირდაპირ რომ ვთქვათ, პროამერიკული პროპაგანდა იმდენად მძლავრად ამუშავდა 1992 წლიდან, რომ ათი წლის შემდეგ, 2002 წელს პრალის საიუბილეო სამიტზე მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განცხადება, ნატოს კარზე დაგვაკუთვნეთო, ისე აღვიქვით, თითქოს ამერიკელი სტუმარ-მასპინძლობის წესით, ჩვენი საქმელით მივდიოდით მეგობრულ ლანჩზე და კარსაც გაგვიღებდნენ და უკანა ეზოში ნატოელებთან ერთად ბეკონსაც ავაშიშხნებდით ელექტრომაყალზე.

ჯერ გემო არ გავგვისინჯა და სურნელით უკვე გაბრუებულებმა 2003 წლის ნოემბრის სახელმწიფო გადატრიალება ღვთის საჩუქრად მივიღეთ (მე — არა!). აშშ პრეზიდენტის — მაღალინტელექტუალური უმცროსი ჯორჯ ბუშისგან ამ რევოლუციადანოდებუ-

ლი პროცესების მონონებამ და მისგანვე ხელდასხმული ამბიციური ხელისუფლების დაპირებებმა კი რეტი დაგვასხა (მე — არა!).

ისიც გასათვალისწინებელია, რომ 1999 წელს სტამბულში ხელმოწერილი შეთანხმებით რუსეთმა თავისი ბაზების საქართველოდან გაყვანა ივალდებულა და, რაკი ეს პროცესი დათქმულ ვადებში ხორციელდებოდა, ჩვენც თავი ქუდში დავიგულეთ. სინამდვილეში კი საქართველოს ხელისუფლების სულსწრაფობამ ქუდიც მოგვხადა და ასფალტზეც დაგვაკოტრიალა. ამ შემთხვევაში, შენიშნავდით რომ ფრჩხილებში არ მიმინიშნებია — „მე — არა!“ რადგან შენი ქვეყნის მთავარსარდლის (როგორი დამოკიდებულება უნდა გქონდეს მის და მისი საქმიანობის (მოლენეობის თქმა ზედმეტი იქნება!) მიმართ) სამარცხვინო საქციელი პირდაპირ აისახება მთელი სახელმწიფოს ავტორიტეტზე.

ავგისტოს შარშანდელი ომის პროვოცირებით პრეზიდენტმა სააკაშვილმა „იმდენი მოახერხა“ რომ დიდი ძალისხმევით, დიპლომატიური ხერხებითა თუ საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური მონაწილეობით საქართველოდან თითქმის უჩუმრად გასული რუსული სამხედრო ბაზები სულ გრიალითა და ბათქა-ბუთქით შემობრუნდნენ და ისედაც შორეული ოცნება ნა-

ტოს წევრობისა იმ ბუშტივით გაფრინდა, მიშა რომ აფრენს ხოლმე პატარებთან ატრაქციონებზე ტაკიმახარაობის დროს. ჩვენც პატარა ბავშვებით გავატყუებდნენ, ან თავს ვიტყუებდით, თორემ კავკასიის რეგიონში შექმნილი ვითარება რა ოპტიმიზმის საფუძველსაც გვაძლევდა, იმდენს რომ დავეჯერებოდით, ახლა სულ მცირე 2003 წლის მდგომარეობა მაინც იქნებოდა საქართველოში.

მაგრამ მთელი (რატომ მთელი?) ქვეყანა ხბოს ალტაცებით შეხვდა სააკაშვილის გაპრეზიდენტებას და შედეგად, ვერ ვიტყვი რომ გაუთვალისწინებელი, თუმცა ფრიალდა საკვალალო მივიღეთ.

2008 წელს ამერიკაში ბუშის ეპოქა დასრულდა. 2009 წელს სააკაშვილს ისევე ჩაურთეს შარშან დაპაუზებული წამშობი და ახლა საქართველოს ერთადერთი გამოსავალი დარჩა — მიეყვით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სააღდგომო ეპისტოლეში გამოთქმული ჩვენი ქვეყნისთვის (და არა მარტო ჩვენი, ჩვენნაირი ყველა ქვეყნისთვის) სახელმძღვანელო პრინციპს: „სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეოპოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები... ჩვენ ჩვენი მეობა უნდა დავიცვათ, რათა არ ვიქცეთ სხვათა მიზნების განხორციელებისთვის ბრმა იარაღად“.

ვალდართ, რომ ქართული სახელმწიფო ასცდა ეროვნული განვითარების გზას, ბუნებრივი განვითარების გზას, ჩვენი იდეოლოგია კი, არა ეროვნული ინტერესები, არამედ სხვათა სამსახურში თავის

ერთი რვეულბრივი ალაშიანის

„ესანი უნდა ნაითრნა!“ — თქვა პოეტმა რეზო ამაშუკელმა 2008 წლის 27 ნოემბერს. ყელში ამოუვიდა ნაცპარპაში — უპრაგონო და ამაზრზენი. პოეტში წლობით ნაგროვებმა ემოციამ იფეთქა, თორემ ბევრი ფიქრობდა ასე. ზოგი ამხელდა გულისნადებს, ზოგს უთქმელობით გული ბოლმით ვევსებოდა. ამ „ესანის“ წარმომადგენელთა (თუ შემადგენელთა) დიდ ნაწილს გული უფანცქალებდა თუ უღონდებოდა — „ნაითრპის“ წინათგრძნობა არ ასვენებდა.

იმ დროისათვის უკვე ერთი წლის „ნაითრული“ და ისევ უკან „თქმითმითრული“ მთავარი „ნასათრპი“ ახლა ვირზე ზის და რაკი ის ვირი ერთხელ ტლაპოში ჩაეფლო, ახლა იმავე ადგილზე გავლა არ უნდა. გაოჩნდა ვირული ლოგიკით.

ვირული უძახე და, მხედარსაც იგივე ლოგიკა აქვს. წელიწადზე ცოტა მეტი ხნის წინ კი, როცა 7 ნოემბერს გულისხმას აპყვა გონება-დაბინდული (ეს რა სისულელე ნამომცდა, — ადამიანს გონება რომ დაებინდოს, ჯერ უნდა ჰქონდეს!) და მშვიდობიან მომიტინგეებს ერთგული ნაგაზები მიუხია, რამდენიმე დღეში „ერთი რვეულბრივი ალაშიანი“ გახდა.

მაშინ გვარწმუნებდა, რომ „პრეზიდენტი ისეთივე სიზმრებს ხედავს, როგორსაც თითოეული თქვენგანი“.

„მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენურს“, — ამბობდა გალაკტიონი. ის პოეტების მეფე იყო და დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში შეიძლებოდა, პოეტების პრეზიდენტიც გვეწოდებინა. ეს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტად იწოდება და ფაქტობრივად აბსოლუტური მონარ-

ქის პირობებში გვიწევს ცხოვრება. მოკლედ, მეფეა რა, ოღონდ მხოლოდ თვითონ ჰგონია, რომ ასეა, სხვა ყველა კი ნაირგვარი ეპითეტებით ამკობს.

სიზმრებს დაუბრუნდეთ. იმის სიზმრებს, რომელიც საოცარი სისასტიკით აუსრულდა საქართველოს.



სიკვდილი



მონონება და უცხოთა შექებაზე ყურებადმდე განითლება იყო. გარე გეოპოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინება აუცილებელია, მაგრამ, თუკი ამ ფაქტორების შენიკევის სასიკეთოდ გამოყენებას ვერ ახერხებ, იმდენი მაინც უნდა შეძლო, რომ კატასტროფული ზიანი არ მოგაყენოს.

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ჩვენთან სწორედ მეობას ებრძოდნენ და ყველა სფეროში — განათლებიდან კულტურამდე — პიროვნული ინდივიდუალობის ჩახშობა ლამის (რატომ ლამის?) სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. ამიტომაც სათანადო ყურადღება ვერ გამოვიჩინეთ ყველა იმ საშინაო თუ საგარეო პროცესის მიმართ, რომელშიც

ბრმა იარაღად გამოვიყენა ჩვენმა „სტრატეგიულმა პარტნიორმა“. ეს ორი სიტყვა შემთხვევით არ ჩავსვი ბრჭყალებში. აშშ-თან „პარტნიორობის“ თვალსაჩინო მაგალითია ინდონეზიაში სუხარტოს რეჟიმის ოცდათორმეტწლიანი მმართველობის მიმართ ამერიკის ხელი-სუფლების დამოკიდებულება. „მართალია, შეერთებულ შტატებს და სუხარტოს ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, არაფრით არ შეიძლება, მას ამერიკის ღირსეული პარტნიორი ვუწოდოთ, — წერს აშშ ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლრაიტი თავის მემუარებში, — ისევე როგორც ფერდინანდ მარკოსმა ფილიპინებზე, სუხარტომაც თავისი ქვეყნის ხელისუფლება გადააქცია გამდიდრების

ინსტრუმენტად არა მხოლოდ პირადად თავისთვის, არამედ მთელი თავისი ოჯახისთვის. იგი, ისევე როგორც მარკოსი, აფერხებდა დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას. ხალხის ზენოლით იძულებული სუხარტო გადადგა და შემკვიდრებლად დატოვა ცარიელი ხაზინა და ნინააღმდეგობებით გახლეჩილი საზოგადოება“.

ალბათ, სიტუაცია გეცნოთ. ასეთი „პარტნიორობა“ და „პატრონობა“ იციან ამერიკელებმა, როცა მათი გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელებისთვის აღარ გამოდგები (საკავშილი!), ანდა ვარგისიანობის ვადა გაგივია (შეგარდნა-ქე!), მათთვის შენთან „სტრატეგიული პარტნიორობა“ მაშინვე მთავრდება.

ჩვენთან კი, როგორც „საქართველო და მსოფლიო“ წინა ნომერში წერდა: „პროამერიკული საქართველო მკვდარია, როგორც მაკედონელის ცხენი, გნებავთ შანიალის სპილო. ხანგრძლივი ძიების შემდეგ ვერი ისევ ტრადიციულ ღირებულებებს მიუბრუნდა“.

ერის ტრადიციული ღირებულებებისკენ შემობრუნება უმნიშვნელოვანესი მომენტია და, თუ მეობასაც დაეცავთ, მაშინ მართლა აღარ ვიქცევით ბრმა იარაღად სხვათა მიზნების განხორციელებისთვის.

რატომ მოვიხმე დიმიტრი მონიავას ეს ციტატა? — ყველაზე რეალურად ასახავს დღევანდელი საქართველოს მათგან, და იმიტომ. თანაც, წერილის სათაურზეც ბევრი ფიქრი აღარ დამჭირდება, დავარქმევ ასე — „ბუცეფალის სიკვდილი“, და მორჩა.

P.S. ბუცეფალი ალექსანდრე მაკედონელის ცხენს ერქვა.

ლევან მიქელაძე — ნასვლა ღარჩენით

ბატონი ლევან მიქელაძე — ერთადერთი კაცი, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბერს მკვეთრად გაემიჯნა ტოტალიტარულ რეჟიმს — ზეციურ საქართველოს შუშართდა.

ჯიშად მოსდგამდა, ქართული სისხლი უჩქევდა ქარღვებში და მისი ეს ნაბიჯი გასაკვირი არავისთვის ყოფილა. ბატონი ლევან მიქელაძე სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, რადგან პიროვნულ ღირსებას მისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.



პიროვნება იყო, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ამ უფაშო ფაშაში ღირებულებების ტოტალური გადაფასების შემზარავი პროცესის არა მარტო მომსწრენი, არამედ ხშირად მონაწილენიც ვხდებით. ბატონი ლევან მიქელაძის დარი ადამიანების მოქმედება კი მთელს გვაფხიზლებს, წამიერი სისუსტის გამოვლენით შემცბართ საკუთარ სულში გვახედებს და მოქმედების ფორმულას გვთავაზობს.

7 ნოემბერი ბევრი ადამიანისთვის გახდა მიჯნა, როცა არჩევანი უნდა გაეკეთებინა, რა გზას უნდა დასდგომოდა. ბატონ ლევან მიქელაძეს ეს არჩევანი ამ დღეს არ გაუკეთებია — „7 ნოემბერი კი ბოლო წვეთი იყო“.

იქნებ, ფიქრობდა, რომ მის ნაბიჯს სხვებიც მიბაძვდნენ, — კეთილშობილ ადამიანს სხვებში სურდა სინდისის მარცვლის გაღვივება, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ვერ ამაღლდნენ.

ვინც არ იცნობდა, ისიც კი თვალნათლივ დარწმუნდება ბატონი ლევან მიქელაძის შინაგან კეთილშობილებში, როცა გაეცნობა მის განცხადებას, რომლითაც მან გადადგომის შესახებ დიპლომატიურ კორპუსს მიმართა.

7 ნოემბერი „უზარმაზარი იმედგაცრუება იყო ჩემთვის მას შემდეგ, რაც საქართველომ მთავარ მიზნად დემოკრატიისა და თავისუფალი ქვეყნის მშენებლობა აირჩია, — წერს ბატონი ლევან მიქელაძე განცხადებაში, — ამ მიზეზის გამო, მე აღარ შემიძლია, კეთილსინდისიერად შევასრულო ჩემი, როგორც შევიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და შენევის განთავსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოვალეობა საქართველოს ახლანდელი მთავრობისთვის“.

შურადღება მიუძღვით: ბატონ ლევან მიქელაძეს აღარ შეეძლო კეთილსინდისიერად თაყვანის მოვალეობის ასრულება მთავრობისთვის.

ასა მხოლოდ კეთილსინდისიერი ადამიანები იცავენ, რადგან იციან, რომ საქართველოს ახლანდელი მთავრობისთვის სამსახური საკუთარ სინდისთან კომპრომისზე ნასვლას ნიშნავს, ყველაზე უფრო დაამატირებელ კომპრომისს.

ბატონი ლევან მიქელაძისთვის კი სამშობლო მხოლოდ ტერიტორია და, მით უფრო, ხელისუფლება არ ყოფილა, ამიტომ ამ კომპრომისზე ვერ წავიდოდა. არც ნასვლა. და ნავიდა თანამდებობიდან, პროტესტის ნიშნად ნავიდა.

დიპლომატიურ სამსახურში 11 წელიწადი იმსახურა — ვენა, ვაშინგტონი, შენევა. ყველგან, სადაც საქართველოს წარმომადგენელი, ჩვენი სამშობლოს პატივისცემას უღრმავებდა მასპინძლებს. მასთან ურთიერთობა ქართველი

კაცის ყველა ღირსეული თვისების მიმართ მონივნებას აღუძრავდა სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატებს. სწორედ ეს დამოკიდებულება აძლევდა საფუძველს, დიპლომატიური კორპუსისთვის მიემართა:

„ბოსნოვ, საქართველოს მიმართ კეთილგანწყობა შეინარჩუნეთ“.

სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცის ასეთი მკვეთრი ნაბიჯი საქართველოს მომავალზე ფიქრითა და ზრუნვით იყო ნაკარნახევი. უხადო პროფესიონალის ალღო კი ზუსტად მიუთითებდა მოქმედების აუცილებლობაზე. იგი ვერ შეურიგდებოდა ძალაობასა და უსამართლობას; მით უფრო, ვერ გახდებოდა მისი თუნდაც უნებლიე მონაწილე.

ბატონი ლევან მიქელაძის კეთილშობილებამ კი არაერთხელ დაგვრწმუნდა სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურში მუშაობისას. მასთან საუბრისას ყოველთვის ისეთი შეგრძნება შექონდა, რომ ნლებით, ცოდნითა და გამოცდილებით დაბრძენებულ ადამიანს ველაპარაკებოდი. შემდეგ მომაც, სატელეფონო საუბრებისას ასევე არ გამწვანებია შეგრძნება, რომ შენევაში დაცული იყო საქართველო, რადგან ვერობაში საქართველოს მეცხოვრებ ბატონი ლევან მიქელაძე იყო.

ზნეობრივი ინტელექტუალი — ორი სიტყვით ასე შეიძლება ბატონი ლევან მიქელაძის წარდგენა. დიას, ბატონი ლევან მიქელაძის, რადგან იგი არა მარტო ღირსეული გვარიშვილობის გამო, არამედ, უპირველესად, პიროვნული ღირსებებით იმსახურებდა პატივისცემას.

ბატონი ლევან მიქელაძის მოულოდნელი გარდაცვალებით შეძრული ადამიანები მწუხარებით თანაუგრძობდნენ ოჯახსა და ახლობლებს. მათთან ერთად კი მთელი საქართველოსთვის მისამძიმრება გემართებს, რადგან ასეთი ადამიანები სამშობლოს უკვდებიან.

ბატონმა ლევან მიქელაძემ მინიერი საქართველოდან ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა. მაგრამ ამ ნასვლას დარჩენა ჰქვია, რადგან მისი ცხოვრება და სამშობლოსკენ გადადგმული უკანასკნელი ნაბიჯიც კიდევ არაერთხელ შეგვახსენებს თავს.

ვაგლახად ახდენილი სიზმარი

და ნავიდე და იქაურობა სამუდამოდ დატოვო...“

ღმერთო, ყველა ნატვრა ისე აგვიხდინე, როგორც **ამას** აუხდა მარშანინდელი „**ყველაზე ხშირი**“ სიზმარი, სინამდვილედ რომ მოუბრუნდა მიღმიერი კომპარი. რა სოხუმი, აგერ „მეიდანში“ ვედარ უსადილია და „მარჯანოვში“ ვერ უფახშია. ყველგან დასდევენ, ჭამას არ აცდიან, გზას უკეტავენ, უსტვენენ, „**იძინან**“ „**ნადი, ნადის**“ ეძახიან, თბილისში მთავარი მაგისტრატელებიც გადაკეტეს და ეუბნებიან, რომ „**იქაურობა სამუდამოდ დატოვო...**“

მაშინ არ იცოდა, როგორ აუხდებოდა კომპარული სიზმარი, თორემ რა ათქმევინებდა: „**ნ იანვარს ამ გზას ჩვენ არ გავეხსნით, ან ჩვენზე ხელით სამუდამოდ ჩაკეტავთ**“.

მთელი საქართველო იმის მოლოდინში იყო, მცდელობაც არ დაუკლია, რომ „**ის გზა**“ გაგვეხსნა, მაგრამ **ამან** იძალა, იძალავრა, იძალადა და ახლა ეს გზა — სოხუმისკენ და ცხინვალისკენ მიმავალი — „**ჩვენზე ხელით სამუდამოდ ჩაკეტეთ**“. შემზარავი რეალობაა და მის გასახსნელად მარტო **ამის** მოშორება ვედარ გვიშველის.

რას ვიფიქრებდით, სამომავლო გეგმებს თუ გვიმხელდა, თორემ როგორ არ გავითვალისწინებდით **მის** მოწოდებას: „**მინდა, ეს ყველამ კარგად დავიმახსოვროთ**“.

ვერ დავიმახსოვრეთ. მეტიც, — ამის სიზმრებს კი არა, ცხადსაც არ აღვიქვამდით სერიოზულად. „**ნ იანვარს აფხაზეთთან დაკავ-**

შირებული ჩემი ყველაზე საშინელი სიზმრები ან ახდება, ან ყველა ერთად დავბრუნდებით ჩემი და თქვენი ოცნების სოხუმში, ყველა ერთად გავეართიანებთ საქართველოს და ხელახლა შევქმნით დავით აღმაშენებლის ქვეყანას“.

„საშინელი სიზმრები“ ახდა, **ჩვენი** (და არა **მისი**) ოცნების სოხუმში როდის დავბრუნდებით ძნელი სათქმელია, საქართველოს კი ყველა ერთად გავაერთიანებთ ოღონდ **შამათოდ**. ალბათ დავით აღმაშენებლის ქვეყანასაც შევქმნით, თუკი ამ ოცნების განხორციელებაში ისევე **ამათმა** უგუნურებამ არ შეგვიშალა ხელი.

და იმ დროს, როცა **ის** ფარისევლურად მოთქვამდა **თავისი** „**საშინელი სიზმრების**“ შესახებ, მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარე და პრეზიდენტის მოვალეობის უკვე მეორედ შემსრულებელი ყელმოღერებული გამოეხმაურა **ამის** გადაწყვეტილებას, ხელმეორედ ეყარა კენჭი. თურმე, „**ამით მან საკუთარ ხალხს უთხრა, თქვენთვის მომინდა შეფასება იმისა, რაც ხდება ამ ქვეყანაში, რა საფრთხეებსაც ვებრძვით ჩვენ, მთელი ჩვენი გუნდი. თქვენთვის გადაწყვიტეთ, რომ მოგვცეთ მანდატი, რათა გავაერთიანოთ ეს ქვეყანა, რომ, რაც არ უნდა მძიმე და ტკივილიანი იყოს, გადავდგათ ნაბიჯები, ამ ქვეყანას სჭირდება და ერთად მივიდეთ იმ საბოლოო მიზნამდე, რომელსაც ამ ქვეყნის გაერთიანება ჰქვია. ეს ნამდვილად უზენაესი მიზანია და მე ვუ-**

სურვებ ჩვენს ქვეყანას, რომ ძალიან მოკლე ხანში, თუნდაც ტკივილის ფასად, ამ მიზანს მივალნიო. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ, ყველაზე ერთად, ჩვენს საზოგადოებასთან ერთად, ხალხთან ერთად, ვისთვისაც მთავარი ფასეულობა ჩვენი ქვეყანაა, ამას აუცილებლად და სულ მალე მივალვით!“

კითხულობ ამ სიტყვებს და თავი გუშინდელ მიტიგზე გგონია, ან გუშინდელზე, ან იმისწინდელზე... არადა, ეს სიტყვები იცით, სად ამოვიკითხე? უმაღლეს პოლიგრაფიულ დოკუმენტს გამოცემულ ჟურნალში „**გზა გამარჯვებისკენ**“, რომელიც 2007 წლის დეკემბერში 250 ათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა და მთელს საქართველოში გავრცელდა.

ახლა თქვენ თვითონ გამოიცანით, **ვის აქვს ვადა** ეს ჟურნალი და **ვისთან ერთად და რის მიღწევას** აპირებდა მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარე.

დღეს კი, დღეს უფრო მეტად აქტუალურია პოეტ რეზო ამაშუქელის ემოციურად თქმული — „**საქანი უნდა ნათარქანი!**“

მაგრამ სად „**ნათარქანი**“, იმდენად ღრმად შეისუსთქეს ძალაუფლების (ძალაუფლებისაც!) სურნელი, რომ მათი „**ნათარქანი**“ ნამდვილად არ იქნება ადვილი. სად წავლენ — **კარგს თქვავენ, კარგს სვლენ** და **კარგს ტყვევენ**. მეტი არც იციან და მეტის შნო არცა აქვთ.

ესენი ადვილად არ „**ნათარქანან**“.

მართალი ისტორია გვჭირდება

დღეს ქართულ მედიაში რუსეთის გინება და ამერიკისთვის ოდების მიძღვნა მოდადაც კი იქცა, რადგან რაც უფრო გზნებარედ და ბეჯითად აკეთებ ამას, მით უფრო დიდ პატივს და მამულიშვილად გაცხადებენ. სიმართლე კი სადღაც ისტორიის ლაბირინთებში დახეტილობს და თავის ჟამს ელოდება. ქართველი პოლიტიკოსები ქართულ მედიაში რუსეთის კრიტიკით „მაგარი ბიჭები“ არიან, რადგან თავს სრულებით უსაფრთხოდ გრძნობენ. პოლიტიკოსმა ალექსანდრე ჭაჭიამ კი რუსულად და რუსულად უთხრა მათ ის სიმართლე, რომელიც, ალბათ, ბევრს არ ეამა. ვთავაზობთ პუბლიკაციას, რომელიც თავის დროზე არა ერთ გამოცემაში გამოქვეყნდა და მთელი ინტერნეტი შემოიარა. დასკვნები კი მკითხველმა თავად გააკეთოს...

... ჯერ საბჭოთა კავშირის დისკრედიტაციისა და დაშლისაკენ, შემდეგ კი მსოფლიო საზოგადოებრიობის ცნობიერებაში რუსეთის ბარბაროსულ, აგრესიულ, განვითარების შემფერხებელ ქვეყნად წარმოჩენისკენ მიმართული მრავალწლიანი ბეჯითი იდეოლოგიური კამპანია დასასრულს უახლოვდება. დასავლეთის ცნობიერებაში რუსეთი საზარელ მონსტრად დამკვიდრდა, რომელიც ცივილიზებული სამყაროსთვის მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს და ამიტომ არსებობის უფლება არ აქვს.

**დასავლეთის
გაგზიხარისთვის
გასაგებია
გაგზიხარისთვის
თქვალსაზრისი,
როგორც ვიხილავს,
როგორც ჩანს
5 სახელმწიფო
უნდა დაიყოს
(ანა უფრო იოლია
მისი მართვა და
ჩანს ჩანს
გაგზიხარის
გაგზიხარის
როგორც მარტინ
ტატიჩისა,
როგორც თქვის,
როგორც თქვის
ტარიტორიაზე
50 მლნ კაზახი მათი
არ უნდა
სახლოვდეს (მატი
აღაიანის შენახვა
ეკონომიკურად
ნაგებია).**

და, საერთოდ, რაში გვარგია შუამავლები რუსურების გადასაქანად რუსეთიდან დასავლეთში? მით უმეტეს, რომ ეს დანაშაულებრივი ქვეყანაა, არადადამიანური რეჟიმების შედეგად მილიონობით უდანაშაულო მსხვერპლის სისხლით აშენებული, რომლისავე, როგორც ნესი, პირისხლიანი მანიაკები მართავენ, ხალხი კი დაბეჯადებული, ველური და მონურად მორჩილია. ჰოდა, ვის სჭირდება ასეთი სამარცხვინო ლაქა ცივილიზაციებისა და კულტურების მსოფლიო თანავარსკვლავედში? ქვეყანა-დამბრკოლება, ქვეყანა-ჯურღმული, ქვეყანა-უბედურება — შემოქმედებითი წარსუ-

ლის, დიდი მოღვაწეების, კაცობრიობის წინაშე ისტორიული დამსახურებების გარეშე... მოიცა! ეს ხომ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე ქვეყანაა, მან კი ფაშაზიმის დაამარცხა და ევროპა გაათავისუფლა, მსოფლიო ცივილიზაცია იხსნა! ჯერ კიდევ ცოცხალი არიან ადამიანები, რომლებსაც ეს ახსოვთ ან მამებისგან სმენიათ. მამა-სადამე, საჭიროა, მას მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებული ქვეყნის დაფინანსების ჩამოგვლიჯოთ; კიდევ უკეთესი, თუ ქვეყანა-აგრესორად შევრაცხავთ, ჰიტლერულ გერმანიას გავუთანაბრებთ. რთული ამოცანაა? — სულაც არა. მით უფრო, თუ ამას რუსივე პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების, საზოგადო და ხელოვნების მოღვაწეების ხელითა და ბაგეებით მოვიმოქმედებთ. მეტადრე, რომ ეს პატივცემული პუბლიკა ამ კეთილშობილურ საქმეს ხალისითა და თავდადებათ აკეთებს, ვინ — 1956, ვინ — 1985 წლიდან.

დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ბოლო მოვლენებმა, რომლებიც ჰიტლერულ ოკუპაციებთან გათანაბრებული საბჭოთა ჯარისკაცების ნეშტების გადატანას უკავშირდებოდა, პოსტ-საბჭოთა სივრცის მოსახლეობის უმრავლესობის ბუნებრივი აღზოგობა გამოიწვია, იმ უმრავლესობისა, ვისაც არ დაუკარგავს ისტორიული მემკვიდრეობა და სინდის-ნამუსიც შეერჩენია. გასაკვირიც არაფერია: ცოტაა ისეთი ოჯახი, რომლის წევრებსაც მონაწილეობა არ მიეღოთ ამ ქვეყნების ფაშისტებისგან გათავისუფლებაში. გასაოცარი სხვა რამაა: აღზოგობას გამოთქვამენ ადამიანები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში თანმიმდევრულად, დაჟინებით ამბიციუზდნენ, აუკუღმართებდნენ ისტორიის საბჭოთა პერიოდს, თავს სხვებს ასახმდნენ ამ პერიოდის უდიდეს მოღვაწეებს, აბუჩად იგდებდნენ მათ ხსოვნას. ყველა უტიფარი ბრალდება სსრკავშირისა და მისი ხელმძღვანელობის, საბჭოთა არმიისა და მისი სარდლობის მიმართ, რაც დღეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაისმის, პირველად რუსულ მედიაში რუსმა პოლიტიკოსებმა, ჟურნალისტებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გააჟღერეს. რუსი საზოგადოების ამ ყველაზე უზასუნისხმებლო, მაგრამ ყველაზე

ყოყოჩ ნაწილს მინდა, ვკითხო: რამ აღვამფოთათ? ეს მესაფლავებენ ხომ თქვენი ყველაზე ბეჯითი მოსწავლეები არიან? მათ, უბრალოდ, დასკვნები გამოიტანეს თქვენი ნალაყბებიდან. აგერ უკვე 20 წელია, ყოველდღიურად (!) სწორედ თქვენ სვამთ ტოლობის წიშანს საგაზეთო სტატიებში, ტელეგადაცემებში, მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებში ფაშისტურ გერმანიასა და სსრკავშირს, ჰიტლერსა და სტალინს, კომუნისტებსა და ფაშისტებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს (НКВД) და გესტაპოს შორის. ჰოდა, რას ელით სხვისგან, როცა თავად ლაფში სვრით საკუთარ ისტორიას და ამ ამბზრზინ სივრუთი ზრდით ახალგაზრდა თაობას?

საგულისხმოა, რომ რუსი საზოგადოების მცირერიცხოვანი ფენა, რომელიც თავს „რუს ინტელიგენციას“ უწოდებს და ექსკლუზიურ უფლებას იტოვებს, არა მხოლოდ ილაპარაკოს ხალხის სახელით, არამედ ჭკუაც ასწავლოს მას, ძირითადად, მოდური ლიტერატორების, რეჟისორების, მსახიობების, ჟურნალისტებისა და მათ წრეში სათითაოდ მიღებული პოლიტიკოსების, ისტორიკოსების, პოლიტოლოგებისაგან შედგება, რომლებიც ასევე მოდურნი ხდებიან. მათ ასეთებად აქცევს არა პოპულარობა და ავტორიტეტი მოსახლეობის ფართო მასებში, არამედ მედია, სადაც ეს „ინტელექტუალები“ ხობტას ასხამენ ერთმანეთს. მილიონობით ექიმს, მასწავლებელს, ინჟინერსა და მეცნიერს კი სათვალავშიც აღარ აგდებენ. ეს „მოდური“ ინტელიგენცია, მიხედვად რიხიანობისა და „მდაბიობის“ მიმართ ამრეზილობისა, გაუნათლებელი და უნივერსიტეტი. საკუთარი ისტორიის შესასწავლად მათ არც დრო აქვთ, არც — უნარი, სამაგიეროდ, ოსტატურად ახერხებენ „დამშოკავი ფაქტების“ მოქექვასა და ჭკვიანური გამომეტყველებით მათზე მსჯელობას! მაგალითად, ხრუშჩოვის ნაბოღვარის მიბაძვით, ეს „ინტელიგენტები“ წლიდან წლამდე იმეორებენ, რომ „უტყუარი მონაცემებით, სტალინი ომს რუსის მიხედვით ხელმძღვანელობდა... სტალინს სჯეროდა ჰიტლერის და არ სჯეროდა რიჰარდ ზორგესი.“ განსაკუთრებით შთამბეჭდავია „37-38 წლებისა და 50-იანი



წლების დასაწყისის ბერიასეული რეპრესიების საშინელებები, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბერია НКВД-ს სახალხო კომისარი იყო 1939-1945 წლებში, შემდეგ კი სასოფლო მეურნეობის განვითარებით დაკავდა და საბჭოთა მრეწველობის იმ მაღალტექნოლოგიური დარგების დამფუძნებელი იყო, რომლებიც დღესაც რუსეთის ინდუსტრიული და სამხედრო ტექნიკური ძლიერების საფუძველს შეადგენს. „ინტელექტუალებსგან“ ხშირად მოისმენთ, რომ „ბოლშევიკებმა მეფე დაამხეს“, „გერმანელები კი არ დაემარცხებთ, არამედ გვამებენ ჩაგვარებით“, „სტალინმა 140-მილიონიანი ქვეყანაში 100 მლნ კაცის დახვრეტა, ომში 27 მლნ კაცის დაკარგვა და თავისი ალსასრული შემდეგ სახელმწიფოში კიდევ 200 მლნ მოსახლის დატოვება.

პოლონეთის დღევანდელი ხელისუფალი მოსკოველ „ინტელექტუალებს“ ექოდ ეხმარებიან და ირწმუნებიან, რომ საბრალო მშვიდობიანი პოლონეთი ორი ტირანის — სტალინისა და ჰიტლერის მსხვერპლი შეიქნა, და დღეს, „დემოკრატიის ზეობის“ ხანაში, ამაზე პასუხი რუსეთმა უნდა აგოს.

**რასაკვირველია,
შავიკლია
შავახსენით
პოლონელებს, რომ
გერმანიისთან
ერთად 1938 წელს
სწორად
პოლონეთი,
უჩარჩოლი თქვით,
„ტურის სისარბით
მონანილოვად
ჩხეთის
სახელმწიფოს
ქარხანას და
განაღებუბაში,
ტაშინის ოქვის**

**ოკუპაციის და
ვიტკოვისის
მეტალურგიული
ქარხანის ხელში
ჩაგდებას კი სხვა
(თუხსალა,
გერმანელებმა
დაასწარეს).**

სწორედ პოლონეთი ამზადებდა ლიტვის ოკუპაციას, რაზეც გერმანიის სანქციაც მიიღო. მხოლოდ სსრკავშირის დიპლომატიური ჩარევით მოხერხდა ამ აგრესიის თავიდან აცილება. სწორედ საფრანგეთის მოკავშირე პოლონეთმა განაცხადა უარი ფრანგების მხარდაჭერაზე, თუ ისინი ჩეხეთს დაიცავდნენ. სწორედ პოლონეთმა იუარა კატეგორიულად, თავის ტერიტორიაზე გაეტარებინა საბჭოთა ჯარები, გერმანიის აგრესია რომ შეეჩერებინათ. მამ, ვის გარიგებია ჰიტლერი — სტალინს თუ პოლონეთის ხელისუფლებას? მით უფრო, რომ რიზენტროპისა და მისი პოლონელები — ბეკის მეგობრული საუბრების ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ბატონო ბეკი არ მალავს, რომ პოლონეთის საბჭოთა უკრაინისა და შავ ზღვაზე გასასვლელის მიღება სურს.“ მაგრამ, აი, უბედურება: პირისხლიანი დესპოტი სტალინი არ დაელოდა თავისი ქვეყნის წინააღმდეგ მეორე ნაპოლეონისეულ ალიანსს და გერმანიასთან თავდაუსხმელობის პაქტი დადო, რომელსაც რუსმა და პოლონელმა პოლიტიკოსებმა ერთხმად დანაშაულებრივი უწოდეს.

ჰიტლერმა კი გადწყვიტა, რომ პოლონეთი მოკავშირედ არ სჭირდებოდა და ორ კვირაში ბოლო მოუღო ამ სახელმწიფოს. ომის მესხეთე დღეს ქვეყნის ხელისუფლება ვარსაყვანილად, მარშალმა რიბ-სმიტლამ არმია ბედის ანაბარა მიაგდო და რუმინეთს შეაფარა თავი. დესპოტი სტალინი კვლავ არ დაელოდა, როდის მოადგებოდნენ გერმანელები კავშირის სახელ-

რებს და ჯარები შეიყვანა არარსებული პოლონეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთს ეკუთვნოდა და რომლის ოკუპირებაც პოლონეთმა მოახდინა 1920 წელს. ამასთან, რუს „დემოკრატიან“ აზრად არავის მოსვლია, ამისთვის აგრესია ეწოდებინა. იგივე უინსტონ ჩერჩილი ამ ნაბიჯს „გათვლილსა და უხალრესად რეალისტურს“ უწოდებდა.

**გაგზიხარის
სამხედრო
ჯილდოებში არის
მედალი „პარტიის
გათავისუფ-
ლავისთვის.“
შეიქვავოდა,
შავახსენავინა
პოლონეთისთვის,
რომ მისი
გათავისუფლება,
სახელმწიფოპრიობა
და
დამოუკიდებლობა
საბჭოთა ხალხს
600.000
ჯარისკაცისა
და ოფიცრის
სისოხსლად
დაუჯდა.**

შეიქვავოდა, შავახსენავინა იალბის კონფერენციის მასშტაბი, როცა ი.ბ. სტალინმა მაცხადდა ურჩავად დანიცვა ერთიანი პოლონეთის სახელმწიფო შექმნის იდეა და მისთვის გერმანიის მიხედვით გადაეცემა დანიცვა ჩარჩოლისა და რუჰვალდის წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელსაც მიაჩნდათ, რომ პოლონელები არ იმსახურებენ სახელმწიფოს. კიდევ ბევრის შესხენება შეიძლებოდა მათთვის, მაგრამ რუსი ელიტიდან ვინმემ კიდევ რომ უდალატოს „დემოკრატიულ ფასეულობებს“ და სამშობლოსა და საკუთარი ხალხის ღირსება დაიცვას, სავარაუდოდ, პოლონელი კოლეგებისგან შემდეგ პასუხს მიიღებს: ვანა ეს თქვენ, რუსმა დემოკრატებმა არ „აღმოაჩინეთ ხელახლა“ ისტორია და მთელ მსოფლიოს აუწყეთ, რომ სსრკ დანაშაულებრივი სახელმწიფოა, სკკპ — დანაშაულებრივი პარტია, რომელსაც მეორე ნიურნბერგი ელოდება, საიდანაც ამოქექეთ „საიდუმლო მასალები“ მანქანაზე ნაბეჭდი ასლი (!) და დაარწმუნეთ მსოფლიო, რომ ბოროტმოქმედმა სტალინმა და ბოროტმოქმედმა ჰიტლერმა დანაშაულებრივად გაიყვეს ევროპა. რუსი ინტელიგენციის კერპმა, „ნაციის №1 სინდისმა“ ა.ნ. იაკოვლევა დოკუმენტებით (რომლებიც არავის ნაუკითხავს) დაამტკიცა, ხოლო რუსეთის მთავარმა სამხედრო პროკურატურამ დაადასტურა პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ოკუპაციის ფაქტი საბჭოთა კავშირის მხრიდან, თქვენმა

„დიდმა წინასწარმეტყველებმა“ ა.ს. სოლჟენიცინმა, „ნაციის №2 სინდისმა“, დანაშაულებრივი საბჭოთა კავშირის „სისხლიანი ისტორიის“ მრავალტომეული მოაგვირისტა, რომელიც მთელ მსოფლიოში მრავალმილიონიანი ტირაჟით გამოიცა და მასზე მოთხოვნის არარსებობის გამო მერე დიდხანს წვავდნენ (ზარალი ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ (ИПВ) აანაზღაურა); თქვენი ინტელიგენციის ლიდერმა დ.ს. ლიხაჩევმა, „ნაციის №3 სინდისმა“, მოუწოდა რუს ხალხს, „მოენანიებინა მთელი მსოფლიოს წინაშე ბოლშევიზმის სამინელებების გამო, იმ უბედურებების გამო, რაც სტალინისწინამ თავს დაატყუებდა ცეროპელ ხალხს“... ეს თქვენი სამხედრო ისტორიკოსები, პოლიტიკოსები, კინორეჟისორები ყოველდღიურად ამტკიცებენ, რომ სტალინი პიტლერთან მეგობრობდა და ღვიძლ ძმასავით ენდობოდა, რომ ნიუტონმა არმია დაიპყრო ტერიტორიები, ხოლო НКВД მეთოდურად მტრედდა მილიონობით უდანაშაულო ადამიანს... ამ ყველაფერს თქვენ — რუსები ამტკიცებთ, ჩვენ კი, პოლონელები, უნგრელები, ბალტიისპირელები და ჩვენი დასავლეთელი მფარველები მხოლოდ ვეყრდნობით თქვენ მიერ აღმოჩენილ და დამტკიცებულ ჭეშმარიტებებს და მოვითხოვთ სსრ კავშირის საპარტალემენტო კვირეულ რუსეთისგან, პასუხი აგოს მსოფლიოს წინაშე ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის, ასევე მოვითხოვთ მორალური და მატერიალური ზარალის კომპენსაციას.

ვასაბუთებთ? — დიახაც, ვასაბუთებთ! თუკი რუსეთის მთელი ელიტა და მედია დაჟინებით ირწმუნება, რომ „სსრკ ერთი დიდი საკონცენტრაციო ბანაკი იყო“, მაშინ მართალი არიან ბალტიისპირელი პოლიტიკოსები, როცა გადაჭრადი საშინელებების გამო მოზოდუმებას და კომპენსაციას ელიან. აკი გერმანია დღემდე უხდის საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ ტყვეებს...

რუსი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ხშირად გამოხატავენ გაოცებას და იმირიზაციას იმის გამო, რომ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები სულ უფრო მეტად შორდებიან რუსეთს და ოდესღაც მეგობარ ხალხებს უწინდელი გრძობებით აღარ აქვთ. „არ ვუყვარვართ და ჩვენს ინტერესებსაც ანგარიშს არ უწევს“, — წუხს ახალგაზრდა რუსი ელიტა. რისთვის უნდა ვვიყვარდეთ? ჩვენს ხალხებს ისტორია, საერთო სიხარული და მწუხარება, გამარჯვება და მარცხი აერთიანებდა; საერთო გმირები და მისაბამი პიროვნებები ჰყავდა, საერთო იდეალები და ზნეობრივი ფასეულობები ჰქონდა. შემდეგ კი მოხვედით თქვენი, რუსი „დემოკრატები“, ძირითადად, ყოფილი პარტნომენტალურიდან და განაცხადით, რომ ყველა ჩვენს იდეალსა და სულიერ ფასეულობებს გროშის ფასი აქვს, ჩვენი ისტორია სისხლიანი სასაკულაო, ისტორიული ავტორიტეტები კი — მანიაკები და პარანოიკები, ხოლო გმირები მკვლელები და ოკუპანტები არიან. ტელეკრანებზე „რუსული კულტურის კეთილსახიერი მოღვაწეები“ გამოკეკლუცდნენ, რომლებიც სამინისტრად „იტანჯებოდნენ“ საბ-

ჭოთა პერიოდში, რადგან მათ, თურმე, აიძულდნენ, გადაეღოთ ცრუ ფილმები და ენერჯიტი ცრუ ნიგნები, რომლებიც ჩვენ, ბრიყვებმა, გულწრფელ წანარმოებებად მივიჩინეთ და აღფრთოვანდით, მათზე თაობები აღეზარდეთ. და მთელმა ამ პარტიულ-კულტურულმა ნომენკლატურამ, ყურნალისცემებთან ერთად, ლაფში ამოვარა ჩვენი წარსული, ჩვენი მამა-პაპანი (კულტურის რამდენიმე მოღვაწე დღემდე დიობს, ვინ შემოიღო პირველად სიტყვა „აქანდაზი.“ ეს ზომ ეგზომ კეთილშობილურია — დაამცირო და შეურაცხყო ადამიანების სამი თაობა!). აღმოჩნდა, რომ ტყუილბურთოდ ვამაყობდით ჩვენი სამშობლოთი (ის დანაშაულებრივია, აშენებულია მილიონთა სისხლზე და არსებობის უფლება არ აქვს), ჩვენი ისტორიით (ის სისხლიანი და სამარცხვინოა), ჩვენი მამებით (ისინი დანაშაულებრივი ქვეყნის დანაშაულებრივი ხელისუფლების დანაშაულებრივ ბრძანებულებებს ასრულებდნენ), ჩვენი ხალხით (უსიტყვო, ბეჩავი მონები, რომლებიც 30 წლის განმავლობაში ლიდერად აღიარებდნენ პირსისხლიან პარანოიკს, ხოლო მისი გარდაცვალება გათავისუფლებად კი არა, დიდ უბედურებად მიიღეს). და ჩვენ, ოდესღაც ერთიანი ქვეყნის მოსახლეობას, ამ ნომენკლატურულმა წმინდანებმა ჩვენი მამების ცოდვების მონაწილეობის მოგვიწოდეს!

თურმე, უნდა მოვიზინოთ და განვუცხადოთ მთელ მსოფლიოს: ჩვენ ბრიყვი არაბობანი ვართ, კაცუნები, რომლებსაც არ ძალუძთ თავიანთი ცხოვრების ადამიანურად მოწყობა, ჩვენ არ შეიძლება გვანდომ სახელმწიფოს მოწყობა, „მოზრდნადი და გვიპატრონეთ!“

ჰოდა, მოზრდნდნენ. გაიხსენეთ, როგორი სასოებით უგადებდნენ ყურს „გამოჩენილი ინტელიგენტები“ უცხოელი სტუმრების ამპარტავნულ „რჩევებს“, როგორ სიხარულით ბლაოდნენ ჩამოსული აფერისტების ზიზნარევი შენიშვნების პასუხად, როგორი პირმოთენობით იღებდნენ მათგან საყვედურებს ჩამორჩენილობის, ველორობის, არაცივილიზებულიობის გამო. ყველაზე სასაცილო კი ისაა, რომ ამ სამარცხვინო მამებლობას თან სდევდა მოსახლეობისადმი მონოდება მონური მორჩილებისაკენ! ამ ბაკქანალიას, ბუნებრივია, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან „სულიერი მოძმეებიც“ შეუერთდნენ. მათაც მოსიურვეს „ცივილიზებულობა“, უმადლესი არსებების — ამერიკელებსა და ევროპელებს განსაკუთრებით დამსახურება, მათთან მიახლოება, ხელის შეხება, მათ „დიდ ფასეულობებთან“ ზიარება. თუბედი გაუღიმებზეათ, ეგებ „მათნაირებიც“ გამხდარიყვნენ.

მერედა, რას იქმოდნენ მოძმე ხალხები? ისინი უფურცლდნენ, როგორ იგრძნობრეულად რუსეთის პრეზიდენტმა თავი თავისუფალ ადამიანად, როცა ნიუ-იორკში თავისუფლების ქანდაკებას გარს შემოუფრინა, როგორ განაცხადა რუსეთის უდიდესი ოქტის გუბერნატორმა ტელეკამერების წინ მთელი მსოფლიოს გასაკრძად, რომ შენატრის მონიკა ლევინსკის, როგორ ზეიმობს

რუსეთი გამარჯვების დღეს ისე, რომ უმადლეს მთავარსარდალს არ ახსენებს, როგორ აჩვენებენ 9 მაისს რუსული ტელეარხები ამერიკელი ჯარისკაცების გმირობისა და სიმამაცის ამსახველ პოლიუდურ ფილმებს ფაშისმისგან ევროპის გათავისუფლების შესახებ და რუსულ ფილმებს, სადაც ნაჩვენებია, პიტლერებთან ერთად როგორ ანადგურებდნენ სტალინი და ბერია, НКВД და СМЕРШ საბჭოთა ჯარისკაცებს. ხალხი ხედავდა, რომ ე.წ. რუსი ელიტა აშკარად აღიარებდა რუსეთის სრული ისტორიულ არშემდგარ ქვეყნად, საკუთარ უსუსურობასა და ინტელექტუალურ უბედურებას და მზად იყო, ხალხით დაეკავებინა ისტორიულ პროცესში ის ადგილი, რომელზეც მას ცივილიზებული დასავლეთი მიუთითებდა. ვის არგია ასეთი რუსეთი? რატომ უნდა იმეგობრო ვასალთან, როცა თავად სუვერენი გათავისუფლებიან? ნესიერი ხალხი (და ასეთი უმრავლესობა გახლავთ) არ გაცვილიდა ისტორიულ ძმობასა და საერთო წარსულს საღვთო რეზინასა და „სინიკრსზე“, მაგრამ განარუსეთი აპელირებს მალაღი ფასეულობებით?

ვ.ვ. პუტინმა ბერი გააკეთა ქვეყნისათვის ღირსებისა და სახელის დასაბრუნებლად. „ინტელიგენციაცა“ და მედიაც აღაშფოთა საბჭოთა შერყევამ (ელცინის ხანაში ამას ტოტალური წარსულისგან გათავისუფლებას უწოდებდნენ), მაგრამ შეცვალა კი პუტინმა რუსი პოსტსაბჭოთა ელიტის მინაგანი სახე და ბუნება? — ვგონებ, რომ არა. დღეს ისინი აღშფოთებული არიან, რადგან იციან, რომ პუტინი აღშფოთებულია. ზემოთ აღწერილი კი ამა თუ იმ სახით დღემდე გრძელდება: რეალური ისტორიის დამახინჯება და ლაფში ამოსვლა, ახალი ტელევიზორები ომზე, რომელშიც პიტლერები გაცილებით სიმპათიურად გამოიყურებიან, ვიდრე კომისრები და ჩეკისტები; მსოფლიო ისტორიაში დასავლეთის როლისა და მნიშვნელობის გაზვიადება და, ამავდროს, რუსეთის ჩამორჩენილობისა და ველორობის ხაზგასმა. რაღაზეა საუბარი, როცა სახელმწიფო დუმის დეპუტატებმა გამარჯვების დროში სახეცვლილება გადაწყვიტეს?! რა პრეტენზია გვაქვს ლატვიელებთან საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვის გამო?

დღეს სახელმწიფო ახორციელებს პრიორიტეტულ პროგრამებს („საცხოვრისი“, „განათლება“, „ჯანდაცვა“) და ვის ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ განსაზღვრავს დიდი ქვეყნის მომავალს. დიდი მომავალი განისაზღვრება დიდი წარსულით. საჭიროა სახელმწიფო პროგრამა — „ისტორიული სიმართლე“. სახელმწიფომ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ისტორიის მართებულად წარმოჩენაზე და მკაცრად არეგულიროს ეს პროცესი არა მხოლოდ სასწავლო დანსებულბეებში, არამედ მასმედიაშიც. ხალხის ძირითადმა მასამ ისტორია ფილმებითა და მხატვრული ლიტერატურით იცის, ახალგაზრდობამ კი — მხოლოდ ფილმებით. რა ცოდნასა და შთაბეჭდილებას მიიღებენ ახალგაზრდები საკუთარ ისტორიასა და წინაპრებზე

„მოსკოვური საგის“, „ლენინგრადის“, „არბატის პირმშობის“, „ნაძირლების“, ლ. მლეჩინისა და ნ. სვანიძის პროგრამების ნახვით? აუცილებელია ისტორიულ თემებზე გადაღებული ისეთი ფილმების აკრძალვა, რომელთა შექმნაშიც მეცნიერ-კონსულტანტები არ მონაწილეობდნენ. ერთობ მნიშვნელოვანია ეს საქმე იმისათვის, რომ მხოლოდ სცენარისტებს, რეჟისორებსა და მსახიობებს არ ვანდოთ.

დასასრულ, უნდა გაიხსნას არქივები ყველა დაინტერესებული სპეციალისტისა და არა მარტო ვოლკოგონოვებისა და ილიზაროვებისთვის. არ შეიძლება, დღეს საიდუმლოს წარმოადგინდეს 50-80 წლის წინანდელი მილიონობით დოკუმენტი, რომლებიც გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“ ინახება. არ შეიძლება, საკუთარი ქვეყნის ისტორია განიხილო კატეგორიებით — „მჯერა-არ მჯერა“. „გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ ისტორიის მასაგებელი რუსი ინტელიგენტები არქივების გახსნას არ ითხოვენ. რატომ? თუკი არ ყოფილა, მაგალითად, „სამხედრო შეთქმულება“ და სტალინმა თავისი „სამხედრო ელიტა“ პიტლერის საამებლად დახვრიტა, მაშინ გახსენით „სტალინიზმის ამ მსხვერპლთა“ სისხლის სამართლის საქმეები. თუ სსრკ აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს ჩაგრავდა, და ამტკიცეთ ეს დოკუმენტურად. თუ სტალინი სიცოცხლის ბოლო წლებში „ახალ ყულუს უშაბდებდა თავის მონურად მორჩილ, ჩაგრულ საბჭოელ ხალხს (ბ. ილიზაროვი), უჩვენეთ მისი ჩანაწერები, შენიშვნები, რომლებიც სტალინს არ შეიძლებოდა, არ ჰქონოდა.

სიმართლე ისტორიის საბჭოთა პერიოდზე დღეს ისე საჭიროა, როგორც არასდროს. საერთო გმირული ისტორიის შესახებ სწორედ სიმართლე დაგვაძლევინებს ბოლო წლებში გაჩენილ გაუცხოებას პოსტსაბჭოთა ქვეყნების ხალხებს შორის. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება გამარჯვება — ბოლო უდიდესი ფასეულობა, რომელიც ჯერჯერობით საბოლოოდ არ დაუბანინჯვებიათ და შეურყევიათ. ათიოდე წლის შემდეგ, ამ სამზეოდან ამჟამინდელი უფროსი თაობის წასვლის მერე, რუსეთი მყარად დამკვიდრდება დასავლურ ცნობიერებაში როგორც მერე მსოფლიო ომის გამაღებელი და ნახევარი ევროპის დამპყრობი ფაშისტური გერმანიის ანაკილე. უფრო მეტიც, ევროკავშირში გერმანიის წამყვანი როლისა და მისი სანიფორმაციო-პროპაგანდისტული შესაძლებლობების გათვალისწინებით, ვფიქრებ, მხოლოდ რუსეთის შერჩება ქვეყანა-აგრესორის სახელი ევროპის ისტორიაში. ხოლო რუსი ახალი თაობა, რომელიც „დემოკრატიული ინტელიგენციის“ მიერ სიცრუესა და მონაწილეობისკენ მოწოდებულზე აღიზარდა, ამ იმიჯს დიდად არ შეენიანაღმდეგება.

ალექსანდრე ჭაჭია,
გლობალიზაციის პრობლემების ცენტრის ხელმძღვანელი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი 27.09.2007.

დაგაგაგაული პოლიტიკა და კარუსელი უდაბნოში

ოპოზიცია აქციებს წარმოადგენს, ხელისუფლება კი მათ დიპლომატიურად უპასუხებს და საკანონმდებლო ცვლილებებზე იწყებს მუშაობას, რომელთა გატარებას მომავალში აპირებს. თბილისის ცენტრალურ ქუჩებზე განლაგებულია მომიტინგეთა საკნები. ხელისუფლების გუშინდელი წარმომადგენლები უფრო და უფრო მგზნებარე ოპოზიციონერები ხდებიან, როდესაც ზურაბ ნოლაიძელი აქციებს ემიჯნება; უკვე გიგი წერეთელიც ალაპარაკდა ახალი ოპოზიციური პარტიის შექმნაზე; ალასანიას ახლადშექმნილი ალიანსიც ახლდებურად ორპირობს. პოლიტოლოგები შექმნილ სიტუაციას შემდეგნაირად აფასებენ, რომ პერმანენტულ აქციებს პოზიტივი არ მოაქვთ და საზოგადოება ამას ხედავს. მტკიცედ დარწმუნებული არიან, რომ ცუდი არაფერი მოხდება, ხალხი კი დაიღლებს. მიტინგები კიდევ რამდენ ხანს გასტანს, არავინ იცის, მაგრამ მუშტემართული პროტესტის გრძნობა საზოგადოებაში უმიტინგოდაც არსებობს. ეს არის ხალხში ნლობით დაგროვილი ნუხილი საკუთარ ქვეყანაზე, რიგითი მოქალაქის ხედვებზე, არსებულსა და მომავალზე. მოუესმინოთ მათ:



თინა კარანიძე



გიორგი ვაშვავაძე

თინა კარანიძე, მედია — ქალბატონო თინა, თქვენ ხმა მიცემთ მიხეილ სააკაშვილს, დღეს კი მისი უკმაყოფილო ხართ, თავისთავად გვიჩვენებთ შეკითხვა — რატომ?

— მე ხმა ქვეყნის მომავალს მივცე, პერსონალურად სააკაშვილს არც კი ვიცნობდი. გულახდილად რომ გითხრათ, ხალხს აყვავი. დღეს ვნახობ და ვიცი, რომ თითოეულმა ამომრჩეველმა ხმის მიცემამდე კარგად უნდა გაიზაროს, ვის აძლევს ხმას. შევცდი, ბატონო, მაგრამ სააკაშვილი შემოგვატყუეს და გავგანზილეს, ამიტომ დღეს ხელისუფლებიდან მისი დროულად წასვლისთვის მთელი საქართველო უნდა დავირახმოდნენ. რამდენი წელია, გუყურებთ, რომ ის ხალხის წისკვილზე წყალს არ ასხამს, პირიქით, რაც შეუძლია, გვახრჩობს, ყველანიარად გვავიწროებს.

ჩვენ, ხალხი, იმ ნახილის ეგზოპლანეტაზე ვართ, თავს ვგანსებთ როგორც ახსნიან, ჯოჯი კი თავგადაკლული მიკროსკოპული გადსასრინად და თავში აზრად არ მოსდის, რომ უკან შემოუბრუნდეს და გადაქალოს. კარგი იქნება, თუ სააკაშვილს ვანო ვიკარაშვილის თაოსნობით თავის ბაკოპლუსიონერებულ განდევნასთან მივაყრდნობთ.

რომელი მათგანი შეეცადა თუნდაც ახლა საზოგადოებისთვის რაიმე კარგი დაემახსოვრებინა თავი? ეს დრო მათ ბინძური საქმეების კეთებას მოანდომეს. მათ დანაშაულებებზე ხალხის, უფრო სწორედ საკნებში მჯდარი მომიტინგეების სიჩუმე მანუხებს. დაიმასხვრეთ ჩემი ნათქვამი, დღევანდელი სიჩუმე ხალხს უკან ცუდად დაუბრუნდება, თუ ესენი მომავალ არჩევნებში გაიმარჯვებენ.

— **ქალბატონო თინა, პროტესტის უფლება ყველას აქვს და მათ შორის ყოფილ ჩინოსნებსაც...**

— არა, თუ ბრძოლაა, ბრძოლა იყოს, ნუ ავუშვებთ მათ

ტრიბუნებზე და ნუ დავიყენებთ გვერდით, რადგან „მელა“ ისეთი არაფერს ააშენებს, გასაძრომი ხვერი არ დაატანოს. თუ მართლაც ნახობენ, ეკლესიას მიმართონ და არა — აქციებს. ნუთუ მართლა ვერ ამჩნევთ დღევანდელობაში წარსულის სახიფათო ანალოგიებს? ჭკუა ხომ უნდა ვისწავლოთ! სიმართლის დასამკვიდრებლად მოვარდნილი „მდინარე“ სათავიდანვე უნდა გაინმინდოს, თორემ თუ ამღვრეული წყალი წამოვიდა, უამრავ ჭუჭყსა და ნაგავს მოიტანს. არ მესმის, რატომ ვუჩუმდებით მათ! ეს გაზულუქებული, ჩვენი სისხლი ნაკვები ჯგუფი ხალხის გამოსვლებს ახლავს უნდა ჩამოსცილებს.

ჩვენმა მამა-პაპამ, ურიცხვი მტრით გარემორტყმული საქართველო დღემდე იმიტომ მოიტანა, რომ ერისა და ქვეყნის მოლაღატებს არ ინდობდა, არც სიყალბესა და სიცრუეს ეგუებოდა, ძალმომრეობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, არც ეროვნება დაუკარგავს და არც რელიგია დაუთმია. ესენი კი „შადიმანებს“ ტაშსაც უკრავენ და, ალბათ, კვერსაც დაუკრავენ.

მე, სააკაშვილის მომხრე და დამცველი არ ვარ, მაგრამ ერთი კაცი საქართველოს ვერ დაღუპავს, როგორც ერთი მერცხლის მოსვლა გაზაფხულს ვერ მოიყვანს. გეკითხებით, ამ წლებში დატრიალებული ცოდნობრილი რატომ აკიდეს გუშინდელმა მისმა დამქაშებმა მხოლოდ მას? სააკაშვილმა ნაართვა ნინო ბურჯანაძეს ხელიდან პლედო?

ჩვენ კარგად ვიხილ, ვინ არიან ხელისუფლებიდან გადამოხტარი ოპოზიციონერები. ნინო ან გზას უკვე გეოგრაფიკულად და თავისი კუგლური მადით ხელისუფლებაში დასაბრუნებელ კაპს ართავს.

ეკ, თვითონ ოპოზიციაშიც ერთმანეთს ძალღებავით კბენენ და ამით ნოყიერ ნიადაგს უმზადებენ იმათ, ვისაც ჩინების დათმობა არ უნდა. სად გაქრნენ მიტინგებიდან ეროვნული ფორუმის წევრები, შალვა ნათელაშვილი? რატომ დაუთმეს ტრიბუნა იმ ძალებს, რომლებსაც ხალხს ნაკლებად ჯერა?

ხომ ვხედავთ, ასეთმა მიდგომამ სადამდე მიგვიყვანა! გამოსავალს კი ცალ-ცალკე ვეძებთ. სანამ ერი, ბერი, ხალხიც და ხელისუფლებაც ერთნაირად არ ვიფიქრებთ, საქმე არ გამოვა, ოცნება კი დროსა და ბრძოლებში გახუნდება.

გიორგი ვაშვავაძე, კინორეჟისორი

— **ბატონო გივი, თქვენც იყავით სააკაშვილის ამომრჩეველი, ახლა რას ფიქრობთ, პრეზიდენტმა რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს?**

— პრეზიდენტმა, რომელმაც ომი წააგო, ათასობით ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე შეინარა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ნაცვლად ახალი ტერიტორიები დაკარგა, ქვეყნის სტრატეგიული ობიექტები გაყიდა, ხალხი დაამშია, ბიზნესი ჩაკლა, განათლება და კულტურა დაასამარა სამართალი საკუთარ ნებას დაუქვემდებარა, მოახერხა ქართული ტელესივრის ხელში ჩაგდება და ყველაფერ ქართულს ბრძოლა გამოუცხადა, თავის თავს ერთხელ მაინც უნდა ჰკითხოვს და გააცნობიეროს, რამდენად სწორი გზით მიჰყავს ქვეყანა; უღირს დარჩენა ამ სკამზე, თუ — არა. იცით, საქმე რაშია? — თუ მან ქვეყანა ამ მცდარ გზაზე შეგნებულად დააყენა, არავითარ შემთხვევაში არ წავა; თუ გამოუცდელია და უნებურად მოუვიდა, წვიმასა და ქარში მდგარ ათასობით ადამიანს ბოდიში უნდა მოუხადოს და წავიდეს.

მე სააკაშვილს იმდენად არ ვადაწაშალებ, რამდენადაც მის წინამორბედს, რომელმაც ხალხს თავი ისე შეაძულა, რომ ათქმევინა:

ოცნებ ნავიდან და ვინც ვინცა, მოვიდასო.

საკაშვილი კი არა, მის მაგივრად თბილისის კოლორიტი, გიჟი კიკა რომ ყოფილიყო, მე პირადად იმასაც ავუწევდი ხელს. ახლა ჩემს არჩევანს ძალიან ვნახობდი, მაგრამ სინანულის სიმძაფრე იმან გამინელა, რომ ოპოზიციაშიც დაკარგა ჩემი ნდობა.

მომაბეზრებელია ტელეკომპანია „კავკასიის“ ერთფეროვანი გადაცემები არაპრაქტიკული მსჯელობებით, რომელსაც შედეგი არასოდეს მოჰყოლია. ეს ორთქლის გამოშვებას უფრო ჰგავს და ყბადაღებული სიტყვის თავისუფლება ნებით თუ უნებლიეთ, დემოკრატიულ ფასადს უქმნის. საზოგადოება ამ ტელევიზიის საშუალებით უსმენს და იგებს, რა გეგმები აქვს

ოპოზიციას. აფხაზეთის ომის დროსაც ასე იყო, გამოვიდოდნენ და იტყოდნენ ხვალ 5 ტანკით მივიღებთო, გაიგებდა მტერი და იქ 15 ტანკით დახვდებოდა. ამას ძლივს მიხვდა ოპოზიცია და განაცხადა, გეგმებს აღარ ვამხელთო. ოპოზიციაშიცაა ჯანმრთელი და სუფთა ძალა, როგორცაა ზვიად ძიძიგური, გუბაზი სანიკიძე; შალვაში კარგისაა, რომ ერთხელ არჩეული გზით მიდის, მაგრამ არცერთი მათგანი პრეზიდენტად არ გამოდგება, რადგან ამ თანამდებობისთვის შეუფერებელი არიან. იმ მისიის ხორცშესახსმელად, რომლის წინაშე დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია გვაყენებს, ძლიერი და მუშტემართული ოპოზიცია გვჭირდება, რომელიც შეძლებს, სახელმწიფოს მეთაურებიც და ხალხიც მართალს სარკეში ჩახედოს და მკვეთრად განსაზღვრული მომავლის გზა შესთავაზოს. ვინც ქვეყანასა და ხალხს ფიქრისა და განსჯის რეჟიმშიდან გამოიყვანს და ნლობით მიღებულ გამოცდილებას კალაპოტს მისცემს. რომელიც თავის რიგებში არ გააჩერებენ საეჭვო რეპუტაციისა და ამბიციურ ზრახვათა მატარებლებს, მედროვეებსა და თანამდებობათა მაძიებლებს, რომელთაც დაგროვილი სიმდიდრის დასაცავად იმპიტიტი სჭირდებათ, რომელთა ოპოზიციონერობა მე პირადად იმ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს მაგონებს, რომელთაც ერთად „იგულავეს“, შემდეგ კი განაწყენებულმა ერთმანეთს წამოაძახეს. ასე რომ, მათ საქციელს „პოლიტიკურ მრუმობას“ ვუნდობ. დღეს ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში რომ გაიმარჯვო, აუცილებელია, მასებს შერყეული რწმენა განუმტკიცო და მიზნის მისაღწევად გაიყოლო. მაშინ ყველაზე სკეპტიკოსებიც კი მღელვარე პროცესის უშუალო მონაწილეები მოსყიდვის გარეშე გახდებიან. დღეს კი რა ხდება?

უპატრონო კალაპოტს ვგავართ, შარაგზაზე რომ ყავან. ხელისუფლების უხეშობა, სხვანაირი საზღაფისი, სხვა კალა და უფრო მეტი მხარდაჭერი სჭირდება.

ესაუბრა: **ლალი შაშიაშვილი**

მილოცვა ტყუპებს 20 წელი შეუსრულდათ

„საქართველო და მსოფლიოს“ ერთგული მკითხველი და აქტიური ავტორი ბატონი ანზორ დანელია რედაქციაში გვესტუმრა და თავისი ოჯახის შესახებ გვიამბო. მისი ორი ვაჟი — ირაკლი და მამუკა 1992-93 წლებში აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდნენ და სამშობლოს დატოვეს შეინარჩუნენ.

21 წლის ირაკლის 3 წლის და 5 თვის ტყუპები — ქეთი და გიორგი დარჩა. ხანმოთეული ბაბუისთვის ტყუპებში ირაკლი ცოცხლობს და ისინი ახლა მამაზე მხოლოდ ერთი წლით უმცროსები არიან.

წლებადნულ გიორგობას — 6 მაისს ქეთი და გიორგი 20 წლის იუბილეს აღნიშნავენ. ბატონმა ანზორმა მოკრძალებით გვთხოვა, იქნებ ჩემი და ჩემი მეუღლის — ლუარა დანელიას სახელით ბავშვებისთვის დაბადების დღის მილოცვის საშუალება მომცეთო.

სიამოვნებით ვასრულებთ ამ თხოვნას და ჩვენც ვუერთდებით ბაბუა-ბებუის მილოცვას, რადგან სამშობლოს შენორული ირაკლი დანელიას ხსოვნას ქეთი და გიორგი უნებებენ სანთელს და ბატონი ანზორისა და ქალბატონი ლუარას ამ თხოვნაში თაობათა დამაკავშირებელი იმ ჯაჭვის განმტკიცების სურვილიც იკითხება, რომელიც უღვთო ომამაც კი ვერ განწყვიტა.

გილოცავთ ქეთი და გიორგი, თქვენ მამის თავგანწირვის მაგალითზე გზრდიდნენ და ქართული ეროვნული ღირებულებების დაცვის სადარჯლოზე მტკიცედ დგომას, ბედნიერი ოჯახების შექმნის და სამშობლოს უანგარო მსახურებას გისურვებთ.

გულიკო აბრამიძე:

ჩემს შვილს 19 ჭრილობა ჰქონდა და 27 სასიკვდილო ღარბუბა ბლავი სხვით მიყენებული

საბჭოეთის რკინის ფარდის გახსნის შემდეგ ქართველები უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა საზღვრებს იქით და იაფი მუშახელით ავსებენ ცივილური ქვეყნების ბაზრებს; ნელ-ნელა ეჩვევიან ახალ ყოფას, უცხო ქვეყნის ადათ-წესებსა და ცხოვრების წილს. ეს კი საშიში და დროულად აღსაკვეთი მოვლენაა, რადგან მცირერიცხოვანი ერის შვილებს გლობალურობაში დანთქმის უფლება არ გვაქვს. ემიგრაციას ყოველთვის აქვს სახიფათო წახნაგები მოსალოდნელი გაუგებრობებით, რაც ხშირად ტრაგიკული მთავრდება. ტრაგიკულად დასრულდა იმ ორი ახალგაზრდის ცხოვრებაც, ვისზეც ახლა მინდა გიამბოთ. ვინ გაიმეტა სასიკვდილო სოსო და გიორგი? ამ იდუმალებით მოცულ ამბავს უკრაინაში უცნაურ ვითარებაში დაღუპული სოსო გეგელაშვილის დედა გულიკო აბრამიძე გიამბობს.



სოსო გეგელაშვილი

— სოსომ სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. სურვილი ჰქონდა, სწავლა მატრიკულურაში გაეგრძელებინა, მაგრამ ოჯახური პირობები ამის საშუალებას არ აძლევდა. მას სტუდენტი მეუღლე და წლინახევრის ბიჭი ჰყავდა, ოროთახიანი ბინაში მსული ცხოვრობდით. მატერიალურმა გაჭირვებამ ყველა დაგვალა. სოსო ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ბიჭი იყო და უმუშევრობას ვერ ეგუებოდა, სპეციალურად ადგილს ვერ შოულობდა. კერძო კაბინეტის გახსნას კი ოცნებამაც ვერ გაბედავდა. ოჯახში ერთადერთი შემომტანი ჩემი მეუღლე გახლდა და ისიც, ინჟინერი კაცი, ელიავას ბაზრობაზე მტვირთავდა მუშაობდა, ისე წვალობდა, რომ იტყვიან, მისი ნაშრომი ლუკმა არ იქმნებოდა. ამის შემდეგ ვერ სოსო მეგობარ ბიჭებთან ერთად თურქეთში მშენებლობაზე სამუშაოდ წავიდა, მაგრამ თურქებმა ბიჭები დააღალატეს — რასაც დაჰპირდნენ, ის თანხა არ მისცეს. 4 თვის შემდეგ სოსო ოჯახში დაბრუნდა მძიმე შრომით გაღატაკებული, თავმოყვარეობაშეღალატული და გულ-გატეხილი და ძალიან კრიტიკულად განწყობილი ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მიმართ. სულ იმას გაიძახოდა: „რა უსარგებლოდ ვხარჯავ წლებს, ელემენტარული პირობებიც არ მაქვს ჩემი პატარა ოჯახისთვის“. ცდილობდა, საშველი გამოენახა, ჯარის ჩამბარებელი პუნქტში კი გახსნა, მაგრამ ბურის ფულს ძლივს შოულობდა. დიდი სამო ჰყავდა, ხშირად მესაუბრებოდა მათზე, განსაკუთრებით სანზონელ გიორგი მახარაშვილზე, რომელსაც ზედმეტ სახელად „ტუკას“ ეძახდნენ. ტუკა უკრაინაში დიდი ხნის წასული იყო; როგორც ამბობდნენ, რემონტიორად მუშაობდა, ბევრი ფული მოიპოვა და ცხოვრება აიწყო. ბიჭები მის მარიფათს შენატროდნენ. ერთხელ მითხრა: „წავალ უკრაინაში ტუკასთან, აუცილებლად დამასაქმებს, ვიმუშავებ, იქნებ ერთოთახიანი ბინა მაინც ვიყიდო; როდემდე ვიჯდვარ გულხელდაკრემდით, თანაც უკრაინა მოძვე ქვეყანაა და ქრისტიანებით დასახლებული“. გულმა რეჩი მიყო და მისი აზრი არ მოვიწონე. შემდეგ მის აზრი სამჯერ მაინც გამიმეორა, მაგრამ

სამჯერვე გადავაფიქრებინე. ვერ მოსვენა, არ ვიცი, იქნებ ბედისწერა ეძახდა... თან შეზრდილი მეზობლის ბიჭი გიორგი ბალაშვილი აიყოლია, რომელსაც მასავით ახლად შექმნილი ჰქონდა ოჯახი და ნასესხები ფულით 2007 წლის 14 ივლისს დღის 7 საათზე ორივე უკრაინაში, ქალაქ დონეცკში გაფრინდა. იქმთა, შეთანხმებისამებრ, უნდა დახვედროდა გიორგი მახარაშვილი, იგივე ტუკა, რომელიც მათ სამსახურის მოქონაში უნდა დახმარებოდა. ჩემი სოსო ხელმარჯვე და დაუზარელი ბიჭი იყო, მაგრამ რემონტზე არასოდეს უმუშავებია, ხოლო გიორგი ბალაშვილი ამ საქმის პროფესიონალი გახლდათ.

— ქალბატონო გულიკო, როგორ შეხვდნენ მთ უკრაინაში, სამსახური მალე იშოვეს?

— რას ბრძანებთ... აეროპორტში მათ მახარაშვილი არ ჰახვდა. მან ბიჭებთან ვილაცოლია ეფრემოვა გამოგზავნა, რომელთანაც არაკანონიერად ცხოვრობდა. დღის 4 საათზე სოსომ დამირეკა: „დედა, ჩაფრინდი და კარგად ვარო“. მისი ტონი მეუღლეს ნაურთ და არ მოვეშვი, კითხვა კითხვაზე დავაყარე. შენუხებულმა მიპასუხა: „აქ ისეთი რაღაცეები ხდება, სიტუაციაში ვერ გავერკვივ, ტო, გავგიჟდი“. ჩავეძიე, — მითხარო რა ხდება-მეთქი, მაგრამ მისი მობილური გაითიშა. აეფორიაქდი, ვრეკავდი ყოველ 5 წუთში, 10 წუთში, ნახევარ საათში... მაგრამ ამოვ. თურმე გიორგი ბალაშვილიც ელაპარაკა დედას. მასაც იგივე უთქვამს. თუ ფული დაგჭირდებოდა, მითხარო, სად გამოგიგზავნოთ და გამოგიგზავნითო, — უთქვამს დედამისს. ამ დროს მათი სატელეფონო კავშირიც განწყვეტილა. ის ღამე თეთრად გავათენე. გამთენიისას ჩემმა ქალიშვილმა ნინომ ისევ დარეკა სოსოს ტელეფონზე და სიხარულით მაუწყა — ტელეფონი ჩაირთო. უცებ ფერი დაკარგა და ტელეფონიანი ხელი აუკანკალდა. დნეპროპეტროვსკის ოლქის სინელინკოვას სარკინიგზო პოლიციის უფროსმა ვინმე ანდრეი ვლადიმეროვიჩმა ჩემს გოგონას უთხრა: „შენი ძმა და მისი მეგობარი დაიღუპნენ, თუ ხვალ დილით 11 საათამდე არ მოაკითხავთ, უპატრონოდ გამოცხადდებიან და აქ დაიკრძალებიან“. ცივმა ოფიციალურობამ და ადამი-

ანურმა გულგრილობამ უფრო დაგვანბნა, ეს მხოლოდ მათ, სხვებს შეეძლო... თუმცა გულგახეთქილს მაშინ ანალიზის თავი არ მქონდა.

უთენია ჩემი მეუღლე და გიორგის სიძე საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგარდნენ. იქ უთხრეს, თქვენს ჩაფრენამდე ფაქსს გავგზავნით და ჩვენი საკონსულო ბიჭების გადმოსვენებაში დაგვხმარებთო, თანაც საკონსულოს ტელეფონის ნომერიც მისცეს. იმდენად ვიყავით მოულოდნელობით თავზარდაცემულნი, რომ ვფიქრობდით, იქნებ ცოცხლები არიან-მეთქი. ვრეკავდი მოცემულ ნომერზე უკრაინის ქართულ საკონსულოში, მაგრამ ნომერი არ მპასუხობდა. ჩემი მეუღლე და გიორგის სიძე უკრაინაში გაფრინდნენ, ჩაივდნენ დნეპროპეტროვსკის ოლქის ვასილკოვსკის რაიონის რკინიგზის პოლიციის განყოფილებაში, გვამები ამოიცივნეს და, რადგან ბიჭებს მხოლოდ ერთდღიანი ბალაშვირება ჰქონდათ გაკეთებული, გადმოსვენების სამზადისს შეუდგნენ.

ჩემმა მეუღლემ დახმარების საკონსულოში დარჩა, ორი დღის განმავლობაში უკრაინის არაპირი ილაზა, ხოლო მასამე დღეს უკრაინის საკონსულოში გიორგი ბალაშვილი დაიღუპა.

რკინიგზის მილიციის უფროსმა განაცხადა, რომ გვამები ცხრის ნახევარზე ნახა, მაშინ როცა გიორგიმ თავის მეუღლეს ღამის 2 საათსა და მწუთზე დაურეკა და აფორიაქებული ხმით ჰკითხა: „სად ხართ, გოგო, ხომ სახლში ხართო?“ ჩემი მეუღლე ამბობს, რომ პოლიციის უფროსი ანდრეი ვლადიმეროვიჩი ნამდებურად შეკითხებოდა, — თუ იჩივლებოთ. ამ ტრაგედია კვალად დაიკარგა და აქ დიდი ხნის წინ დაიკრძალა. ცივმა ოფიციალურობამ და ადამი-

შემთხვევა“, ხოლო ჩასულებს აუხსნეს, რომ ბიჭები ნასვამები იყვნენ და ორივენი მატარებლიდან გადახტნენო.

ახლა რასაც გეტყვით, ეს დედის ინტუიციაა — ჩემი შვილი ამას არ ჩაიდენდა, ვიცნობ და ვიცი! ანდრეი ვლადიმეროვიჩმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გვამები პატრონიანად დნეპროპეტროვსკისთვის მოეცილებინა. ჩემმა მეუღლემ და გიორგის ჭირისუფალმაც გოგოთა გაიარეს. მანქანა, რომელშიც ბიჭები ესვენდნენ, გზაზე გაუფუჭდა, თქემი წვიმა მოდიოდა და მიცვალებულები საკუთარი ზურგით ზიდეს ავტობუსამდე. უკრაინის არც ერთი პროპეტურა გვამებს შესახებ არ იტყვებოდა. ბოლოს ერთმა ქრისტიანმა უთხრა — „რა გჭირთ ქართველებს, ეს ხომ პირველი შემთხვევა არაა, ქართველ ბიჭებს ასე რომ უსწორდებიანო“. სანამ ჩამოსვენებდნენ, მახარაშვილს დავურეკე, ჩემდა გასაცხად, სამი დღის განმავლობაში ამ სიმძიმის ნივთების გატყორცნის დროს 30 მეტრზე ნაკლები არ შეიძლება იყოს? ვინ არის ეს 7 მონმე? იქნებ მათ სცემდა და ანამეს ჩვენი შვილები და შემდეგ უბედური შემთხვევის სცენა გაითამაშეს? აქ, საქართველოში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით ჩემს შვილს 19 ჭრილობა ჰქონდა და 27 სასიკვდილო დარტყმა ბლავი სხვით მიყენებული. რატომ იყო სოსოს შარვალი მუხლთან ამომწვარი, ხოლო ჩანთის ღვედი შეტრუსული? მას ფეხის თითები მომტვრეული და თითებზე სკალპირებული ჭრილობა ჰქონდა, რომელსაც წამების დროს მიმართავდნენ. თხემის არეში მიყენებული ჭრილობის გადმოსვენებისას იჭაურის ხმა არ გავიცი. ჩემმა მეუღლემ პირველი კომენტარი გასვენების დღეს გააკეთა და მტკიცედ განაცხადა — ბიჭები მოკლეს!

— ქალბატონო გულიკო, ამ საქმის შესახებ გამოძიებამ რა დაადასტურა, თქვენ რა არგუმენტები გაქვთ, რომ ეს უბედური შემთხვევა არ იყო?

— პირველი არგუმენტი ისაა, რომ ჩვენთვის გაუგებარი მიზეზებით ამ უცნაურ შემთხვევაზე სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. საქმეს შეუსწავლელად, გამოძიების გარეშე მივეც კვალიფიკაციამ, ასეთი ნაჩქარევი

„მონათვლა“ კი ყოველთვის ეჭვს იწვევს. ჩემს მოთხოვნას, უკრაინიდან მოენოდებინათ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, შედეგი არ მოჰყოლია. კონსულის ჩარევის მიუხედავად მომანოდეს მხოლოდ საექიმო მონობა გარდაცვალების შესახებ. ბევრი კითხვა დამიგროვდა: როგორ აღმოჩნდა 100 კმ/სთ-ში სიჩქარით მიმავალი მატარებლიდან გადმომხტარი ორივე ადამიანის გვამი ერთსა და იქნა გამოძიებული გადმოხტომის მიზეზი? რატომ იყო მხოლოდ 7 მონმის ჩვენება და არა მთელი მატარებლის მგზავრებისა? თუ ნასვამები იყვნენ, სად იყო მატარებლის გამძვინვარებელი ან პოლიცია, რატომ არ გააჩერეს მატარებელი სამუხრუჭე ონკანით და არ გადაიყვანეს ბიჭები რომელიმე სადგურის პოლიციის განყოფილებაში? როგორ გააღეს ბიჭებმა ჩქაროსნული მატარებლის ელექტრონული კარები ხელით?... მონმეები ამბობენ, რომ ერთი ხტებოდა, მეორე იჭერდა, ასეთ შემთხვევაში ერთის ჩანთა ხომ მატარებელში უნდა დარჩენილი იყო? გადახტომისას რატომ არ დაზიანდა მათი მობილური ტელეფონები, ან რატომ არ გასკდა გატენილი სამგზავრო ჩანთები და ნივთები არ მიმოიფანტა? რატომ ეყარა ეს ჩანთები ლიანდაგთან 15 მეტრის მოშორებით, როდესაც ამ სიმძიმის ნივთების გატყორცნის დროს 30 მეტრზე ნაკლები არ შეიძლება იყოს? ვინ არის ეს 7 მონმე? იქნებ მათ სცემდა და ანამეს ჩვენი შვილები და შემდეგ უბედური შემთხვევის სცენა გაითამაშეს? აქ, საქართველოში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით ჩემს შვილს 19 ჭრილობა ჰქონდა და 27 სასიკვდილო დარტყმა ბლავი სხვით მიყენებული. რატომ იყო სოსოს შარვალი მუხლთან ამომწვარი, ხოლო ჩანთის ღვედი შეტრუსული? მას ფეხის თითები მომტვრეული და თითებზე სკალპირებული ჭრილობა ჰქონდა, რომელსაც წამების დროს მიმართავდნენ. თხემის არეში მიყენებული ჭრილობის გადმოსვენებისას იჭაურის ხმა არ გავიცი. ჩემმა მეუღლემ პირველი კომენტარი გასვენების დღეს გააკეთა და მტკიცედ განაცხადა — ბიჭები მოკლეს!

ვის. აი, ჩვენი საკონსულოს ბოლო პასუხი: „ინციდენტი კვალიფიცირდება, როგორც უბედური შემთხვევა და შესაბამისად სისხლის სამართლის აღძვრის საკითხი არ განიხილება“. რატომ მიმალავენ დნეპროპეტროვსკში ექიმ დეიუმაზიკის მიერ ჩატარებულ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შედეგებს? ვაი, რომ მატერიალურად უძლურს იქ ჩასვლა არ შემოიღია.

შეიძლება ეს იყო ანგარიშსწორება ქართველებზე, როგორც მოკრის თანამშრომელმა განაცხადა. იქნებ ბიჭები ისეთი რამის უნებლიე მოწვენი გახდნენ, რომ ვილასან მათი სისოხსლა ხელს არ აქლავდა?

მახარაშვილი (ტუკა) სანამ გაუჩინარდებოდა, ამბობდა: „ოღამ ბიჭები სახლში მოიყვანა, ფრანგული შამპანურით გაუფასპინდლდა. ცოტა ხნით საქმეზე გასვლა მომიხდა და, რომ მოვბრუნდი, ისინი უკვე წასულიები დამხვდნენ“. აღარ ვიცი, რა ვიფიქრო...

— და მაინც, ქალბატონო გულიკო, არ გიფიქრიათ რომ თავი და თავი ისევ ჩვენი ყოფა და სოციალური სიღატაკი?

— მიფიქრია, მძულს ხელი-სუფლება, რომელმაც ისიც კი ვერ მოახერხა, რომ თავის მოქალაქეებზე სისხლის სამართლის საქმე აღძრდა. უღიმამო ცხოვრებით განამებული ჩემი შვილი იტანჯებოდა, მამაკაცური თავმოყვარეობა ელახებოდა, ავბედითი ყოფის გამო წავიდა და ცხოვრებამ მწარე განაჩენი გამოუტანა.

დღესაც უამრავი ადამიანი იტანჯება, რალას არ აკეთებს თავის გადასარჩენად. რამდენჯერმე ვიფიქრე, მივალ მიტინგზე, ჩემს ტკივილზე ვიტყვი-თქო, მაგრამ მათ რიგითი ადამიანის დარდი არ აქვთ.

პოლიტიკოსები გველივით პარანოსის ივლიან, ყველა მთავრობაში რომ მოხვდნენ და სულ არ ანაღვლებთ, რომ ჩვენი ქვეყანა ტრაგიკული გარდასახვით სავსეა.

ესაუბრა ლალი შაშიაშვილი

ამერიკული არმია — XX საუკუნის ყველაზე დიდი შიტი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო და მსოფლიო“, № 10)

სამოქალაქო ომის დროს ამერიკის ჯარები რუსეთის შორეულ აღმოსავლეთშიც იმყოფებოდნენ. იქ რევოლუციური წითელი არმია არ იყო, სამაგიეროდ, იყვნენ წითელი პარტიზანები, რომლებიც თავიანთ მთავარ მოწინააღმდეგედ იაპონელებსა და თეთრჯარდიელებს მიიჩნევდნენ. ამერიკელებს კი დაუფარავი ზიზლით ეპყრობოდნენ და ჯარისკაცებადაც არ თვლიდნენ, იარაღსა და ფულს სძალავდნენ თავდაუსხმელობის სანაცვლოდ. აი, ასეთ თავისებურ რუსულ რეკეტს ჰქონდა ადგილი, რომელიც დაწვრილებით აღწერა ფაქტემა შორეული აღმოსავლეთის პარტიზანებისადმი მიძღვნილ რომანში „უკანასკნელი უდედელი“.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში ამერიკულ არმიას საკუთარი არაფერი გააჩნდა. შეიარაღება — ფრანგული, ხოლო აღჭურვილობა ინგლისური ჰქონდა. ინგლისური ჩაფხუტები ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს 1942 წლამდე ეხურათ, შემდეგ კი საკუთარი ელრისათ. თუ ამ არმია XX საუკუნის 20-30-იან წლებში დამყარებული იყო და სამამულო წარმოების ტანკებიც არ გააჩნდა, ამერიკული ფლოტი წარმატებულად ვითარდებოდა, განსაკუთრებით იმ დროისთვის როდესაც ახალი სახომალდო ძალების სახეობა — ავიამზიდები და მათზე დაფუძნებული საგემბანო ავიაცია. თუმცა, ამანაც ვერ უშველა.

ამერიკა-ესპანეთის ომის შემდეგ (1898 წ.) 1941 წლამდე ამერიკულ ფლოტს საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია. ამიტომ ამერიკელთა წაკვანკავი (რომელიც შემდეგ მსოფლიო ისტორიოგრაფიაში შევიდა), რომ პერლ ჰარბორზე მხოლოდ იაპონელთა უცაბედმა თავდასხმამ გამოიწვია მათი მარცხი წყნარ ოკეანეში 1941 წლის დეკემბერსა და 1942 წლის ივნისში, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. თავდასხმისას განადგურდა ამერიკული წყნარი ოკეანის ფლოტის მხოლოდ 9 ლინკორი და გადარჩა ყველა ავიკონი, კრესიერი და ესმინეცი. განადგურებული ლინკორების კომპენსირება ატლანტიკის ოკეანიდან ანალოგიური კლასის ხომალდების გადასხრობით იყო შესაძლებელი, რაც გაკეთდა კიდევ. თუმცა ყველაზე მთავარი ისაა, რომ პერლ ჰარბორის იერიშისას ერთი ამერიკული ავიამზიდიც კი არ დაზიანებულა. არადა, მეორე მსოფლიო ომში საზღვაო ბრძოლებისას ინგლისური ჯარების ძალას სწორედ ისინი წარმოადგენდნენ.

ასე რომ, 1941-42 წლებში წყნარ ოკეანეში ამერიკის დამარცხების მიზეზი არა პერლ ჰარბორის მოულოდნელი იერიში, არამედ ამერიკული

ფლოტის სარდლობის უნიჭობა იყო. ამას მოწმობს 1942 წლის 27-28 თებერვალს იავანის ზღვაზე გამართული ბრძოლების შედეგიც, როცა 5 ამერიკული კრესიერისა და 10 ესმინეცისგან შემდგარმა რაზმმა იაპონური ფლოტის 4 კრესიერისა და 14 ესმინეცს შეუტია. იაპონური გემები უკან მდგომ ტრანსპორტს იცავდა, რომელთაც გემბანებზე დესანტი ჰყავდათ, თუმცა, სასტიკ ბრძოლაში იაპონელებს არცერთი ხომალდი დატრანსპორტი არ დაუკარგავთ. უფრო მეტიც, მათ 2 ამერიკული კრესიერი და 3 ესმინეცი ჩაძირეს, დანარჩენები კი გააქციეს. საგულისხმოა, რომ 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის დროიდან მოყოლებული იაპონურ ფლოტს არ უომია.

შესაბამისად, იაპონელებს პერლ ჰარბორში 9 ამერიკული ლინკორი რომ არ გაენადგურებინათ, ამას 1941-42 წლების შეტაკებებისას მოიმოქმედებდნენ. 1941-42 წლებში წყნარ ოკეანეში რვათვიანი ბრძოლებისას იაპონელებმა დაიპყრეს უზარმაზარი აკვატორია უამრავი არქიპელაგითურთ, რომელთა უკან დასაბრუნებლად ამერიკელებს ორწლიანი ომი დასჭირდათ (1943-44 წლებში).

ამერიკული არმიის მოქმედებები სხვა ფრონტებზე უფრო მოკრძალებული იყო. ქვეყნის მმართველის წინააღმდეგობით, ამერიკული ქვეითი ჯარის უმთავრესი ოპერაცია — 1944 წლის ივნისში საფრანგეთში გადასხრობით იყო შესაძლებელი, რაც გაკეთდა კიდევ. თუმცა ყველაზე მთავარი ისაა, რომ პერლ ჰარბორის იერიშისას ერთი ამერიკული ავიამზიდიც კი არ დაზიანებულა. არადა, მეორე მსოფლიო ომში საზღვაო ბრძოლებისას ინგლისური ჯარების ძალას სწორედ ისინი წარმოადგენდნენ.

რომელმა თავისი ამოცანა შეასრულა. მოკავშირეებმა ჯარები 1944 წლის 6 ივნისს გადასხეს. წინა დღეს კი რომელი გერმანიაში გამგზავნა ვითომდა მეუღლის დაბა-

დების დღის აღსანიშნავად. გამგზავრებამდე (სრულეობით რომ გაენადგურებინა გერმანული ჯარების სარდლობა საფრანგეთში) მოკავშირეთა ჯარების გადმოსხმის დღისთვის რომელმა თათბირი დანიშნა საფრანგეთის ატლანტიკური სანაპიროს დამცველი მე-7 არმიის სარდლობისთვის. ამ თათბირზე ჩამოვიდნენ ყველა კორპუსის, დივიზიისა და პოლკის მეთაურები. იმის გათვალისწინებით, რომ მოკავშირეთა დესანტი საბრძოლო ხომალდებში აბსოლუტურ უპირატესობას ფლობდა (15-ჯერ ძლიერი ავიაცია, 5-ჯერ მეტი ტანკი და 3-ჯერ მეტი ცოცხალი ძალა ჰყავდა), პარიზამდე 200 კმ მაქსიმუმ 3 დღეში უნდა გაეგვრო, ხოლო 6-7 დღის შემდეგ გერმანიის საზღვართან გასულიყო. თუმცა, გერმანული ჯარების უმართავი, მაგრამ სასტიკი წინააღმდეგობისა და ამერიკულ და ინგლისულ გენერალთა უმეცრების წყალობით, მოკავშირეთა ჯარები ერთ ადგილს ტყუნიდნენ 19 დღის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე კი გერმანიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ ალადგინა ჯარების მართვა. სიტუაციის შეფასების შემდეგ ჰიტლერმა გადააყენა რომელი და მის ნაცვლად ძალღვივით ერთგული ფელდმარშალი კლიუგე, ხოლო მე-7 არმიის მეთაურმა ობერგრუპენფიურერი ჰაუსერი (SS-ის ჯარების ერთ-ერთი შემქმნელი) დანიშნა.

რაკილა რომელის მიერ გახსნილი დასავლეთის ფრონტის ვერ გამოიყენეს, ამერიკის მმართველმა ძალებმა შეთქმულთაგან გადატრიალების მოწყობა და ჰიტლერის დამხობა მოითხოვეს. ორი კვირის შემდეგ ჰიტლერს თავს დაესხნენ. იმავე დღეს შეთქმულმა გენერლებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება პარიზსა და ვენაში, დააპატიმრეს იქ მყოფი უსაფრთხოების სამსახური, SS-ისა და ნაცისტური პარტიის ხელმძღვანელები, მაგრამ ბერლინში შეთქმულების ხელმძღვანელთა უმოქმედობამ ჰებელს შეთქმულთა განად-



გურების საშუალება მისცა. შედეგად, საფრანგეთში მყოფ ამერიკულ და ინგლისურ ჯარებს სააღლუმო მარშისა და გერმანული არმიის კაპიტულაციის მიღების ნაცვლად ადგილ-ადგილ ბრძოლაც მოუხდათ. პარიზამდე 200 კმ გავლას კი ორდღენახევრის ნაცვლად ორთვენახევარი მოანდომეს. ცოცხალი ძალისა და ტექნიკის აშკარა უპირატესობისა და 15-ჯერ ძლიერი ავიაციის პირობებში დღეში ორნახევარ კილომეტრამდე გადიოდნენ. მოკავშირეთა გადმოსხმის ადგილიდან გერმანიის საზღვრამდე 600 კმ იყო. ეს მანძილი მოკავშირეებმა 6 თვეში (1944 წლის დეკემბრის ბოლოსთვის) დაფარეს.

შედარებისთვის: წითელმა არმიამ, რომელმაც ბელორუსიაში შეტევა იმავე დროს, 1944 წლის 23 ივნისს დაიწყო, ცოცხალი ძალისა და ტექნიკის გაცილებით ნაკლები უპირატესობის პირობებში 600 კმ ერთ თვეში (ანუ დღეში 20 კმ) გაიარა.

თუმცა, უფრო მრავლისმეტყველია მოკავშირეთა და გერმანულ ჯართა დანაკარგის შედარება საფრანგეთში წარმოებულ ბრძოლებისას: გერმანელთა მილიონიანი ჯარის დანაკარგი შეადგენდა 150 ათას მოკლულსა და დაჭრილს, მოკავშირეთა — 135 ათასს. საბჭოთა ჯარების მიერ ყირიმის გათავისუფლებისას (1944 წლის 8 აპრილიდან 12 მაისამდე) გერმანულმა ორასიათასიანი ჯარმა მნიშვნელოვანი ძალები დაკარგა. ყირიმის ფართობი — 26 ათასი კვმ, ხოლო საფრანგეთისა 600 ათასი კვმ იყო. საბჭოთა ჯარებმა ყირიმის ბრძოლებისას 60 ათასი კაცი დაკარგეს (ანუ გერმანელებ-

ზე ორნახევარჯერ ნაკლები), ხოლო საფრანგეთში ეს მაჩვენებელი თითქმის ერთნაირი იყო: 135 და 150 ათასი. ეს მაშინ, როცა მოკავშირეები გიგანტურ უპირატესობას ფლობდნენ ავიაციაში და მნიშვნელოვანს — სხვა სახის სამხედრო ტექნიკაში.

მხოლოდ ატომური ბომბის გამოგონებამ მისცა საშუალება ამერიკას, მსოფლიო არენაზე თავი აერიდებინა სერიოზული უსიამოვნებებისათვის მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ.

თუმცა, ყველაფერი კარგად იყო თუ გვიან მთავრდებოდა. მსოფლიო ომის დასრულებიდან 5 წლის შემდეგ აშშ მმართველმა წრეებმა თავიანთი არმიის წყალობით კვლავ უსუსურად იგრძნეს თავი. ამერიკელთა მსოფლიო ბატონობის ილუზიას ბოლო მოუღო 1951-53 წლების ომმა კორეაში.

როგორც ცნობილია, ეს ომი 1950 წლის ივნისში დაიწყო, მაშინ, როცა პროსაბჭოური კორეის სახალხო დემოკრატიული რეპუბლიკა (ჩრდილოეთ კორეა) თავს დაესხა კორეის რესპუბლიკას (ანუ სამხრეთ კორეას). ჩრდილოკორეული არმია თავიდან 100000 კაცს ითვლიდა. მისი მოწინააღმდეგეები იყვნენ: კვიეთი ჯარის 40-ათასკაციანი კორპუსი, ანუ თვალსაჩინო იყო საბრძოლო მოქმედებების წარმოების მთავარი ფორმალური პრინციპის დაფუძნება, რომლის თანახმადაც, თავდამსხმელს რიცხოვრით უპირატესობა უნდა ჰქონდეს. თუმცა, იმის ელემენტარული განხილვისას, თუ რას წარმოადგენდნენ მოწინააღმდეგეთა ძალები, სიტუაცია კიდევ უფრო სკანდალური ჩანს.

საქმე ისაა, რომ სამხრეთში იერიშის დასაწყისისთვის ჩრდილოკორეული არმია არსებობის სულ რაღაც ორ წელს ითვლიდა (ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა 1948 წლის სექტემბერში შეიქმნა), ხოლო ორი წლის განმავლობაში შესაძლებელია მხოლოდ სამხედრო შენაერთების მეთაურთა ნორმალური მომზადების უზრუნველყოფა. ანუ, ჩრდილოკორეულ არმიაში პრაქტიკულად არ იყვნენ ნო-

რმალურად მომზადებული ბატალიონების, პოლკების, ქვედანაყოფების მეთაურები, რომ ალარაფერი ვთქვათ დივიზიებისა და კორპუსების მეთაურებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, 1950 წლის ზაფხულისათვის ჩრდილოეთ კორეას არმია არ ჰყავდა. იყო რამდენიმეათასიანი ქვეითი საბრძოლო და რამდენიმე ასეული სატანკო შენაერთები და რამდენიმე ათეული საარტილერიო დანაყოფი. ასეთ „არმიას“ ვაივავალახით შეეძლო ქვეყნის შიგნით პოლიციური ფუნქციების შესრულება, მაგრამ ომის წარმოების უნარი არ შესწევდა.

ამრიგად, სამხრეთ კორეას კიდევაც რომ არ ჰყოლოდა თავისი არმია, 40 ათასი ამერიკელი საზღვაო ქვეითი სახეობის საკმარისი იქნებოდა არა მხოლოდ თავდაცვის, არამედ იერიშისთვისაც.

თუმცა, სამხრეთ კორეის რევოლუციური 100-ათასკაციანი არმია არსებობდა და უფრო ძლიერიც უნდა ყოფილიყო, ვიდრე ჩრდილოკორეული არმია, რადგან სამხრეთ კორეელებს იაპონური კოლონიური რეჟიმისგან ერთი ათობით ათასი კორეული წარმოშობის ოფიკერი და სერჟანტი, რომლებსაც გარკვეული საბრძოლო გამოცდილება ჰქონდათ. ისინი ან ქვეყნის სამხრეთში ცხოვრობდნენ, ან პოლიტიკური რეპრესიების შიშით ჩრდილოეთიდან გამოიქცნენ. ამგვარად, ყველა ფორმალური ნიშნით, ჩრდილოკორეულ არმიას არა მხოლოდ იერიშის წარმოება, არამედ თავდაცვაც არ უნდა შეეძლებოდა.

არადა, ყველაფერი პირიქით მოხდა. ომის პირველსავე თვეს ჩრდილოეთ კორეის არმიამ სამხრეთისკენ 600 კმ-ით წაიწია და სამხრეთ კორეის რესპუბლიკის ტერიტორიის 99 პროცენტი დაიპყრო, ქალაქ-წავსადგურ პუსანისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის გარდა. აქ ამერიკის ჯარები პოზიციებს (სამხრეთ კორეის არმიამ არსებობა შეწყვიტა) მხოლოდ ამერიკული ლინკორებისა და კრესიერების უწყვეტი ცეცხლისა და საგემბანო ავიაციის იერიშის წყალობით ინარჩუნებდნენ...

(გაგრძელება იქნება)



ირაკლი წერეთელი:

ალასანიას ალიანსის მხარდაჭერა ეროვნულზე მაღლა არაეროვნულს დაყენებს ნიუნაუს...

თბილისის მასშტაბით მიმდინარე საპროტესტო აქციებისა და ზოგადად ბოლო დროს განვითარებული მოვლენების თაობაზე საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი ირაკლი წერეთელი გვესაუბრება:

— ბატონო ირაკლი, რატომ არ მონაწილეობთ საპროტესტო აქციებში?

— მე შეგნებულად არ ვმონაწილეობ საპროტესტო აქციებში ჩემთვის არა ერთი მნიშვნელოვანი მიზეზის გამო, მაგრამ ჩემს დამოკიდებულებას მიმდინარე მოვლენებზე ვიტყვი მერე (ისიც, იმ შემთხვევაში, თუ კითხვებს დამისვამენ), როცა ეს აქციები წარმატებით ან წარუმატებლად დამთავრდება.

— ისე, შემოგთავაზეს თუ არა ოპოზიციონერმა ლიდერებმა აქციებში მონაწილეობის მიღება?

— არანაირი შემოთავაზება არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ დამირეკა ორმა პიროვნებამ — ვახტანგ ბეგიაშვილმა და ჯაბა ჯიშკარიანმა. ისინი მიმდინარე აქციების არც ლიდერები, არც ინიციატორები და არც ორგანიზატორები არიან. ამდენად, ჩემი სიამაყიდან და თავმოყვარეობიდან გამომდინარე, მოპატიჟება ან მოწვევა რომ მივიღო, უნდა მომმართოს უშუალოდ ლიდერმა და არა ამა თუ იმ პროცესის, ამა თუ იმ მოვლენის არამთავარმა სუბიექტმა.

საპროტესტო აქციების ლიდერებმა და უშუალო მასშტაბში არც ერთი აქცია ჩემთან თანამშრომლობის სურვილი შესაბამისად, მეც, როგორც თავმოყვარე კაცი, კისერზე არავის ვეკიდები. ასე რომ, ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს...

— მანიფესტაციების პირველ დღეს ნინო ბურჯანაძის გამოსვლას ხალხში უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. როგორ ფიქრობთ, რამდენად იმსახურებდა ამას ბურჯანაძე?

— ხალხის რეაქცია ბურჯანაძის მიმართ აბსოლუტურად ადეკვატური იყო, მაგრამ იმავე ხალხმა სამარცხვინოდ მერე ტაში დაუკრა მას... ეს მონობს, რომ საზოგადოების ამ ნაწილს პრინციპულად და საკუთარი თავის პატივისცემა არ გააჩნია — თუ დაუსტვინე, ბოლომდე დაუსტვინე... როცა ერთ დღეს უსტვენ და მეორე დღეს ტაშს უკრავ, ეს არის „ჭრელი პეპელას“ პოზიცია.

— ხალხს რა უნდა ექნა?

— არაფერი... თუ ამ აქციებს, როგორც ეს ორატორები ლაყბობენ, ხალხი მართავს, მაშინ სწორედ ხალხმა უნდა გადანიშნოს, ვინ უნდა იდგეს იქ და ვინ — არა. როცა დემონსტრანტებს არ აქვთ ამის რეალური უფლებამოსილება, გამოდის, რომ პროცესებს არა ხალხი, არამედ ოპოზიციური პარტიები და მათი ლიდერები მართა-

ვენ. ისინი ამკარად იტყუებიან, როცა ამბობენ, რომ ყველაფერი საზოგადოებაზეა დამოკიდებული.

ხშირად მეკითხებიან, რატომ არ ვარ ქუჩაში. იმიტომ, რომ დღეს ქუჩაში რაიმე აქტიურ, სოლიდურ წარმოდგენას თანხები სჭირდება. მე კი, სამწუხაროდ, დიდი შეცდომა დაეუშვი, როცა ვენდე ქართველი ერის კეთილგანწყობას და ჩემი პოპულარობა არ გამოვიყენე ფულის საშოვნელად.

...ის ფაქტი, რომ, საზოგადოების პროტესტის მიუხედავად, ნინო ბურჯანაძე დღემდე ოპოზიციშია, მონობს, რომ მან ფულით იყიდა სხვა ოპოზიციონერი ლიდერები...

— ხელისუფლების გადადგომის შემთხვევაში, რომელ პარტიას მოიაზრებთ ქვეყნის სათავეში?

— თუ გვინდა, რომ საქართველო ჩამოყალიბდეს ეროვნულ სახელმწიფოდ, მაშინ იმ შემთხვევაში, თუ ირაკლი წერეთელი არ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, დღევანდელ სიტუაციაში ყველაზე მეტი სიმპათია ეკუთვნის გუბაზ სანიკიძეს და „ეროვნულ ფორუმს“, ეროვნული მოტივაციიდან გამომდინარე. ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გენეზისისა სააკაშვილისა და შევარდნაძის ხელისუფლება, ამიტომ, როცა სააკაშვილი არ იქნება ხელისუფლებაში, ალასანიასა და მისი ალიანსისთვის მხარდაჭერა ნიშნავს ეროვნულზე მაღლა არაეროვნულს დაყენებას. რამდენიც უნდა ვხეხოთ ქვიშითა და წყლით ირაკლი ალასანიას, მისი ბიოგრაფიიდან ვერ ნავშლით იმას, რომ ეს კაცი იყო შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის უშიშროების წარმომადგენელი. არა მგონია, ეს საამაყო იყოს ადამიანის ბიოგრაფიაში.

...საერთოდ, როგორც გითხარით, მიმაჩნია, რომ ალასანიას არის იმ ძალის მიერ შეფუთული ლიდერი, რომელიც სააკაშვილის ამკარა მომხრეა და რომელსაც იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი მაინც წავიდა, სულ უსააკაშვილობას ურჩევნია ისევე ალასანიას და მისი ალიანსი.

— გასაგებია, მაგრამ თქვენ მიერ ჩამოთვლილი ეროვნული ძალები ვერ ხვდებიან, რომ ალასანიას ხელისუფლების მიერაა შემოგდებული?

— მე სიტყვა „შემოგდებული“ ალასანიას მისამართით არ გამოვიყენებ. მე ვთქვი — შეფუთული. მე, უბრალოდ, ვლაპარაკობ, კი არ ვამტკიცებ. ისე, დამტკიცება და



მე კალიან დიდი ყურადღებით ვუყურებ, რა მოხდება ექვსი მაისის უამდე. ჩვენ ვიცით, რომ ამ დროს საქართველოში ტარდება ნატოს საშტაბო ფორტინები.

მიხვედრა რად უნდა იმას, — ალასანიას იყო თუ არა შევარდნაძისა და სააკაშვილის უშიშროებაში? იყო... ამას თვითონაც არ მალავს.

სამაგიეროდ, შევარდნაძესთან არ ყოფილა ზვიად ძიძიგური, ვინაა მისი პოლიტიკური გუბაზ სანიკიძე, კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი ასათიანი და სხვები, თუმცა ამათაც კარგად „მიქარეს“ თავის დროზე... — ხომ არ მიგაჩნიათ, რომ საპროტესტო აქციები, ცოტა არ იყოს, დროში გაიწვია. გახსოვთ, 7 ნოემბერის მოვლენების შემდეგ სააკაშვილმა აღნიშნა კიდევ: მე რომ ოპოზიციის ვყოფილიყავი, ხელისუფლებას ოცდაოთხ საათში დაეამხობდი...

— ეს არის სააკაშვილის, როგორც ცნობილი პროვოკატორის, პროვოკაციული

განცხადება. ვერაფერსაც ვერ დაამხოდა. და, საერთოდ, სააკაშვილს არ დაუმხვია წინა ხელისუფლება. შევარდნაძე რომ ყოფილიყო ფხიანი პოლიტიკოსი, ისე დაშლიდა 2003 წლის აქციებს, როგორც სააკაშვილმა — 2007 წლის ნოემბერში. ვინაიდან, როცა ხელისუფლება მართლა დიქტატორობს და იარაღს იყენებს, მისი ჩამოგდება ძალიან ძნელია. სააკაშვილმა შევარდნაძის და მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა არ გამოაჩინა ბრწყინებულობა, საერთოდ არ ჩანდნენ. ასე რომ, ხელისუფლება ჯერჯერობით მშვიდადაა და, შესაბამისად, ადვილია მისი წინააღმდეგ ბრძოლა. ამიტომაც არ ვერთვები ამ აქციებში. მე ვმონაწილეობ ისეთ პროცესებში, სადაც

განცხადება. ვერაფერსაც ვერ დაამხოდა. და, საერთოდ, სააკაშვილს არ დაუმხვია წინა ხელისუფლება. შევარდნაძე რომ ყოფილიყო ფხიანი პოლიტიკოსი, ისე დაშლიდა 2003 წლის აქციებს, როგორც სააკაშვილმა — 2007 წლის ნოემბერში. ვინაიდან, როცა ხელისუფლება მართლა დიქტატორობს და იარაღს იყენებს, მისი ჩამოგდება ძალიან ძნელია. სააკაშვილმა შევარდნაძის და მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა არ გამოაჩინა ბრწყინებულობა, საერთოდ არ ჩანდნენ. ასე რომ, ხელისუფლება ჯერჯერობით მშვიდადაა და, შესაბამისად, ადვილია მისი წინააღმდეგ ბრძოლა. ამიტომაც არ ვერთვები ამ აქციებში. მე ვმონაწილეობ ისეთ პროცესებში, სადაც

განცხადება. ვერაფერსაც ვერ დაამხოდა. და, საერთოდ, სააკაშვილს არ დაუმხვია წინა ხელისუფლება. შევარდნაძე რომ ყოფილიყო ფხიანი პოლიტიკოსი, ისე დაშლიდა 2003 წლის აქციებს, როგორც სააკაშვილმა — 2007 წლის ნოემბერში. ვინაიდან, როცა ხელისუფლება მართლა დიქტატორობს და იარაღს იყენებს, მისი ჩამოგდება ძალიან ძნელია. სააკაშვილმა შევარდნაძის და მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა არ გამოაჩინა ბრწყინებულობა, საერთოდ არ ჩანდნენ. ასე რომ, ხელისუფლება ჯერჯერობით მშვიდადაა და, შესაბამისად, ადვილია მისი წინააღმდეგ ბრძოლა. ამიტომაც არ ვერთვები ამ აქციებში. მე ვმონაწილეობ ისეთ პროცესებში, სადაც

ბრძოლა ძნელია, სადაც ხელისუფლებიდან მოდის წინააღმდეგობა და არა იქ, სადაც ხელისუფლება გახდელი წევს და გეუბნება: მოდით და რაც გინდათ, მიქენითო (თუმცა ოპოზიცია ვერაფერს ვერ უშვება).

— კითხვაზე — რა მოხდება, თუ ხელისუფლება ძალას გამოიყენებს, — ოპოზიციონერების პასუხი ასეთია: ეს იქნება სააკაშვილის მხრიდან პოლიტიკური თვითმკვლელობა. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— მე არავითარ შემთხვევაში არ მოვუწოდებ ხელისუფლებას ძალის გამოყენებისკენ, მაგრამ, თუ ასე მოხდება და დასრულდება მსხვერპლით, მაშინ, რა თქმა უნდა, ეს იქნება ხელისუფლების დასასრული; ხოლო თუ დარბევა მოხდება უმსხვერპლოდ, ვფიქრობ, ამით სააკაშვილი გარკვეული პერიოდით გაიხანგრძლივებს ხელისუფლებაში ყოფნის ვადას, ოღონდ მერე ისევ დაიწყება საპროტესტო გამოსვლები.

აქ არის ერთი მთავარი მომენტები — მე ძალიან დიდი ყურადღებით ვუყურებ, რა მოხდება ექვსი მაისის შემდეგ. ჩვენ ვიცით, რომ ამ დროს საქართველოში ტარდება ნატოს საშტაბო წვრთნები.

— რა უნდა გააკეთოს ოპოზიციამ, რომ ხელისუფლების შეცვლის პროცესი დაჩქარდეს? თქვენ რა რჩევას მისცემთ ლიდერებს?

— არანაირს. მე არ ვარ ოპოზიციის არც მრჩეველი, არც მოვლენების მიმომხილველი და არც კომენტატორი. თუ რამე უნდათ, უკვე შევუთვალე, რომ შეუძლიათ, მომმართონ, ოღონდ ცოტა ქედმოდრეკილად, რადგან ბევრი აქვთ „მიქარული“ ერის წინაშე და, სააკაშვილი რომ პრეზიდენტიცაა, ეგეც მათი უნიათობის ბრალია.

განცხადება შარაშიძე: თუ ოპოზიციის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების აპიდანსთან დაჯდება, აქ მოსკოლის დედას...

„საქართველო და მსოფლიო“ აქციის მონაწილეებს გაესაუბრა და ერთადერთი კითხვა დაუსვა: რას ფიქრობთ ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციისთვის შეთავაზებული დიალოგის თაობაზე?

იგორ ბოკუჩავა: „რა დიალოგი, რის დიალოგი, ეს ხელისუფლება უნდა გადავარდეს. თუ ოპოზიცია სააკაშვილთან რამე მოლაპარაკებაზე წავა, ჩათვალეთ, რომ წასულია ამათი საქმე, რადგან მერე არც ხალხი დაუდგებათ გვერდით და არც თვითონ ექნებათ ბრძოლის თავი“.

ანზორ ბენიძე: „ღმერთმა ნუ ქნას, ოპოზიცია ხელისუფლების ანკესზე წამოე-

გოს, თორემ ხალხის გაბრაზება მერე ნახეთ... დღეს რაც სააკაშვილის მიმართ ზიზღი და უნდობლობა არსებობს, ყველაფერი ამით მოუტრიალდება და თავკუდმოგლეჯილებს მოუწევთ გაქცევა“.

ვახტანგ შარაშიძე: „თუ ოპოზიცია ხელისუფლებასთან მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდება, აქ მოსკოლის დედაც... ჩვენ ამით გვერდით ვდგავართ არა იმიტომ, რომ სააკაშვილის

გამოსწორება გვინდა, არამედ იმიტომ, რომ მის დასამხობად ვიბრძვი“.

ქეთევან გუგუშვილი: „დიპლომატიის უნდა შედგეს მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით, თუ მთავარი საკითხი სააკაშვილის გაშვება იქნება. სხვა შემთხვევაში ხალხი კატეგორიული წინააღმდეგობა გამოიხატავს და ოპოზიცია თუ თვითნებურად იმოქმედებს, ამით, პირველ რიგში, საკუთარ რეპუტაციას მიაყენებს ზიანს“.

ლევან მიქაბერიძე: „დღე-

ვანდელი პროცესების შემყურეს მრჩევა შთაბეჭდილება, რომ ოპოზიცია ც და ხელისუფლებაც ერთსა და იმავე თამაშს თამაშობენ. ამას ისიც მონობს, რომ ოპოზიციის რიგებში ბევრია ისეთი, რომელიც ახლო წარსულში სააკაშვილს დიტიტირებდა. მე პირადად არც ერთ ლიდერს არ ვენდობი, თუნდაც, იმიტომ, რომ მათი ბიოგრაფიები ზიზღისა და სიძულვილის მეტს არაფერს ინვეს (თუმცა ეს ყველას არ ეხება)“.

კონსპიროლოგების თვალით დანახული 11 სექტემბერი

ინტერნეტმა კონსპიროლოგების იდუმალი არე შვა, რომლის ძლიერება და რიცხოვნობის განსაზღვრა შეუძლებელია, — ნერს მიმომხილველი დევის აარონოვიჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში 2001 წლის 11 სექტემბრისა და ლონდონში 2005 წლის 7 ივლისის ტერაქტების ვერსიითა შეფასებისას. ყველაზე ცნობილი შეთქმულების თეორიების გამოაშკარავებას აარონოვიჩმა მიუძღვნა წიგნი „ისტორია ვუდუს სტილში“, რომელიც დღის სინათლეს დიდ ბრიტანეთში 7 მაისის იხილავს.



ნერსების ბორტებზე არავითარი გამტაცებლები არ ყოფილან, ან ფსევდოგამტაცებლები შეთქმულთა პაიკები იყვნენ. თვითმფრინავები მსოფლიო სავაჭრო ცენტრისკენ მიმართეს. მათ დისტანციურად მართავდნენ. ცათამბვჯენები მათზე იერიშის მიტანით არ ჩამონგრეულა, აფეთქება წინასწარ დამონტაჟებული ნაღმების შედეგად მოხდა, რამაც დაანგრია „world trade centre 7“-ც, თუმცა, თვითმფრინავებს იერიში იქით არ მიუშარათ. პენტაგონს დისტანციურად მართულმა რაკეტამ შეუტია. ავიაკომპანია „united“-ის კუთვნილი „bort 93“ კი შესაძლოა, ჩამოაგდეს იმიტომ, რომ მგზავრები შეთქმულთა გამოაშკარავებით იმუქრებოდნენ.

11 სექტემბრის მოვლენების კონსპიროლოგიური ახსნისადმი მიძღვნილი საიტების რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე იმ ვებგვერდებისა, სადაც ეს თეორიები გაანალიზებული ანდა უარყოფილია, — აღნიშნავს ავტორი. სოციალური გამოკითხვის შედეგებით, რესპონდენტთა 40 პროცენტს სჯერა შეთქმულებისა პრეზიდენტ კენედის მკვლელობის მიზნით, ხოლო 36 პროცენტს — იმისა, რომ 11 სექტემბრის ტერაქტებში სახელმწიფოს ხელი ურევია.

„ეს თეორია რომ ირწმუნო, უნდა ივარაუდო, რომ აშშ ადმინისტრაციაში გარკვეულმა ძალებმა რთული შეთქმულება მოაწყვეს, რომელიც ნებისმიერი წვრილმანი შეიძლება იმიტომ, რომ მგზავრები შეთქმულთა გამოაშკარავებით იმუქრებოდნენ.“
„ეს თეორია რომ ირწმუნო, უნდა ივარაუდო, რომ აშშ ადმინისტრაციაში გარკვეულმა ძალებმა რთული შეთქმულება მოაწყვეს, რომელიც ნებისმიერი წვრილმანი შეიძლება იმიტომ, რომ მგზავრები შეთქმულთა გამოაშკარავებით იმუქრებოდნენ.“
„ეს თეორია რომ ირწმუნო, უნდა ივარაუდო, რომ აშშ ადმინისტრაციაში გარკვეულმა ძალებმა რთული შეთქმულება მოაწყვეს, რომელიც ნებისმიერი წვრილმანი შეიძლება იმიტომ, რომ მგზავრები შეთქმულთა გამოაშკარავებით იმუქრებოდნენ.“

ყველაზე გავრცელებული ვერსია ასეთია: ბუშის ადმინისტრაციის გარკვეულ ძალებს საბაზი დასჭირდათ დისპროპორციული სამხედრო ძალის გამოსაყენებლად კასპისპირა აუზსა და ახლო აღმოსავლეთში ნავთობის მარაგის ხელში ჩაგდებას ანდა ისრაელის მონაწილეობის დასასუსტებლად. ამიტომ მათ რაღაც თანამედროვე პერლ ჰარბორი მოაწყვეს — აშშ ტერიტორიაზე ამერიკელთა მასობრივი ჭლეტა, რაც ისლამისტ ექსტრემისტებს დააბრალეს. ავილაი-

ტი ჯიმი უოლტერი ირწმუნება, ისინი მთავრობაზე მუშაობდნენ. დასასრულ, საჭირო იქნებოდა ამერიკის ყველა საგანგებო სამსახურის ინსპექტორთა, მეხანძრეთა და პოლიციელთა მოსყიდვა, ან დაშინება ცრუ ჩვენების მიცემის მიზნით. „ამის განხორციელებას ასობით და ათასობით აგენტი დასჭირდებოდა და თითოეული მათგანი ან ფანატიკოსი, ან წარმოუდგენლად უზნეო უნდა ყოფილიყო,“ — ნერს ავტორი.

შეთქმულების თეორიის ზოგიერთი მომხრე ტექნოლოგიურად კიდევ უფრო დახვეწილ ახსნას ამჯობინებს: „mi-5“-ის ყოფილი თანამშრომელი დევიდ შეილერი დარწმუნებულია, რომ მსოფლიო სავაჭრო ცენტრი რაკეტებმა დაანგრია, ხოლო ავიალაინერები მხოლოდ სპეციალურად შექმნილი ჰოლოგრაფიული ილუზია იყო. „საოცარია, რომ შეთქმულთა ამ ჯგუფმა ვერ შეძლო ერაყის უდაბნოში მასობრივი განადგურების იარაღის ფარულად შეტანა,“ — აღნიშნავს ავტორი.

რაც შეეხება 2005 წლის ივლისში ლონდონში მომხდარ ტერაქტებს, მათი ავტორები, ჩვეულებრივ, ირწმუნებიან, რომ ასაფეთქებელი ნივთიერება არა ტერორისტების ზურგჩანთებში, არამედ ვაგონებისა და ავტობუსების იატაკქვეშ იყო განთავსებული და, შესაბამისად, აფეთქებაც იქ მოხდა. „მტკიცებულებად მათ თვითმხილველთა მონათხრობი მოჰყავთ, მაგრამ ყველა ეს ჩვენება „guardian“-ის ჟურნალისტის მარკ ჰონიგსბაუმის მონომოგრაფიულ ნაშრომშია, რომელიც 2006 წლის ივნისში ჰონიგსბაუმმა განმარტა, რომ ვერსია ვაგონის ქვეშ აფეთქების შესახებ შეცდომით იშვა იმ ინტერვიუთა გამო, რომლებიც მან ნაქარვად ჩამოართვა დაზარალებული მატარებლის მგზავრებს. ეპიცენტრის შორიხლო მყოფებთან გასაუბრებისას ჰონიგსბაუმმა დაასკვნა, რომ აფეთქება თავად ვაგონში მოხდა, თუმცა მითქმა-მოთქმა ინტერნეტით უკვე გავრცელებული იყო, — განმარტავს ავტორი. „the times“

სისხლის კვალი არ უნდა დარჩეს

ჩინელი სამართალდამცველებისთვის გათვალისწინებული სახელმძღვანელო ძალის გამოყენების შესახებ თანდართული ინსტრუქციით, რომლის ფრაგმენტებიც ინტერნეტში გამოქვეყნდა, საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია.

ლი არიან თავიანთი სისასტიკით, რის შედეგადაც რამდენიმე კაცი დაიღუპა. კერძოდ, მარშან ჩენგუანის თანამშრომლებმა ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს კაცი, რომელიც მობილური ტელეფონით ცდილობდა ადგილობრივ მცხოვრებთა და ხელისუფლების შეტაკების სცენის გადაღებას.

სახელმძღვანელოს რეკომენდაციით, მონიხალმდეგეს შეიძლება ფიზიკური დაზიანებაც მიყენო. „ობიექტზე ზემოქმედებისას შეცვალოთ, სისხლის კვალი სახესა და სხეულზე არ დაუტოვოთ და დარწმუნდით, რომ ახლომავლო არავინ არის,“ — ნათქვამია სახელმძღვანელოში.

სამართალდამცავი მუნიციპალური ორგანოს — ჩენგუანის თანამშრომელთა ძირითად აფრთხილებას წარმოადგენს, თუმცა ისინი განთქმულ-



პრემიერისა და პრეზიდენტის ალკოჰოლური ომი

ტუსკი და კაჩინსკი ერთმანეთს ალკოჰოლის ჭარბად მოხმარებაში ადანაშაულებენ, — ნერს მარია სერენა ნატალე სტატიაში, რომელიც გვხვთ „corriere della sera“-ში გამოქვეყნდა.



„ექვმიტანილია სიაში“ მოხვედრობა უმრავლესობის წარმომადგენელმა დეპუტატმა, 44 წლის იანუშ პალიკოტმა, მდიდარმა მეღვინემ და პრემიერის მემარჯვენე ცენტრისტული პარტიის თვალსაჩინო წევრმა პასუხად ამკარად დაადანაშაულა კაჩინსკი ალკოჰოლის მოხმარებაში და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დასკვნის გამოქვეყნება მოითხოვა. ეს იმ დროს მოხდა, როცა საკონსტიტუციო რეფორმებზე გამართული დებატების ცენტრში პრეზიდენტის როლი გამოიკვეთა. ბევრი მისი იმ პრეროგატივების გადახედვას ითხოვს, რომლებითაც კაჩინსკი განსაზღვრულ მომენტებში სარგებლობს, რათა მთავრობის მუშაობა დააბრკოლოს, თუმცა უმრავლესობის პარტიაც წააწყდა ამ დღეებში დეზერტირობის სახიფათო ფაქტებს.


პრემიერ დონალდ ტუსკსა და პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის შორის ნამდვილი ორთაბრძოლა გაჩაღდა. თებერვალში ტუსკის უმრავლესობის პარტიამ „საკონსტიტუციო პლატფორმა“ განაცხადა, რომ ქვეყნის მეთაურის ადმინისტრაციამ დაახლოებით 700 ევროს ღირებულების არაყი და პაჭარა ბოთლებში ჩამოსვლების ბოიკოტის სახით დააპროტესტა, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ისინი ყიდულობდნენ, ვისაც ალკოჰოლთან დაკავშირებული საკუთარი პრობლემების დამალვა სურს. ამ ბრალდებას კაჩინსკის კანცლარმა ასე უპასუხა: „როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი,“

პრემიერის აპარატიმ ღვინის საყიდლად უკვე 16 ათასი ევრო დახარჯა.“
ეს „ალკოჰოლური ომი“ მიმდინარე წლის ივნისისთვის დანიშნული ევროპარლამენტის წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მიმდინარეობს, თუმცა ნახევარმა პოლონეთმა არ იცის, როგორ აირჩიოს ევროდეპუტატები. პოლიტიკური ბრძოლის გამპაჭარა ბოთლებში ჩამოსვლის ხმელ სპირტიან მარაგსა და პრემიერის საკუთარი პრობლემების დამალვა სურს. ამ ბრალდებას კაჩინსკის კანცლარმა ასე უპასუხა: „როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი,“

„არასდროს არავის უნახავს მთვრალი, — განუცხადა პრესას კანონისა და სამართლიანობის პარტიის წევრმა, — კაჩინსკი არ სვამს, შეუძლია საათობით ედგას ღვინიანი ჭიქა.“
ამგვარად, პალიკოტ შესაძლოა, პროცენტების ღირებულებისა და პატივის შეღავათში დაადანაშაულოს.
„corriere della sera“

დორის ბრიკი — სამხრეთ აფრიკაში, კომუნისტების პანდემია — იაპონიასა და ჩინეთში

მკვეთრი ეკონომიკური ვარდნის, მზარდი უმუშევრობისა და ბუნდოვანი მომავლის პირობებში სულ უფრო მეტი იაპონელი ხდება კომუნისტი. იმ დროს, როცა იაპონიის 2 ძირითადი პოლიტიკური პარტიის ლიდერების რეიტინგი დაბლა იწვეს, იაპონიის კომუნისტური პარტია, რომელიც ცივი ომის გადმონათმად მიიჩნეოდა, ხანგრძლივი არაპოპულარობის შემდეგ აღორძინებას იწყებს.



ბოლო ხანებში პარტიის წევრთა რიცხვმა 410 ათასს გადააჭარბა. 2007 წლის ბოლოდან პარტიაში შევიდა 14 ათასი, რომელთაგან უმრავლესობა 30 წლამდე ასაკისაა. „ლიდერი პარტიებისგან განსხვავებით, კომუნისტები დიდი კორპორაციებისგან შემონირულობებს არ ელიან, — ირწმუნება 23 წლის მუშა იასუხისა ვაკაბაიში, რომელიც პარტიაში იანვარში გაწევრდა, — ისინი ლაპარაკობ-

ბენ სოციალურ უზრუნველყოფასა და განათლებაზე, უბრალო ხალხის პრობლემებზე. პატიოსანი ხალხია.“
საგულისხმოა, რომ კომუნისტურ პარტიას 480-წევრიანი პარლამენტის ქვედა პალატაში 9 ადგილი უკავია. სანამ იაპონიაში კომუნისტების აჩრდილი დაძრწის, ჩინეთში ის სორცს ისხამს — შანდუნის პროვინციაში ყველა ადგილობრივმა განზრახვამ აღმდგენელი ჩინოვნიკი

წელიწადში უთუოდ 3-5 წიგნი უნდა წაიკითხოს. ამის თაობაზე პროვინციის პარტკომიტეტმა საგანგებო დადგინილება კი გამოსცა. მარ-

თალია, დოკუმენტში არ წერია, კონკრეტულად რომელი წიგნები უნდა იკითხოს ჩინოვნიკებმა, მაგრამ მათთვის ეს, ალბათ, ისედაც ნათელია. თუ „კულტურული რევოლუციის“ წლებში აუცილებელი იყო მათი ციტატების კითხვა, „ჩინური სპეციფიკით“, სოციალიზმის მშენებლობის აწყობინდელ ხანაში ასეთ აუცილებელ საკითხავად მიიჩნევა დენ სიაოპინის ნაშრომები და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და პარტიული კონტროლის კომისიის თანამედროვე ლიდერთა გამოსვლების ტექსტები, თუმცა დღეს, ეტყობა, თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნებს ეს ნაწარმოებებიც აღარ ესადაგება.

პარტიული განანქის მიხედვით, მალაჩინოსნებს მახვილი ჭკუა-გონება, ეკონომიკისა და იურისპრუდენციის საფუძვლების, უცხო ენების ცოდნა და კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები უნდა ჰქონდეთ.
მოკლედ, ჩინეთში განათლებას დიდი ყურადღება ექცევა ისევე, როგორც დიდ ბრიტანეთში, სადაც სკოლაში 11 წლის მოსწავლეების სქესობრივი აღზრდის პროგრამაში ერთსქესიანთა და სამო-

ქალაქო ქორწინებების თემებზე დისკუსიებს ჩართავენ. უფროსკლასელებს — კონტრაცეპტივებსა და სქესობრივი გზით გადადებულ სნეულებებს ადამიანის სხეულის აგებულებასა და მეგობრობაზე მოუყვებიან. 2011 წლიდან სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები სავალდებულო გახდება. თუმცა მშობლებს უფლება ექნებათ, გადაწყვიტონ, გაუშვან შვილი ასეთ გაკვეთილზე თუ არა.
P.S. მახსოვს, საქართველოშიც სურდათ სქესობრივი აღზრდის პროგრამის შემოღება. მაშინ იმ პროექტმა მარცხი განიცადა, თუმცა ქართველი ცნობილებისთვის შემოთავაზებულ სახელმძღვანელოებში ჯერ კიდევ არაფერი იყო ნათქვამი ერთსქესიან ქორწინებებზე, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ამასაც მოვესწრებოდით?
„the times“

ინდიელს ესიამოვნებათ

ამერიკაში, მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ვებსტერის ხელისუფლებამ ადგილობრივი ტბის 45-ასობიან დასახელებაში ორი უზუსტობა აღმოაჩინა. მოსახლეობა ტბას, უბრალოდ, ვებსტერს უწოდებდა, ოფიციალურ დოკუმენტებსა და საგზაო ნიშნებზე კი მითითებულია მისი სრული სახელწოდება:



Chargoggagoggmanchauggagoggchaubunagungamaugg,

რომელიც შტატის მცხოვრებთ ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან მეტყველებდა შემორჩათ ნიშნების ინდიელთა ტომისგან. ჩინოვნიკებმა ხანგრძლივი და დამქანცველი შრომის შედეგად აღმოაჩინეს, რომ ტბის სახელწოდებაში მე-20 ასო უნდა იყოს U და არა O, ხო-

ლო 38-ე — n და არა h. ინდიელების ენაზე ეს დასახელება დაახლოებით შემდეგს ნიშნავს: „შენ იქით ნაპირზე თევზაობ, მე — აქეთ და არაფერს თევზაობს შუაში. ინდიელები, ალბათ, კმაყოფილი დარჩებოდნენ...“

„იბოპი“

ბოლოჯარი დაბატები ამერიკაში

ნიუ-ჯერსის შტატში, „the wall street journal“-ის ჟურნალისტის მონათხრობით, სამსახურიდან რესტორნის ორი თანამშრომლის დათხოვნის ფაქტზე გამართული სასამართლო პროცესის გამო დიდი ვნებები ბოლოქრობს. რესტორნის თანამშრომლები „my space.com“-ის დასურულ ფორუმზე თავიანთ ხელმძღვანელობას განაკიქებდნენ.

ამ საქმით ამერიკის კონსტიტუციაში პირველი ცვლილების შეტანასა და პირადი ცხოვრების დაცვაზე სპეცი-ალიზებული იურისტები დაინტერესდნენ. აღნიშნული ცვლილება სიტყვის თავისუფლების გარანტიას იძლეოდა. საქმე ისაა, რომ თანამშრომლებს ამ ფორუმზე მიწერ-მწერა ჰქონდათ საშუალოდ თავისუფალ დროს, ხოლო მათ კომპიუტერებს პაროლი ედო.

ერთ-ერთი თანამშრომელი ქალისგან შეიტყვეს, რომელმაც კოლეგები სამსახურიდან გათავისუფლების მიზით გასცა. ამ ფორუმზე რესტორნის მენეჯერებმა თავიანთი მისამართით ლანძღვა-სუფლების გარანტიას იძლეოდა. საქმე ისაა, რომ თანამშრომლებს ამ ფორუმზე მიწერ-მწერა ჰქონდათ საშუალოდ თავისუფალ დროს, ხოლო მათ კომპიუტერებს პაროლი ედო.

ბის ეთიკური წესების დარღვევის გამო სამსახურიდან დაითხოვეს. ყოფილი დამსაქმებლების მიმართ ნარდგენილ სარჩელში პეტრილო და მარინო ირნმუნებთან, რომ ისინი უკანონოდ გაათავისუფლეს და დასტურად შტატისა და ფედერალურ კანონებს იშველიებენ. ადვოკატების თქმით, სასამართლო შეუძლია, მიწერ-მწერა ინტერნეტში არც ჩათვალოს კონფიდენციალურად, თუმცა პაროლის გამოძღვის ფაქტმა შესაძლოა, ნაფიცო მსაჯულები მოსარჩელების მხარეზე გადაიბიროს.

„the guardian“



პენტაგონის ყველაზე კვირადღივანი პროექტი

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციაზე დაყრდნობით, „the wall street journal“-ის ჟურნალისტები იუწყებიან, რომ ჰაკერებმა ვატეხეს მეხუთე თაობის ამერიკული გამანადგურებელ-ბომბდამშენ „f-35 lighting II“-ის პროექტის დოკუმენტაციის დაცვის სისტემა და თანდართული ნახაზებითა და მოდელებით რამდენიმე ტერაბაიტი ინფორმაციის კოპირებაც მოახერხეს.

ჰაკერებმა გატეხეს



„f-35 lighting II“ ძნელად შესამჩნევი მრავალმიზანიანი გამანადგურებელ-ბომბდამშენია, რომლის შექმნა-ზეც კომპანია „lockheed martini“ მუშაობს „northrop grumman da bae systems“-თან ერთად. არსე-

ბობს თვითმფრინავის სამი ვარიანტი — სახმელეთო, საგემბანო და ვერტიკალურ დაფრენის გამანადგურებელი. პროექტს აშშ და ნაწილობრივ ინგლისი აფინანსებენ.

„The wall street journal“

მექსიკელ მსახიობებს

კოსმა სუკრალეს...

რას გადაპრჩით?!

მექსიკური ტელეარხების „Televisa“-სა და „TV Azteca“-ს პროდიუსერებმა გადაწყვიტეს, იმ „საანის ოპერებიდან“, რომელთაც ახლა იღებენ, სასიყვარულო და კოცნის სცენები ამოიღონ. ეს გადაწყვეტილება ღორის გრიპთან დაკავშირებით მიიღეს.



„ბოლო დროს მსახიობები უარს ამბობენ პარტნიორებთან ფიზიკურ კონტაქტზე. ჩვენ გვგვამის, რომ მათ საკუთარი ჯანმრთელობის დაცვა სურთ“, — განაცხადა „Televisa“-ს ერთ-ერთი ყველაზე ნარმატებული და რეიტინგული ტელეწევლის პროდიუსერმა ნიკანდრო დიასმა.

მან დასძინა, რომ გადაღებები არ შეჩერდება, თუმცა სცენარისტებს პერსონაჟთა ვნებების გამოხატვის ახალი საშუალებების მოძებნა მოუწევთ.

P.S. კიდევ კარგი, რომ ღორის გრიპი საქართველოში არ დაფიქსირდა, როცა „ჯეობარი“ გადიოდა, თორემ პანდემია და უბედურება მერე უნდა გენახათ!

4 წელი, 52 გვაში, 100 მლნ ბიკვანქა და არც ერთი ბრალდებული

ლონდონის კინგსტონის რაიონის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ 2005 წლის ივლისში ლონდონის მეტროში განხორციელებული ტერაქტის საქმესთან დაკავშირებული სამი ეჭვმიტანილი გაათავისუფლა.



სადირ სალიმს, მუჰამედ შაკილსა და ვაჰიდ ალის ტერორისტთა ხელშეწყობაში ადანაშაულებდნენ, მაგრამ როგორც დიდი ბრიტანეთის ძალადგანი უწყებების მაღალჩინოსანი თანამშრომლები იტყობინებიან, სრულებით შესაძლებელია, რომ უდიდესი პოლიციური გამოძიების შედეგად, რომელიც 100 მლნ გირვანქა სტერლინგი დაჯდა, არავინ დააპატიმროს.



ბრალდების მხარე მოხილური კავშირის ოპერატორისგან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით ირწმუნებოდა, რომ ამფეთქებლები ტერაქტამდე 8 თვე ადრე ზეურავდნენ მეტროს. მსჯავრდებულები თავს დამანაშაუვად არ ცნობდნენ და ცხადებდნენ, რომ ლონდონში ტერორისტებად იმყოფებოდნენ 2004 წლის 16-17 დეკემბერს. ნაფიც მსაჯულთა კოლეგია მათი დანაშაული დაუდასტურებლად ცნო.

ლო ვერდიქტს რამდენიმე დღეში გამოიტანს. სადირ სალიმმა სასამართლო დარბაზის დატოვების წინ პრესას განუცხადა: „მე ცხოვრების ორი წელი დავკარგე, რომლებსაც ვერავინ დამიბრუნებს.“

„the guardian“

თეთრი სახლის „გასაიდუმლოებული“ ფოტოსესია

თავისუფლების ქანდაკების ფონზე აეროფოტოსესიამ ნიუიორკელებს 11 სექტემბერი გაახსენა.

ფოტოსესია

რამდენიმე დღის წინ აშშ პრეზიდენტის ერთ-ერთმა ავილაინერმა „ბოინგ-747“-მა გამანადგურებლის თანხლებით თავისუფლების ქანდაკების კენ აილო გეზი. ეკიპაჟის ამოცანას თვითმფრინავისთვის შთამბეჭდავი ფოტოების გადაღება წარმოადგენდა. თანაც, მისია გასაიდუმლოებული იყო, რის გამოც ნიუიორკის მოსახლეობა, რომელიც წინდანი არ გააფრთხილეს, მანჭეტენზე თვითმფრინავის დანახვისას პანიკამ შეიპყრო.

ცათამბჯენები, ზოგიერთ შემთხვევაში ევაკუაციაც კი გამოცხადდა.

ნახევარი საათის შემდეგ საჭირო ფოტოების გადაღება დასრულდა. ერთ-ერთი გამოცემის ცნობით, მამინვე დამანაშაუვის ძებნა დაიწყო.

„უკმაყოფილო, უფრო მეტიც, გაცოფებული ვარ, რომ ამის შესახებ არაფერი მითხრეს,“ — განაცხადა ქალაქის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა კენსისის სკოლაში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც თავიდან ღორის გრიპთან დაკავშირებულ საშიშროებას უნდა შეეხებოდა. ცნობილი გახდა, რომ სამოქალაქო ავიაციის ფედერალურმა სამმართველომ აღნიშნულის შესახებ ელექტრონული ფოსტით გააფრთხილა მერის თანამემწე მარკ მუგნოსი, რომელიც მოგვიანებით დაუდევრობის გამო დატყუეს.

ასევე ცნობილი გახდა, რომ მისის დასაწყისისთვის დაგეგმილი „ფოტოსესიის“ მეორე ნაწილი (თეთრი სახლის ფონზე პრეზიდენტის ლაინერის გამოსახულებით) ჩაიშალა.

„The wall street journal“

15 წელი — დედის მკვლელობისათვის

„ამაჩვენე ეს დანაშაული არ ჩაუდენია. ეს ჩაიდინა იმ ფსიქიატრმა, რომელმაც ამაჩვენი გამოუშვა ფსიქიატრიულიდან“.

და დავამატებდი, ასე სულელურად. მერეც, ბოლო ათი წელია, არსად, არც ერთ ქვეყანაში არ დავიკარგავს არც ერთ აგენტი, მით უმეტეს, ასეთი რანგისა. შეფის სურვილია, არ დაგიმალავ — ჩემიც, კიდევ ერთხელ გადავამოწმო ყველაფერი, ოღონდ არანაირად არ უნდა დაირღვეს კოლეგიალობა, ეტიკეტი; უნდობლობის რაიმე ნასახი, მკრთალი ჩრდილიც კი არ უნდა გამოკრთეს ჩვენი იქაური კოლეგების მიმართ. ოფიციალურად ამ საქმეზე ვერავის გავგზავნი და ამიტომაც არჩევანი შენზე შეჩერდა. შენ, როგორც „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტი, რედაქციის დავალებით ჩახვალ საქართველოში და უოლტერ რაილის ტრაგიკული დაღუპვის ფურნალისტურ გამოძიებას ჩატარებ. სამი კაცის მეტს არავის ეცოდინება, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი ხარ. რას იტყვი, თანახმა ხარ?

— ჰო, — უბრალოდ თქვა სიღნევი როჯერსმა, ვინაიდან იმ სამი კაციდან, ვისაც ამ მისიის ნამდვილი მიზნის შესახებ ეცოდინებოდა, ერთი მის გვერდით იდგა, მეორე კანტორის შეფი გახლდათ, რა თქმა უნდა. მესამე ვინაა? — იკითხა.

— ჩვენი ელჩი საქართველოში.

— ჩვენინაია?

რიჩარდ ჰოფენერმა თავი დაუქნია.

— როდის მივდივარ?

— რაც მალე, მით უკეთესი. იმედი მაქვს, რედაქციაში შენვე მოაგვარებ საქმეს.

— რა თქმა უნდა. ფიქრი ნუ გაქვს.

— პირველი, რასაც გააკეთებ, ინტერვიუს აიღებ საქართველოს პრეზიდენტისგან. ჭკუას კარგავს ასეთ რაღაცებზე და მასვე აცნობე, რომ ფურნალისტური გამოძიების ჩატარება გინდა. აუცილებლად დაგეხმარება და საქმისთვისაც აჯობებს, რომ ეს ფაქტი მისგან გახიანდეს.

— კეთილი.

რიჩარდ ჰოფენერმა პიჯაკის შიდა ჯიბეში ხელი ჩაიყო და თხელი, შეყვანილი, ჩვეულებრივზე ოდნავ მოზრდილი უბის ნიგნაკი ამოიღო.

— აჰა, დაიჭი. ეს ერთადერთია, რითაც ამ ბოლო წლებში ამომავალი მისი ქვეყანას — იაპონიას გავასწარით ამ სფეროში; სამწუხაროდ, ერთი-ორი თვით, ალბათ.

როჯერსმა უბის ნიგნაკი გამოართვა და გადაშალა. პორტატული კომპიუტერი, ლეპ-ტოპი იყო.

— დაახლოებით ასევერ ძლიერია ყველა დღემდე არსებულზე, — თქვა ჰოფენერმა, — ხმარების წესი — ჩვეულებრივი, ოღონდ უამრავი ახალი ფუნქცია და შესაძლებლობა აქვს, თანაც, ჩვენ ცენტრალურ კომპიუტერთანაა დუბლირებული. ჩასართავ კლავიშზე შენი საჩვენებელი თითის ანაბეჭდია. სხვა ამ კომპიუტერს ვერ გამოიყენებს. აქვს თვითლიკვიაციის რეჟიმიც. კავშირი ამის მე-

ვობით გვექნება, უკიდურეს შემთხვევაში, მობილურით. ოღონდ იქაური სისხირის მობილურით არ დამირეკო, მხოლოდ ამერიკულთ. გამგზავრების წინ ჩაგიტვირთავ ყველა საჭირო ინფორმაციას. აითვისებ? — ლეპ-ტოპს დახედა ჰოფენერი.

— სხვა რა გზა მაქვს? — მხრები აიჩეჩა როჯერსმა.

რიჩარდ ჰოფენერს გაეღიმა. სიღნევი როჯერსი მთელ ჰარვარდში კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების თავგადაკლული მოყვარული და აღიარებული სპეციალისტი იყო.

— საბუთები, ბიულეტენი, სახარჯო ფული აეროპორტში, შემნახველ საკანში იქნება — სამოცდამეშვიდე ბოქსი, კოდი S891122.

რიჩარდ ჰოფენერი წამოიწია.

ორივენი ადგნენ.

— აბა, შენ იცი, სიდ, და ფრთხილად იყავი.

— ვეცდები.

მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

„ბონიტი 747“ მძლავრად მოსწყდა კენედის აეროპორტის ასაფრენ ზოლს და მდორედ დაიწყო სიმაღლის აღება.

„ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტი სიღნევი როჯერსი ბიზნესკლასის სალონში იჯდა ილუმინატორთან და ლეპ-ტოპის ეკრანს დასცქეროდა.

„საქართველო, იბერია, ჯორჯია — ქვეყანა, მდებარე ამიერკავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში.“

ტერიტორია — 69 700 კვადრატული კილომეტრი; მოსახლეობა — 5 მილიონი; ეთნიკური ქართველი — 3.5 მილიონი; დანარჩენი: სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, რუსები, ქურთები, ასირიელები და სხვ.

დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, სანაპირო ზოლი — 420 კმ; სამხრეთით — თურქეთი, აღმოსავლეთით — სომხეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით — აზერბაიჯანი.

საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის: დასავლეთით — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, სამხრეთ-დასავლეთით — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ჩრდილოეთით — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

საქართველოს სახელმწიფოს ძირითადი რელიგია — ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა (V საუკუნე); სახელმწიფო ენა — ქართული, განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს;

დამწერლობა — ქართული ალფაბეტი (I საუკუნე), იკითხება მარცხნიდან მარჯვნივ.

ადმინისტრაციული მოწყობა — 65 რაიონი; ქალაქების რაოდენობა — 51; დედაქალაქი — თბილისი (დაარსდა V საუკუნეში); მოსახლეობის 60 პროცენტი ცხოვრობს ქალაქებში“.

(გაგრძელდება)

დედის მკვლელობისათვის 51 წლის თეიმურაზ თუთბერიძეს საქალაქო სასამართლოს სს კოლეგიაში 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა. მკვლელობა 2007 წლის 21 მარტს თეიმურაზის მესამე მიკრორაიონში მოხდა. თეიმურაზ თუთბერიძემ საკუთარი დედა, 84 წლის რუსუდან მანჯავიძე ბალიშით გაგუდა. იგი მეორე დღესვე დააკავა პოლიციამ, თუმცა დღემდე თავს უდანაშაულოდ ცნობს და ამბობს, რომ მკვლელობა დედის მოთხოვნით ჩაიდინა.

თუთბერიძეს ბრალი სს კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინა დამამძიმებელ გარემოებებში უმწეოდგომარობაში მყოფი მოხუცის განზრახ მკვლელობისათვის. 84 წლის რუსუდან მანჯავიძე თეიმურაზის მესამე მიკრორაიონის მესამე კვარტალში შვილიშვილთან და რძალთან ერთად ცხოვრობდა. იგი 2002 წლიდან ლოგინად იყო ჩავარდნილი. მას ჰყავდა მომვლელი ქალი, რომელიც სისტემატურად დადიოდა და უვლიდა.

თეიმურაზ თუთბერიძე წყალტუბოში ცხოვრობდა. იგი დროდადრო ჩამოდიოდა დედასთან. თუთბერიძის ადვოკატი მეველუდ ჯანჯღავა აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფმა მხოლოდ დედის ვედრების შემდეგ ჩაიდინა მკვლელობა.

„გამოძიება თუთბერიძეს ბრალს დებს, რომ მან უმწეოდ მდგომარეობაში დედა მოკლა, მაგრამ, როგორც თეიმურაზი ამბობს, ეს ასე არ არის. წარმოიდგინეთ, ლოგინად ჩავარდნილი ადამიანის მდგომარეობა. მოხუცი მთლიანად დამოკიდებული იყო მომვლელზე და, თეიმურაზი როცა მოდიოდა, დედა ევედრებოდა, რომ ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩვენია და მომკალიო.“

„ერთ საღამოს, როცა თეიმურაზი სახლში მივიდა, ნახა, რომ დედამისი ლოგინიდან გადმოვარდნილიყო და, როგორც თვითონ ამბობს, თვითმკვლელობაც უცდია. დედამ შვილს ისევე დაუწყო ვედრება — მომკალიო. თეიმურაზმა იგი ლოგინზე დაანწინა და ბალიშით გაგუდა.“

„მოკვლის შემდეგ დედისთან დარჩა. მეორე დღით კი ბაბიასთან მოსულ თავის შვილს უამყო მომხდარის შესახებ, — „ბაბიასწინ მისხვედრებოდა და“.

ამ უკანასკნელმა კი პოლიციამ განაცხადა, რომ მამამ მისი ბებია მოკლა“, — იხსენებს საუბარში თუთბერი-



რიძის ადვოკატი მეველუდ ჯანჯღავა. ადვოკატის განცხადებით, თუთბერიძე არამდგრადი პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებს და იგი შეიძლება არ იყოს ფსიქიკურად განონანსორებულ-ი.

„სასამართლოში შუამდგომლობით მოვითხოვე სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა, მაგრამ მოსამართლემ თხოვნა არ დააკმაყოფილა. შეიძლება ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი შეურაცხადია, ან იმ მომენტში შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში იყო. დანაშაულს აქვს თავისი მოტივი და მიზანი. პროკურატურა ამბობს, რომ თეიმურაზ თუთბერიძეს დედის მოვლა დაეზარა და მოკლა, მაგრამ ეს მოტივი არ არის სწორი“, — აცხადებს ადვოკატი.

სასამართლოზე დაკითხული მოკლულის მომვლელი ხათუნა ჯავახიშვილი იხსენებს, რომ თუთბერიძეს ავადმყოფი დედა ებრალეობდა და თავადაც უვლიდა. თუმცა, ამავე მომენტის თქმით, ავადმყოფი ასაკოვანი ქალბატონი სიკვდილის სურვილს არ გამოთქვამდა.

„რუსუდანი ცუდად იყო, სულ წნეგები ჰქონდა. რთული იყო მისი მოვლა და მის რძალს ვეხმარებოდი. ბოლო პერიოდში იმდენად უკეთეს გახდა, რომ კარგად მელაპარაკებოდა და მას ჩემთვის არასოდეს უთქვამს, სიკვდილი მინდა. როცა თეიმურაზი ჩამოდიოდა, ისიც მეხმარებოდა დედამისის მოვლაში. მას ძალიან ებრალეობდა დედა.“

ადვოკატი ამტკიცებს რომ ეს იყო მკვლელობა მსხვერპლის მოთხოვნით. ანუ, მას ეპრალეობდა დედა ასე მკითხველ ტკივილს გავიგებოდა, მაგრამ დედასთან დარჩა. როგორც თეიმურაზი ამბობს, იგი კანონით გათვალისწინებულ ჩარჩოებში უნდა განხორციელებულიყო ავადმყოფის მოვლა. თუმცა, თეიმურაზი ამბობს, რომ თეიმურაზი ამბობს, იმ საღამოს დედის მხრიდან ეს პირველი თხოვნა არ იყო. მას დაჟინებით და სისტემატურად დანაშაული დედა — მომკალიო. თავისთავად, მომვლელი ამას ვერ გააკეთებდა და შვილმა შეასრულა.

თუთბერიძემ დაკავებისთანავე თქვა, რომ მოკლა დედამისი, მაგრამ, როგორც განმარტავს, მან დედა გაათავისუფლა ტკივილისაგან. თუთბერიძეს რომ თვით-გათქმა არ გაეკეთებინა, მას ვერავინ დასდებდა ბრალს. თუკი პროკურატურამ მის მონაყოლზე დაყრდნობით დაიჯერა, რომ მან მოკლა დედა, ის რატომ არ სჯერა, რომ დედა თხოვდა მას, მომკალიო.“

მიუხედავად მონმეთა ჩვენებებისა ქალაქის პროკურატურის მკვლელობების, განყოფილების პროკურორმა ელენე ლაზარისვილიმა მკვლელობის მოტივად დედის მოვლის დაზარება დაახსენა.

„ის, რომ თუთბერიძეს დედა სიკვდილს სთხოვდა, ვერ დადასტურდა. რაც შეეხება ევთანაზიას (მკვლელობა ავადმყოფის თხოვნით), იგი კანონით გათვალისწინებული ჩარჩოებში უნდა განხორციელებულიყო ავადმყოფის მიმართ — ანუ შიდა, ანემიის, სიმსივნის შემთხვევაში.“

ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი რუსუდან მანჯავიძეს ჰქონდა მხოლოდ მაღალი წნეგები და სტკიოდა სახსრები. აქედან არც ერთი არ მიეკუთვნება მძიმე და მომკვდინებელ დაავადებას. საქმეზე მოკვლეული ყველა მტკიცებულებითა და მონმეთა ჩვენებებით გამოძი-

ბამ დაადგინა, რომ მან განზრახ მოკლა უმწეოდგომარეობაში მყოფი დედა“.

პროკურორმა თუთბერიძის მიმართ 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

მკვლელის ვაჟი ზურაბ თუთბერიძე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მის მამას მისი ბების მოვლა არასოდეს დაზარებია და პროკურატურის ამ მოტივს დღემდე აპროტესტებს.

„მამაჩემს ბებიაჩემის მოვლა არასოდეს დაზარებია, მაგრამ მეექვსეა, რომ ეს იყოს ევთანაზია. მამაჩემი იწვა ფსიქიატრიულში და იქიდან გამოუშვეს. მე ვუთხარი ექიმს, — სანამ დანაშაულს ჩაიდენს, მიხედეთ-მეთქი, მაგრამ მითხრეს, — ჭკვიანი კაცია, არაფერს ჩაიდენსო. ფსიქიატრიულიდან გამოსვლიდან ერთ თვეში კი ეს დანაშაული ჩაიდინა.“

მე მინდა თქვა, რომ მამაჩემს ეს დანაშაული არ ჩაუდენია. ეს ჩაიდინა იმ ფსიქიატრმა, რომელმაც მამაჩემი გამოუშვა ფსიქიატრიულიდან ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე. მე ვითხოვდი, რომ გამოეკვლიათ მისი ფსიქიკური მდგომარეობა და თუ დაუდასტურდება ფსიქიკური არამდგრადობა, დაენიშნოს მკურნალობა. მე ვთვლი, რომ

15 წლით მისი გამოკვლა არ გადაჭრის პრობლემას, რადგან 15 წლის ბიჭი, როცა გამოვა, შეიძლება უკანასკნელი უკანასკნელი გააქვას.

ჯერ უნდა ემკურნალათ და მერე დაესაჯათ“, — განაცხადა ზურაბ თუთბერიძემ.

საქალაქო სასამართლოს სს კოლეგიაში თეიმურაზ თუთბერიძეს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

აპაა კოხალია

როდოპის ნარნეებისა და სხვა სურული პიქტოგრაფიის შესახებ

მას შემდეგ, რაც ბალნიტ მოსილმა, ახლად ორფეხადგულმა ჩვენმა წინაპრმა ხელში ნახშირი აიღო და გამოქვაბულის კედელზე ბიზონი მიახატა, „გამოქვაბულის მხატვრობა“ ნოდებულმა ხელოვნებამ დიდი გზა გამოიარა და უფრო დიდი თავსატეხი გაუჩინა თანამედროვე მეცნიერებს. დედამიწაზე არსებობს ასეთი გამოქვაბული, რომელთა კედლებზეც უძველესმა ადამიანმა თავისი კვალი დატოვა. ძალიან ბევრი ამ გამოქვაბულთაგან დღემდე შეუსწავლელია. მათგან ერთ-ერთი, ყველაზე იდუმალი გამოქვაბული ბულგარეთშია, როდოპის მთათა სისტემაში.



1928 წელს რამდენიმე შეისწავლეს სრულიად შემთხვევით სოფელ სიტოვოსთან ახლოს, ძველი დასახლება შუტგრადის ნანგრევებიდან 200-მდე მეტრში, კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბულის აღმოჩენა. გამოქვაბული იყო გაურკვეველი წარწერები. მცირე ხნის „გაზრების“ შემდეგ შეისწავლეს ჩათვალეს, რომ სადაც ახლომდებარე გაგზიაროთ და მასში იქაურობის გადათხრას შეუდგნენ. მათ ენთუზიზმს ისიც აძლიერებდა, რომ ადგილობრივ ფოკლორში მრავალად იყო თქმულებები, რომლებშიც მოთხრობილია ფანტაზიური საგანძურზე, უძველეს დროს როდოპის მთაში რომ ჩაუფლავთ.

ცოტა ხანში შუტგრადიდან სიტოვომდე რაღაც „ოქროს ციხე-ციხელების“ მსგავსი განვითარდა. დიდი და პატარა უეცარი გამდიდრების მოლოდინში მიწაში ჩაძვრა. ერთნი ხისგან და თოკებისგან მონყობილობებს აკეთებდნენ მიწიდან ოქროს ამოსაღებად, მეორენი — შელოცვებს და მაგიას მიმართავდნენ და ა. შ.

სიტოვოს საოცრებების შესახებ ინფორმაცია, ბოლოს და ბოლოს, მთიდან ბარად ჩამოვიდა და პლოფივამდეც მიაღწია. არქეოლოგიური საზოგადოების მდივანმა ალექსანდრე პეევმა სასწრაფო ექსპედიცია მოაწყო მთებში. ცოტა ხანში ექსპედიციამ ახალი აღმოჩენის შესახებ ამცნო სამყაროს:

„გამოქვაბულის სამხრეთ კედლის გულდასმით დათვლიერების შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ იატაკიდან დაახლოებით 2 მეტრის სიმაღლეზე გამოკვეთილი იყო გლუვი ზოლი, სიგანით — 23-დან 30 სმ-მდე, ხოლო სიგრძით — 260 სმ. ამ ზოლ-

ში ამოკანრულია რაღაც იდუმალი ნიშნები. წარწერა უდავოდ ადამიანის ხელითაა შესრულებული. ნიშნები მოგვაგონებს ე. წ. რუნებს, ანუ რუნულ დამწერლობას, რომელსაც იყენებდნენ ძველგერმანული ტომები, სანამ რომის კულტურული ზეგავლენის ქვეშ მოექცეოდნენ... გამოქვაბულის აღმოსავლეთის კედელში წარმოადგენს უზარმაზარ ქვის ბლოკს. ჩვენ აქაც აღმოვაჩინეთ წარწერა, სიმაღლით — 23 სმ და სიგრძით — 80 სმ.“

მომდევნო მრავალი წლის განმავლობაში ალექსანდრე პეევი იყო ერთადერთი მეცნიერი, რომელიც სიტოვოს წარწერის გაშიფვრას ცდილობდა. მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

ამ წარწერების ზუსტი გაშიფვრა და ანალიზი დღემდე ვერაინ მოახერხა. არსებობს მხოლოდ ვარაუდები. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ეს წარწერები ძველი ცივილიზაციების დანატოვარია. სხვა ვერსიის მიხედვით, ეს უცხოპლანეტელების მიერ ადამიანებისთვის დატოვებული ინფორმაციაა. არსებობს ვარაუდიც, რომ ამ წარწერებს არაფერი აქვს საერთო რომელიმე დამწერლობასთან.

მეცნიერთა ერთი ჯგუფი კი თვლის, რომ ეს წარწერები დაახლოებით იგივეა, რაც ნებისმიერ თანამედროვე გამოქვაბულში, აგურის ნატეხით მიწერილი „ზოიას“ ვალიკო“ ან მგავსი რამ.

სუმრობა იქით იყოს და, ეს სიმბოლოები შეიძლება მართლაც თანამედროვე ადამიანის ნაშთი იყოს ალმონდის.

ალექსანდრე პეევი თვლიდა, რომ სიტოვოს წარწერები უნიკალური იყო და მსოფლიოში მისი ბადალი არსად მოიძებნებოდა. სწო-

რედ აქ შეცდა მეცნიერი — იმავ სიმბოლოებით შესრულებული წარწერა აღმოჩენილია კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) აია სოფიას ტაძრის იატაკზე.

როდოპის წარწერების მსგავსად, არც ესაა გაშიფრული.

პეევმა ეს წარწერები ბოლოს 1940 წელს ნახა. პეევის ნაცნობ-მეგობართაგან ცოტამ თუ იცოდა მისი მეორე გვარი — ბოევი. ევროპა წელ-წელა ომის ქარცეცხლში ეხვეოდა.

3 წლის შემდეგ პოლიციამ დააპატიმრა საბჭოთა კავშირის სამხედრო დაზვერვის ბულგარეთის ჯგუფის ხელმძღვანელი ბოევი.

პეევისთვის ბრალის წაყენებისას მოსამართლემ ნივთმტკიცებად მოიტანეს როდოპის წარწერა, რომელიც მათ შიფროგრამად ჩათვალეს! საუბარი იყო წარწერის ფოტოასლზე, რომელიც მეცნიერმა შესასწავლად კიევის უნივერსიტეტში გააგზავნა.

პეევი-ბოევი დახვრიტეს. ომის დასრულების შემდეგ პეევი საბჭოთა კავშირისა და თავისუფალი ბულგარეთის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის სიკვდილის შემდეგ ლენინის ორდენითა და გეორგ დიმიტროვის ორდენით დააჯილდოვეს.


როდოპის წარწერაზე ისევ ალაპარაკდნენ 50-იანი წლების დასაწყისში, ამჯერად ძველი ენების ბრწყინვალე სპეციალისტ ივან გომევიან დაკავშირებით.

ის თვლიდა, რომ წარწერა იწყებოდა სიტყვებით: „მე — რუნების თავადი...“

რუნების იყვნენ სლავური ტომები, რომელნიც, ძირითადად, როდოპებში სახლობდნენ. გომევის განმარტებით, მათ კლდეზე ამოკვეთეს იეროგლიფები, რათა მომავალი თაობებისთვის უმ-



„იეროგლიფური“ ნიშნები შატლის ქვებზე. ნიშნები ბისო-ხახმატის ჯვარიდან



ნიშნელოვანესი ინფორმაცია გადაეცათ.

გომევის წარწერა ბოლომდე რომ გაეშიფრა, შესაძლოა, დამტკიცებინა კიდევ, რომ როდოპის წარწერები სლავიანური რუნებია, მაგრამ სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე გომევიმ საკუთარი ვერსია უარყო და სიტოვოს წარწერების საიდუმლო საფლავეში წაიღო.

1967 წელს ბულგარულ ჟურნალ „კოსმოსში“ გამოქვეყნდა ფანტასტიკური მოთხრობა, რომლის პერსონაჟიც, რიგ გარემოებათა შედეგად, როდოპის გამოქვაბულში აღმოჩნდა. მან ამ გამოქვაბულში იპოვა მინის ქვეშეთში ჩასასვლელი და იქ ორფეოსის მომღერალი ქანდაკება აღმოაჩინა.

ორფეოსი იყო როდოპში მცხოვრები თრაკიელი, ძველბერძნული მითების პერსონაჟი, მუსიკოსი, ექიმი, ფილოსოფოსი.

რამდენად მართებულია მისი დაკავშირება როდოპის საიდუმლოსთან, გვიხსნის თქმულება, რომელიც გვამცნობს, რომ ძველი თრაკიელებიდან წერა არაფერ იცოდა, ამიტომაც, ზოგი მეცნიერის მტკიცებით, ბრძენი ორფეოსი არ შეიძლებოდა, თრაკიელი ყოფილიყო. ასე თვლიდა ანდროტიონი, დემოსთენეს თანამედროვე, ათენის ისტორიის მკვლევარი.

ასეა თუ ისე, როდოპის წარწერების საიდუმლოს ნათელი დღემდე ვერაინ მოპოვდა.

გაუშიფრავი წარწერების რა მოგახსენოთ, მაგრამ როდოპზე ძველი და იდუმალი გამოსახულებები მსოფლიოში მრავლადაა. რაღა შორს წავიდეთ, აქვე, ხევისურეთში, ვიმოგზაუროთ და ვნახოთ, რა დაგვიტოვეს ჩვენმა (თუ სხვისმა?) წინაპრებმა ქვებზე ამოკვეთილი პიქტოგრაფების სახით.

ეს ნიშნები ფიქალის ქვებ-

პლანეტას, რომლიდან ჩამოსულემაც ადგილობრივ ცივილიზაციას დიდი ტექნოლოგიური ცოდნა დაუტოვეს. ისინი ფლობდნენ საფრენ აპარატებს, ხელოვნურ თანამგზავრებს, ტელე და რადიო ტექნოლოგიებს, მძლავრ იარაღებს (!) და ამ ყველაფრის შესახებ ინფორმაცია მათ დედამიწაზე ყველაზე გამძლე მასალაზე — ქვებზე დატოვეს.

ასე ვარაუდობს დოქტორი ვაშაკიძე, თუმცა, თუ კარგად დავაკვირდებით, ხევისურულ იეროგლიფებში მართლაც შეიძლება გავარჩიოთ ხელოვნური თანამგზავრის, კოსმოსური ხომალდის ან რადიოანტენის მსგავსი გამოსახულება.

ვიზუალურად ეს იეროგლიფები ძველ ჩინურ დამწერლობასაც ნაგავს, მაგრამ მათ შორის მსგავსებაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ამიტომ ისევ ხევისურეთში დავრჩეთ.

არსებობს, აგრეთვე, მოსაზრება, რომ ამ წარწერებსა და ძველ ინდიელთა ცივილიზაციების (აცტეკები, ინკები, მაია) დამწერლობებს შორის რაღაც კავშირია. კონკრეტულად, ამის მაგალითი შეიძლება იყოს ისევ და ისევ ხელის მტევანი, რომელიც ყველაზე ხშირად სწორედ მექსიკის ინდიელთა იეროგლიფებში გვხვდება.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ე. წ. ხევისურული სვასტიკა, რომელიც ხშირად მეორედ და ფორმით მესამე რაიხის სვასტიკასა და ქართულ ბორჯღალს შორის გარდამავალია. ანუ ესაა კლასიკური ოთხფრთიანი სვასტიკა, ოღონდ მომრგვალებული ბოლოებით.

სხვათა შორის, ბორჯღალის გამოსახულება ეგვიპტეში წმინდა ხოქოს ოქროს ქანდაკებებზეცაა დაფიქსირებული, მაგრამ ეგვიპტური ცივილიზაცია სულ სხვა თემაა.

როგორც ჩანს, ადრე თუ გვიან ხევისურულ პიქტოგრაფებსაც გამოუჩნდება თავისი შამპოლიონი, მაგრამ ჯერჯერობით, როდოპის წარწერების მსგავსად, ხევისურეთის ქვებში ჩაკერული ისტორია დუმს.

ბოლოსთვის კი ერთი, ცოტა ლირიკული გადახვევა, რომელიც ხევისურეთს არა, მაგრამ საქართველოს სხვა კუთხეს უკავშირდება.

ამ სურათზე მოცემულია მაიას ტომის ციფრების გამოსახულება.

აბა, კარგად დააკვირდით: ციფრი „ნული“ ხომ არაფერს გავგონებთ? ამ სიმბოლოში, ალბათ, ბავშვიც კი ამოიცნობს სვანური ქუდის გამოსახულებას!

შეიძლება, ესეც რამეზე მიუთითებს, ვინ იცის...

ლემო ლემიავილი

როგორი პროვაიდერი ჯობის, ანუ რა უნდა ვიყოფით ინტერნეტის უსასრულო

ნაწილი პირველი

არცთუ შორეულ წარსულში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ოთახის ზომის უზარმაზარი კომპიუტერი დადგეს და როგორც კი გაიგეს, შესაძლოა, ვირუსი შეეყაროსო, სურდოიან თანამშრომლებს ხომ სასტიკად აუკრძალეს ახლომხლო გაჭაჭანება და სალ-სალამათებსაც პირზე დოლბანდაფარებულებს ატარებდნენ მთელ მიმდებარე ტერიტორიაზე — ემანდ ფარულად რაიმე არ გჭირდეთ და კომპიუტერი არ გადასდითო. დღეს ამგვარი ამბები ანეკდოტებშია ხდება, ახლა საქართველოში კომპიუტერიცა და ინტერნეტიც ლამის ყველა ოჯახის „საპატიო წევრია“.

თავისთავად ინტერნეტი სხვა არაფერია, თუ არა გლობალური კომპიუტერული ქსელი, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებული უამრავი კომპიუტერის, სერვერისა და სხვა მოწყობილობისაგან შედგება, მაგრამ ინტერნეტის ხსენებისას, როგორც წესი, ამ ფიზიკურ ქსელს კი არა, მასში ხელმისაწვდომ უკვე უსასრულო ინფორმაციას მოიაზრებენ ხოლმე. პირველი ქსელი სამხედრო მიზნებისათვის შეიქმნა და მასში მხოლოდ რამდენიმე სერვერი იყო ჩართული. დღეს ეს ქსელი ასეულობით მილიონ კომპიუტერს აერთიანებს და მთელ დედამიწაზე აბლაბუდასავითაა შემოვლებული. თანამედროვე მსოფლიო მის გარეშე, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია. ცხადია, ამ ერთიან ქსელში ჩართული აპარატურა სხვადასხვა ტექნოლოგიითაა შექმნილი და შესაძლოა, ვერც მოხერხებულყო მათი ურთიერთდაკავშირება, რომ არა დღეისათვის სტანდარტად ქცეული ინტერნეტპროტოკოლი (IP), რომელიც, გარდა იმისა, რომ სხვადასხვაგვარი აპარატურის ურთიერთდაკავშირის უზრუნველყოფს, ამავე დროს, არის ქსელში ჩართული ნებისმიერი მოწყობილობის (მათ შორის, კომპიუტერისაც) უნიკალური იდენტიფიკატორი.

ამჟამად საქართველოში 146 453 უნიკალური IP-მისამართია დაფიქსირებული (1 მაისის მონაცემებით), ხოლო დღეისათვის ტესტირების სტანდარტის მეთოდით დათვლის მიხედვით ჩვენს ქვეყანაში ინტერნეტის 1 092 476 უნიკალური მომხმარებელია (2005 წლის მაისში ინტერნეტს საქართველოში მხოლოდ 104 007 მომხმარებელი ჰყავდა, უნიკალური IP-ების რაოდენობა კი 13 181-ს ითვლიდა).

მთავარი და უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი ინტერნეტთან მიმართებაში ორია: ინფორმაცი-



ის გადაცემის სიჩქარე და ღირებულება, რომელსაც ამა თუ იმ სერვისისთვის გადაიხდით. ქსელში ინფორმაციის გადაცემის სიჩქარეს ბიტებსა და ბაიტებში ზომავენ. როდესაც პროვაიდერი განვითარების ინფორმაციას სიჩქარის შესახებ, ის, როგორც წესი, ბიტებშია გაზომილი, ხოლო ინტერნეტიდან ფაილის ჩამოტვირთვისას სიჩქარე ბაიტებში ფიქსირდება. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ 1 ბაიტი 8 ბიტის ტოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ პროვაიდერის მიერ მონიშნული სიჩქარე 8-ზე უნდა გაყოფო, რათა ფაილის ჩამოტვირთვის სიჩქარე ბაიტებში (ანუ ჩამოტვირთვისას თქვენს მონიტორზე ფიქსირებად საზომში) გადაიყვანოთ. შესაბამისად, თუ ხსურთ, რომ წამში 1 მეგაბაიტი ინფორმაცია ჩამოტვირთოთ, ამისათვის 8-მეგაბაიტის პაკეტის შექმნა დაგჭირდება.

ამისათვის, რომ თქვენი პერსონალური კომპიუტერი მსოფლიო კომპიუტერულ ქსელს მიუერთოთ

და მასში თქვენამდე ჩართულ კომპიუტერებში თქვენთვის სასურველი ინფორმაცია მოიძიოთ, ერთადერთი გზა არსებობს — უნდა მიმართოთ ინტერნეტპროვაიდერს. და რომელს, ეს ნაწილობრივ თქვენზე იქნება დამოკიდებული, თუმცადა, მეორე მხრივ, საჭიროა, იცოდეთ, რა მოთხოვნები გაქვთ ინტერნეტის მიმართ და რომელი პროვაიდერი უზრუნველყოფს მათ განხორციელებას სხვებზე უკეთ. ამისათვის კი გესაჭიროებათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროვაიდერები მუშაობენ ამჟამად საქართველოში და რა სახის სერვისებს გვთავაზობენ.

ამჟამად საქართველოში 22 ინტერნეტპროვაიდერია, მათ შორისაა „მაგთი“ და „ჯეოსელიც“, რომლებიც მობილურ ინტერნეტს სთავაზობენ მომხმარებელს, დანარჩენი 20 კი ქსელში პერსონალური კომპიუტერების ჩართვას ემსახურება. 1 მაისის მონაცემებით, პროვაიდერების რეიტინგის სათავეში „ონ-

ლაინა“, მეორე ადგილი „გაერთიანებული ტელეკომს“ უჭირავს, მესამე კი — „კაუკასუსს“.

როდესაც საუბარია ინტერნეტში ჩართვაზე, უნდა გაითვალისწინოთ პროვაიდერის დაფარვის ზონები. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი ჩართვის ფორმის არჩევაზე გადასვლა. ამ მხრივ ყველაზე მეტად გავრცელებულია DIAL-UP, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ჩართვა, DSL და უკაბელო კავშირია. მართალია, DIAL-UP (სერვისი, რომლის საშუალებითაც კომპიუტერი მხოლოდ სატელეფონო ქსელის გამოყენებით უკავშირდება ინტერნეტს) უკვე გადის მოხმარებიდან, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ის ერთადერთი საშუალებაა, რადგან დამატებით არანაირ ინფრასტრუქტურას არ საჭიროებს, გარდა სატელეფონო ქსელისა, რომელიც თითქმის ყველგანაა. მაგრამ ამ ტექნოლოგიით სარგებლობისას ტელეფონის ხაზი დაკავებულია.

DSL-ტექნოლოგია, ისევე, როგორც DIAL-UP, მომხმარებლის ინტერნეტში ჩასართავად სატე-

ლეფონო ხაზებს იყენებს, თუმცა ამ შემთხვევაში ხაზი, მარტივად რომ ვთქვათ, ორად იყოფა. მისი ნაწილი სატელეფონო სიგნალის გასატარებლად გამოიყენება, დარჩენილი ნაწილი კი, რომელიც DSL-ის შექმნამდე აუთვისებელი რესურსი იყო, ახლა ინტერნეტს ხმარდება. DIAL-UP და DSL ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, რომ თუ პირველ შემთხვევაში სატელეფონო ხაზი დაკავებულია, მეორე შემთხვევაში ხაზი თავისუფალია და შესაძლებელია ინტერნეტი და ტელეფონით ერთდროულად სარგებლობა. მეორე განსხვავება სისწრაფეა, DSL გაცილებით სწრაფ ინტერნეტს გვთავაზობს, ვიდრე DIAL-UP, გარდა ამისა, ის ქსელში ერთდროულად (ერთ მოდემზე) რამდენიმე კომპიუტერის ჩართვის საშუალებასაც იძლევა და ინტერნეტით სარგებლობის დროც და მოცულობაც შეუზღუდავია. სიჩქარეზე საუბრისას უფრო ხშირად ჩამოტვირთვის სიჩქარეს (download) გულისხმობენ, რაც შემთხვევაში კი მომხმარებლისათვის გაცილებით მნიშვნელოვანი ატვირთვის სიჩქარეა (upload).

ოპტიკური ინტერნეტი საკუთარ ინფრასტრუქტურას საჭიროებს და სატელეფონო ხაზებთან შეხება არ აქვს. ეს არის სპეციალურად ინტერნეტისათვის გაყვანილი ოპტიკური ხაზები (საზო, რომლის გამტარი ნაწილიც მეტალის ნაცვლად მინისაა), რომლის წყალობითაც მონაცემთა გადაცემის სიჩქარე გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა ტექნოლოგიების გამოყენებისას. რაც შეეხება უკაბელო (Wi-Fi) ინტერნეტს, ის გამოიყენება მაშინ, როდესაც კაბელო გაყვანისათვის პირობები არ არსებობს, ან მომხმარებლისათვის აბსოლუტური მობილურობაა აუცილებელი. ამ დროს უკაბელო ქსელები ურთიერთქმედებს კაბელონ ქსელებთან. მიღების წერტილები დაკავშირებულია კაბელონ ქსელებთან. თუ საჭიროა უკაბელო ინტერნეტის ფართო ტერიტორიაზე ხელმისაწვდომობა, მონტაჟდება სპეციალური ანტენები, რათა კავშირი განხორციელდეს ხარისხიანად.

შედეგად ნოვარში: რას გვთავაზობენ პროვაიდერები და რა ფასად

აპრიკალაზს ვილას რუსი ინტერნეტით ქარხვავდა

სან-დიეგოში გასამართლებენ 23 წლის მაქსიმ მალცევს, რომელიც, მართალია, რუსეთის მოქალაქეა, მაგრამ ლოს-ანჯელესის აეროპორტში დააკავეს. ნოვოსიბირსკელმა ყმაწვილმა შექმნა ინტერნეტსაიტი, რომელზეც განათავსა ყალბი ფორმები საგადასახადო დეკლარაციის შესავსებად. როდესაც ამერიკელები საიტზე აღნიშნულ ფორმებს ავსებდნენ, გადასახადები მათი ანგარიშებიდან პირდაპირ საიტის შემქმნელის ჯიბეში მიდიოდა. ამ მეთოდით რუსებმა 65 გულუბრყვილო ამერიკელს 105 ათასი დოლარი მოჰპარეს, ყოველ შემთხვევაში, ამერიკელი პროკურორი სწორედ ამას ირწმუნება. ახლა მაქსიმ მალცევი დაკავებულია და აშშ ხელისუფლებისაგან ბრალის წაყენებას ელის. ამის შემდეგ კი თაღლითს სან-დიეგოში გადაიყვანენ და გასამართლებენ. დაკავებულის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებაზე ამერიკის პოლიციამ უარი განაცხადა.

ტოკიოს კოპიუტერულ ქსელს ღირის ბრძოლი შეწყვიტა

იაპონიაში კომპიუტერული ვირუსის გავრცელების ორიგინალური ფორმა მოქმედებს: დაავადების წერილები სათაურით: „ფრთხილად, ღირის გრიპია!“ გამგზავნი თითქოს ქვეყნის ეპიდემიოლოგიის სახელმწიფო სამსახური იყო, სინამდვილეში კი აღნიშნული ინსტიტუტი ამ აფერის შესახებ თავის ოფიციალურ საიტზე იტყობინებოდა. გაფრთხილება გაფრთხილებად დარჩა, მათ კი, ვინც მაინც გახსნა აღნიშნული წერილი, კომპიუტერში ოპერაციული სისტემა ხომ დაუზიანდათ და მის მონაცემებთან არასანქცირებული დაშვებაც უზრუნველყვეს. ბოროტად გამოყენებული ეპიდემიოლოგიის ინსტიტუტი კვლავაც გაიძახის, გაფრთხილებებს ფოსტის საშუალებით არ ვაგზავნიოთ, მაგრამ ტოკიოს ქსელს უკვე შეეყარა ღირის ეპიდემია და საეჭვოა, ამავე ინსტიტუტმა რაიმეთი შეძლოს დახმარება.

„უბაფსალიდან“ ინტერნეტი მოდის

ინტერნეტტრაფიკის ელექტროსქელით გადაცემის ტექნოლოგია უკვე ათ წელზე მეტია, არსებობს, მაგრამ უამრავი სუსტი წერტილის გამო დღემდე ვერ პოვა ფართო გავრცელება. ორიოდ დღის წინ ირლანდიელმა ინჟინრებმა გამოაქვეყნეს დასკვნა, სადაც ამტკიცებენ, რომ აღნიშნული სისუსტეების დიდი უმრავლესობა დაძლეულია. Power Line Communication (PLC), ანუ ინტერნეტის ელექტროსქელით მიღების ტექნოლოგია, 1999 წელს შეიმუშავეს და მას შემდეგ მთელი რიგი მოდიფიკაციებიც განიცადა. ელექტროსქელის მფლობელი კომპანიები ამ ტექნოლოგიას ფანტასტიკად და თაღლითობად აღიქვამდნენ, რის გამოც მათთან მოლაპარაკებების მრავალი რაუნდი უშედეგოდ მთავრდებოდა. ირლანდიელმა მეცნიერებმა კი ნამდვილი სასწაული მოახდინეს — მათ სიგნალი 40 კილომეტრის დამორებით თითქმის უდანაკარგოდ გადასცეს. ახლა აღნიშნული სტანდარტის გამოყენება უკვე შესაძლებელია გლობალური ქსელის შესაქმნელად მსოფლიოს ნებისმიერ ელექტრიფიცირებულ რეგიონში. ძველი ტექნოლოგიის განახლებული ვერსიით უკვე დაინტერესდნენ მსოფლიოს უმსხვილესი ინტერნეტპროვაიდერები და IT კომპანიები. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო მომხმარებელთათვის ინტერნეტის მაქსიმალური სიჩქარე წამში ერთ მეგაბიტს არ აღემატება, ამ მეთოდის წყალობით გლობალურ ქსელთან მიერთებას ის ადამიანებიც შეძლებენ, ვისაც ალტერნატიული მეთოდებით სარგებლობის საშუალება არ აქვს. Power Line Communication (PLC)-ის საცდელი პროექტი უკვე განახორციელა ამერიკის შტატ ალაბამას ერთ-ერთმა პროვაიდერმა და პირველი ორი კვირის განმავლობაში მოკრძალებული რეკლამის პირობებში ქსელში 5 000-ზე მეტი მომხმარებელი ჩართო.

ინტერნეტს ხანმოკლე სისოხსლე დარჩა

როგორც საქმის მცოდნენი იუწყებიან, ინტერნეტს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უნერია — 2012 წლისათვის გლობალური ქსელის მომხმარებელთა რაოდენობა იმ კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს, რომლის შემდეგაც მას აღარ შეეძლება კომპიუტერული ქსელების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.



შედეგად, ინტერნეტი მუდმივად ნახევრად პარალიზებულ მდგომარეობაში იქნება, ყოველ შემთხვევაში, ბრიტანული ანალიტიკური სამსახური „ნემერტისი“ სწორედ ამგვარ მომავალს გვირგვინებს. პროგნოზების თანახმად, უკვე მომავალი წლის დასაწყისისთვის გლობალური ქსელი ინფორმაციული გაცვლისთვის თვალსაზრისით თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს მიაღწევს. სპეციალისტების აზრით, სწორედ ეს გამოიწვევს მრავალრიცხოვან წყვეტას როგორც ინტერნეტთან წვდომის თვალსაზრისით, ასევე თავად კომპიუტერების მუშაობაში. გასული წლის ზაფხულში დედამიწის მოსახლეობის მეოთხედი უკვე რეგულარულად და

ინტენსიურად სარგებლობდა ინტერნეტით. ამ დროიდან ერთ წელიწადში კი ეს მაჩვენებელი საგრძნობლად „გაუმჯობესდება“. მოკლედ, მსოფლიო შემოღობულია მოსალოდნელი კატასტროფის გამო — ინტერნეტკრიზისი სახუმარო საქმე არაა. ამ დროისათვის იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთში უკვე დაწყებულია მუშაობა ახალი თაობის ტექნოლოგიების შესაქმნელად, რათა ინტერნეტს დროულად ჩაენაცვლოს ალტერნატივა.

შესაძლოა, სწორედ ამ მოსალოდნელი ონლაინკატასტროფის შიშით, რომელიც ნამდვილად გამოიწვევს მსოფლიოს ცხოვრების ლამის ნებისმიერ სფეროში სერიოზულ პრობლე-

მებსა თუ გართულებებს, ესტონეთი უკვე შეფუცხუნდა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა. ეკონომიკისა და კომუნიკაციის მინისტრმა იუხან პარტსმა მოილაპარაკა სატელეკომუნიკაციო კომპანიებთან და უკვე დაგეგმა ფართომასშტაბიანი პროექტი ახალი თაობის უსწრაფესი ინტერნეტის შესაქმნელად. პროექტის საერთო ღირებულება დაახლოებით 400 მილიონი ევროა. სამაგიეროდ, პარტსის თქმით, ამგვარი ქსელის შექმნის შემდეგ ეკონომიკაც გამოცხვლდება, ახალი სამუშაო ადგილებიც შეიქმნება და სოფლის მეურნეობაც კი გააათკეცებს შემოსავლებს. მართალია, არავის განუმარტავს, კონკრეტულად როგორ უნდა მოხდეს, თუნდაც, ახალი თაობის ინტერნეტის წყალობით ამდენი სასწაული ერთდროულად, მაგრამ EstWin-ად ნოდებული პროექტი უკვე დაწყებულია და 2015 წლისათვის ესტონეთის ყველა სახლი, ბინა თუ ოფისი ინტერნეტს წამში 100 მეგაბაიტამდე სიჩქარით დაუკავშირდება.

„ბავრი ვიღვანე, ბავრის ვიწვალე და, როგორც იქნა, ბარდავიწვალე“

იშვიათია ადამიანი, თავისი ნეკროლოგი სიცოცხლეშივე რომ დაენეროს. სიკვდილსაც კი ხუმრობით იხსენიებდა. თითქმის ერთი წელი ნოდარ დუმბაძეს ბათუმელიას ფსევდონიმით აპარებდა თავის ნაწერებს. ბოლოს ნოდარმა უთხრა: „ვინაა ეს, ბათუმელია, ეტყობა, ძალიან ნიჭიერია, ერთი, მომიყვანო“. აგერ ვარ, ჩემო ნოდარ, დიმილი უპასუხა ზაურმა. ჯერ კიდევ ხალხში, მეგობრებსა და ახლობლებში უხვადაა მიმოფანტული ზაურ ბოლქვაძის ჯანსაღი იუმორი. ფული ფულთან მიდისო, — რომ იტყვიან, ისეა; ნიჭთან ნიჭი მიდის, ჭკვიანთან — ჭკვიანი და ზაურ ბოლქვაძე მივიდა ნოდარ დუმბაძესთან. იგი პოეტი იყო, მაგრამ არანაკლები იუმორისტი. უკვდავი ხარ, უკვდავი! ამ სიტყვას გამარჯობის მაგიერ ხმარობდა.



ნახატი მ. ლომიძისა, თემა მ. სინარულიძისა
— მაინძელო!
— მობრძანდით!
— დაიცა, ქალო! მობრძანდითო რომ ეძახი, ეგ კაცი ვის მხარეზეა?!

„მე პოეტი ვარ —
მინა ვარ, ცა ვარ!
მე პოეტი ვარ —
სივრცე ვარ, დრო ვარ,
მომენტურება სიკვდილი,
— ნავალ
მომენტურება სიცოცხლე, —
მოვალ!“

ამ უცნაური ლექსის პატრონი სიკვდილსა და სიცოცხლეს იუმორის თვალთვლით უყურებდა. ამავე დროს, ზეადამიანური განცდები ახასიათებდა. ერთხელ თანამშრომელი გაგვიხსენა ავად და სანახავად წავიდა. ეზოს რომ მივუყვარვოდით, ჭიშკარი ღია დაგვხვდა. ეზოში სიგარეტის ნაშენი ყვარა და ზაური სიცოცხლით მეუბნება: „ლომო! ვერ მოვუწნარით, მგონი, გაუსვენებიათ“.

ვისუფლებ სამსახურიდან... — „გათავისუფლება თუ შეგიძლია, ჩემო ნოდარ, საქართველო გაათავისუფლე!“
ცენტრალური კომიტეტის მდივნების მოხსენებებში ხშირად იხსენიებოდა სიტყვა „ანტიპოდეტი“, რაც ნიშნავს ერთმანეთის სანინა-ალმდეგო ხასიათის, თვისებების, მსოფლმხედველობის მქონე ადამიანებს. დასავლეთ საქართველოდან დაბრუნებულმა ზაურმა იკითხა: „რას ერჩის ეს ცეკა ამ ანტიპოდებს, შესანიშნავი ხალხია, პატივისცემა და მასპინძლობა არ მომაკლეს. ამათგან მართლაც რომ განსხვავებულები არიან“.

როგორც ცნობილია, ეს ამბავი შევარდნაძემდე მივიდა, მან, თურმე, ბევრი იცინა და იკითხა, — ვინ თქვაო. ამბის მიმტანი გახლდათ ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელიც შინაურულად გამოუტყდა ცეკას პირველ მდივანს: „თუ არ გამცემ, გეცვიო“.

ერთი გრაფომანი გადაეკიდა ზაურს, — „ლექსები და იუმორესკები დამიბეჭდეო“. გავიდა დრო და გრაფომანმა კვლავ შეახსენა თავი. ზაურმა უთხრა: „შენი ლექსები დაბეჭდე, ნადი, ჰონორარი აიღეო“. — „ბატონო ზაურ! ლექსები

არ მომიტანია და როგორ დაბეჭდეო“. — „შენს სიმღერებს ხალხი მღერის და იქიდან გადმოვიწერეო“, — უპასუხა ზაურმა.
ამასობაში ბრუენევი გარდაიცვალა. ზაურის მაგიდაზე გაზეთები აწყვიდა, რა თქმა უნდა, პირველ გვერდზე სამგლოვიარო ჩარჩოში ბრუენევის ფოტოებით. შემოდის გრაფომანი და ზაურს ეუბნება: — „თქვენი ჟურნალი ვნახე და ჩემი ლექსები არ დაბეჭდილა“. — „თუ ძმა ხარ, მაცალე, — ეუბნება ზაურს,

— ეს კაცი დამასაფლავებინე (მიუთითებს ბრუენევის ფოტოზე) და მერე დაბეჭდეო“.
— კარგი, კარგი, ბატონო ზაურ! დასაფლავეთ და მერე გამოგივლით.
ჟურნალი „ნიანგი“ იბეჭდებოდა ლენინის ქ. №14-ში მდებარე ცეკას გამომცემლობის სტამბაში. გაიპარა უბრალო კორექტურა. სტამბის მისამართი დაიბეჭდა შემდეგნაირად: ლენინი 14. დაგვიბარეს ცეკაში და მოგვთხოვეს ახსნა-განმარტება.

ჩვენებური აბჯები

...დაძაბულობა არც არასდროს გვაკლდა, მაგრამ ამ ბოლო დროს რომ უკიდურესად დაძაბა სიტუაცია საქართველოში, ყველასათვის ნათელია. მოკლედ, მოგახსენებთ, ძალს ხელისუფლებას, ძალს — ოპოზიციური ძალები. ვერ იქნა და ვერა, რაღაც კონსენსუსამდე ვერაფრით მიდიან. ქართველი კაცი ყოველთვის გამოძებნის საშველს, რადგან ჩვენ ბუნებით ოპტიმისტები ვართ.

როდემდე ვუყუროთ ამათ ძიძგილობასო, — თქვეს საზოგადოების წარმომადგენლებმა ორივე მხრიდან და სამ-სამი კაცი შეარჩიეს საქონლსა და სასარჩევად. შეხვედრის ადგილად ერთი მყუდრო, ლამაზი რესტორანი დათქვეს: — დაესხედეთ, ძმაო, ვილაპარაკოთ, ჩვენ-ჩვენი სიტყვა ვთქვათ, რაღაცაზე შევთანხმდებით, აბა, რა ჯანდაბა მოგვივაო?!

შემოუსხდნენ მრგვალ მაგიდას. შუაკაცად, ანუ არბიტრად, შუაში ევროსაბჭოს ერთ-ერთი ჩინოვნიკის პირადი მძღოლი დაიწვიეს ოქმის შესადგენად. ამ კაცმა კარგა ოთხი ენა იცოდა და მეხუთეზე ჩალოჩობდა. თითო ჭიქით ღმერთი ასხენეს და დიალოგიც დაიწყო:
— ჩვენ შოო და შოო, — დაინყო ხელისუფლების წარმომადგენელმა, — მაგრამ არც თქვენ ხართ წინდნ ნყლის... არა, მაინც ის რას ნიშნავს, საკვები რომ ჩადგით მთელ ქალაქში?! ბიჭო, ხალხი თავის ნონა ფულს ხარჯავს, არ ჩამსვართ და თქვენ უფულოდ ჯდებით, თვითონ?
— აბა, ყვავებს ვინ დაიჭერს, კარგო, კამერაში ბულბულები ვზივართო, — მარჯვედ მოიგერიეს პირველი შეტევა ოპოზიციონერებმა. აბა, ის რას მივანე-

როთ, თქვენმა წარმომადგენელმა რომ „კისტი“ ჩაუსვა თვალს ქვემოთ ჩვენს ნებაყოფლობით პატიმარს?! — იმედია, ვიდუთვალე არ გექნებათ რომელიმეს.

— რა ვუყოთ ახლა, ვის არ მოსვლია, ჩემო იმანო, შიგ თვალის კაკალში დაუმიზნა იმ კაცმა, მაგრამ ცოტა ქვემოთ მოუვიდა. ახამელაზე იყო და ხელი უკანკალბდა. მაგრამ კი გამოვასწორებთ მომავალში, თვალში მორტყმა არაა ადვილი, მაგრამ არც ისე რთულიაო, — დაამზვიდეს ოპოზიციონერებმა ოპოზიციონერები. ვიდუთვალე არ გვაქვს, ნამდვილად „ჩვენად“ მოვედით?

— კეთილი, ეს საკითხი „გაფათასნოთ“, მაგრამ იმაზე რას იტყვი, იმავე წარმომადგენელმა რომ მესაკენებს ნყლით გატენილი ცელოფანის პარკი ღენა ფეხებში?! — ნაიდა მორიგი კითხვა.
— პარკში ხომ სუფთა ნყალი ესხა? — დაინტერესდა ოპოზიციონერი.
— კი, ნამდვილად. სუფთა ნყალი იყო. ცოდვა არ გვინდა, მაგრამ შეუსტი ვერ ავხსენითო, — ამბობდა.
— შესტი, ანუ ქვეტესტი ის იყო, რომ ამით მონინააღმდეგეს დაუშტკიცეს: „ჩვენ ზევითა ვართ, თქვენ — ქვევით, და ვერ ავგიმღვრეთ ნყალსო“. ა, ნახეთ, თუ არ გვერათ, რა კამკამა ნყალი გვაქვს შტაბშიო, ისინია? აბიტიტი ყველაფერს გაფაციცებით იწერდა.

ნამით სიჩუმე ჩამოვარდა. მხარეებმა ერთმანეთში ჩურჩული დაიწყეს.
— ხო, მართლა, ის რას ნიშნავს, — ნამოიწყეს ოპოზიციის მხრიდან, — მაგალითად, ბინაძემ რომ ბეისბოლის ჯოხები ჩამოვირგათ?! არ დამინყოთ ახლა, დროში ტარები იყო, თავგასილებული დროში ტარები არც ერთ ქვეყანაში არაა, ძმაო!
— ნამდვილია... ნამდვილად ბეისბოლის ჯოხები დაგვირგა. იმიტომ რომ ამერიკას მართო თქვენ კი არ ბაძავთ... ამერიკა ჩვენიცაა და ბეისბოლში ჩვენც ვვარჯიშობთ, თანაც მშვიდობიანად... უბურთოდო, — ამბობდა.
— იმას ბურთი არ ჰქვია, ჯერ ეს ერთი...
— აბა, რა ჰქვია? — არ დაიხიეს უკან ოპოზიციონერებმა.
— რა ჰქვია და... რა ჰქვია და... ხო, რაც ჰქვია, ეგ არაა მთავარი... კითხვა თქვენზეა.
— ჩვენი მორიგი კითხვა აგია: რატომ ბუთქეს თქვენებმა გაქანებული მაშინდანი ჩვენებს ფეკალური მასით გატენილი ცელოფანი ფეხებში? ოპოზიციონერებმა წითლესვენება აიღეს და ერთმანეთში აჩურჩულდნენ. ბოლოს ერთმა იკისრა პასუხი:
— ჯერ ერთი, ის ფეკალური მასები კი არა, მამაპაპურ ენაზე რომ ვთქვათ, სუფთა, ნატურალური კიანავალი იყო. აქ უბრალო უზუსტობა მოხდა: ჩვენს წარმომადგენელს ორი ცელოფანი ნამოუღია. ერთში ნავაგი ყოფილა, რომელიც თქვენთვის უნდა მოეგდო, მაინც მიაქვთ ნავაგი მერიასთან და ბარემ ამასაც გააყოლებენო; მეორეში ის ნატურალური განავალი იყო, რომელიც ლაბორატორიაში მიჰქონდა ჭიებზე გასასინჯად. შეეშალა, ნავიანი ცელოფანის ნაცვლად განავლიანი გადმოგადგეს და თვითონვე შერცხვათ, როცა ლაბორატორიაში, ჭიებზე გასასინჯად

განავლის ნაცვლად... ნავაგი წარადგინეს. ხდება, ძმაო, ხდება...
პოზიციამ „ბარსელონასავით“ აინყვიტა, ოპოზიციამ „რეალიზით“ ყრუ დავისთვის მოემზადა.
— საკანში მჯდომმა რომ წამალი იგლიჯა ვენაში, ისიც ჩვენ ვართ?
— ბიჭო, ძმაო, ნათესაო, შენ რომ საკანში იჯდე (პირი ქვისკენ მიქნია) მშვიდი, შეციებული და უფულო, ამ დროს ვილაცა ღვთისნიერი რომ შემოვიდეს და გითხრას: — „ბეზ კაპე-იკა“ ნამალა გთავაზობ და მიდი შენიშაპუნე, ალალი იყოსო, — უარს იტყვი? — გააქტიურდა ერთი ოპოზიციონერი.
— ეჰ, მაგის ბედი მე ვინ მომცა! — ნამოსცდა ერთ ოპოზიციონერს და შუღმწველად იკბინა ენაზე, — ეს რა ვთქვიო.
— გამარჯობა შენი! — დუმლით ისარგებლა ოპოზიციამ.
— გაგიმარჯოს... ხომ ხარ კაჟივით! — ტრადიციულ მისალმებას ტრადიციულად მექანიკურად უპასუხა ენაზე ნაკუნმა და მდგომარეობაც განიმუხტა ნაძალადევი სიცილით.
ოპოზიციის გაჩერება უკვე შეუძლებელი იყო!
— იმაზე რას იტყვი, „თქვენი“ პრეზიდენტი რომ მშვიდი ხალხის ფონზე რესტორან-რესტორან დაქეიფოვს იმერელი დარდიმანდივით? რავა, ან სახლი არა აქვს, ან რეზიდენცია?
— რეზიდენციაში თქვენ არ უშვებთ, ბიძია, და ჩამოსულ დიპლომატებს „პიენობარში“ ხომ არ ნაიყვანს, — აგერ ჩამოვჯდეთ კიბეებზე, პიჯაკის გულის ჯიბეში „ვოლა“ მაქვსო?
— არც თმებს იკრასკავს? — მონინააღმდეგის საჯარიმოსთან კორინტელი დაატრიალეს ოპოზიციამ.
— იკრასკავს კი არა, იღებავს, ჯერ ერთი; ახლა ისიც არ გვიტხრა, მასაჟისტი ჰყავსო, — „სტოპერიოლი“ აიღო ოპოზიციამ.

ზაურმა მითხრა: — „შენ, როგორც პარტოგანიზაციის მდივანმა, უნდა დანერო და ჩამოაყალიბო, რომ ჩვენ ერთი ლენინი გვყავს და არა თოთხმეტი...“ მერე ქვეყანა აირია, დაუნერელი ახსნა-განმარტება და 14 ლენინი არქივს ჩაბარდა. ხელფასისა და ჰონორარის სიმცირის გამო ბევრჯერ ყოფილა გაბრაზებულ-განანწყენებული, მაგრამ ამასაც ხუმრობით გამოხატავდა:
„ვამბობ გულწრფელად, ალაღად და გეფიცებით სინდისს: ხელფასი მცირე არა მაქვს, მაგრამ თვე არის დიდი!“
არც 1991 წლის 9 აპრილი დაუტოვებია უყურადღებოდ:
„ერმა იზვიადა! —
გაიტანა ლელო!
7-ში ქრისტე აღსდგა,
9-ში — საქართველო!“

ზაურ ბოლქვაძის ირონიულ-პაროდიულ-პარადოქსულ ლირიკას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ მისი ნიჭიერება, განსაკუთრებით იუმორში ზეადამიანურ საოცრებას აღწევს.
„ერთმანეთის გატანაში სუსტები ვართ (სატანა გვჭირს!), მაგრამ ვართ ერთმანეთის კუბოების გატანაში...“
„საქართველოს ახლა ჰქვია ქაოსი და ანარქია, გარკვეულად არაფერი იცის, ძალის თავი სად მარხია!“
მარკ ტვენი და სერვანტესი ქართველები რატომ არ იყვნენ, — ამაზე პრეტენზიას ვერ განვაცხადებთ. არ იყვნენ ქართველები და იმიტომ! მაგრამ, ახლა რომ ზაურ ბოლქვაძე იყოს ცოცხალი, ამის ნატვრის უფლება ნამდვილად კანონზომიერია. იგი ყოველთვის საჭირო კაცი იყო საქართველოსთვის, ამჟამად კი — განსაკუთრებით! მისი ნათელი სიტყვა დღეს ბევრ სიკეთეს მოუტანდა მშობლიურ ქვეყანას. გავადრო და ქართველ ხალხს ოქროს ფონდში ექნება დაცული ზაურ ბოლქვაძის შემოქმედება.

შანი სინარულიძე